ღიმილი და მილოცვები –
თუმცა ბევრი გავეცით,
ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად!
მხოლოდ ჩვენ კი დავეცით.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
ჩემი სული ცას უხმობს,
ჭეშმარიტად! – კვლავ იუდა
ნიშნისგებით მპასუხობს;
თუმცა შუბლზე სამარცხვინო
მინდა დაღი დავაკრა, –



ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს შემდეგ
ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წარწყმედილი
ეგდოს ქვეყნად, ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს
კვლავაც ღამე ეთიოს.
რწმენა მნელად გადარჩება,
ხატი უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად!
ქრისტე აღსდგა ნამდვილად!

ზვიად გამსახურდია

# გაზეთი

ქართული გაზეთი ამერიკაში | აპრილი, 2011 N63 | ასავალ-დასავალის პარტნიორობით





ფონდი GEORGIAN AMERICA წარმოგიდგენთ

22 მაისს, 6 PM

## საქველმოქმედო გალა-კონცერტს

მიძღვნილს წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნისადმი

თეატრი მილენიუმი

1029 Brigton Beach Ave,
Brooklyn, NY 11235

კონცერტში მონაწილეობენ: **ანსამბლი „შინი“** (ზაზა მიმინოშვილი, ზურაბ გაგნიძე, მამუკა გაგანიძე, ალექსანდრე ჭუმბურიძე, ჟაკუბ მიეტლა, მამუკა ჭიჭინაძე); **„კომედი შოუ“** (ალეკო მალხაზიშვილი, ნიკა არაბიძე, ამირან ჩოხარაძე, ვასო ფხაკაძე, ნიკა გრიგოლია, გიორგი აფციაური, მიშა ანდღულაძე, ოთო ლომთაძე, ვახო ბიჭიკაშვილი); კომპოზიტორი, მომღერალი ზურაბ მანაგაძე; კომპოზიტორი, მომღერალი თამრიკო დავითაშვილი; **Julliard-ის ქართველი წარმომადგენლები** (ჯაზ-პიანისტი ბექა გოჩიაშვილი, კლასიკური მევიოლინე მარიამ მაჩაიძე, კლასიკური პიანისტი დავით ალადაშვილი)

ბილეთების შეძენა შესაძლებელია მილენიუმ-თეატრის სალაროებში, ვებგვერდზე **(www.ruconcert.com)**

**Info: 917-516-6674 Brooklyn 718-615-1500 Queens 718-897-4500, 888-880-1151**




# საქართველო ადამიანებიცაა!

„კარგს რომ გვიქადდის მომავალს,
შენი ბეჯითი გარჯანი,
ვინც იყო, იგი რომ არა,
არ იქნებოდა, რაც არი!“
**მუხრან მაჭავარიანი**

## ერის სახე

ყოველი მოვლენიდან თუ საგნიდან, პიროვნებიდან თუ ფაქტიდან პოზიტივის დანახვაა პატრიოტიზმში. პოეზიას ეს შეშვენის, ხარისხით მაღალმხატვრული იქნება ნაქმნი თუ მდორე. ხოტბის არეალში მოქცეულია სამშობლოს ბუნება —

მთა-ბარი,
ზღვა,
მდინარე,
ჩიტის ჭიკჭიკიც კი საამოა, როდესაც ფიქრობ მამულზე.

მარადი სიხარულშია ჩაფლული განწყობა და აღმატებული გრძნობა გეუფლება. ფიქრის საშუალებასაც გვაძლევს დიდი პოეზია, სიტყვის ძალა, რომელიც გამომდინარეობს გულიდან.

ამის პარალელურად არსებობს ზერელე არაფრისმთქმელი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვამრავლობა, რითმების რახუნი რომაა მხოლოდ, რათა ლექსის ფორმას დაემსგავსოს სიტყვათა სიუხვე.

რა თქმა უნდა, სხვადასხვაა ჭეშმარიტება და სიყალბე. ეს მით უფრო იგრძნობა, როდესაც მიმართავ სამშობლოს, რადგან ერთგვარი ბარომეტრია პოეზიის ავ-კარგიანობის შესაფერებლად. სიტყვაკაზმული პოეზია აუცილებლად დაგვაფიქრებს, რაღაც ახალს იტყვის, ეროვნულ ტკივილზე მიუთითებს, რათა აღმოფხვრას მანკიერება საზოგადოებაში, თანაც ერთგვარი ეროვნული პროგრამაა, რომელსაც მოჰყვება პრაქტიკული მოქმედება.

მოხდენილად ნათქვამი ყველაფერი კარგია და ლამაზი, მომხიბლავი და საამოა. ილიას ლირიკა თავიდან ბოლომდე გაჯერებულია მამულზე ფიქრით და ეროვნული ხსნის პრობლემატიკით. ასეთი პოეტური ქმნილებანი მძიმეა საკითხავად.

სამაგიეროდ მსუბუქი და ჰაეროვანია სამშობლოთი ტკბობა აკაკის პოეზიაში.

ვაჟასთანაც მიმზიდველია, რამდენადაც დახლართული არ უნდა იყოს სიუჟეტური ქარგა. ზოგჯერ ზედაპირზეა ამოტანილი მშვენიერი ბუნება მამულის, ზოგჯერ კიდევ სტრიქონსა და სტრიქონს შორის იკითხება უსაზღვრო სიყვარული საკუთარი ქვეყნის. აქ მხოლოდ ბუნებით ტკბობა არაა წარმოჩენილი და არც მხოლოდ პეიზაჟია დახატული.

როგორიც არ უნდა იყოს,
წელიწადის რა დროში,
სამშობლოს მიწა-წყალი ყოველთვის სიღრმისეულ ტკივილამდე ტკბილია.

ყველას საკუთარი მოსწონს,
ყველას საკუთარი უყვარს —
ზოგს ყინულოვანი,
ზოგს უდაბნოს მცხუნვარებით,
ზოგს ზღვით,
ზოგს მთით.

ბუნება მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. ჩვენც გამონაკლისი არა ვართ ამ გრძნობის გამოხატვაში. გვიყვარს, თავს ვევლებით და საჭიროების შემთხვევაში თავსაც ვწირავთ.

შევტრფით და შევხარით წარსულ დიდებას,
შევტირით სავალალო აწმყოს და
იმედი გვაქვს უკეთესი მომავლის.

თუნდაც უხარიხსო ლექსებითაც ვეტრფით ჩვენს სამშობლოს, აბა, ყველა გენიოსი და ფენომენი ხომ არ იქნება!.. მთავარი და ღირშესანიშნავი სწორედ ისაა, რომ პატრიოტული პოეზია გვიხსნის სამშობლოს სიყვარულის სხვადასხვა ასპექტებს —

რომ სამშობლო ჩვენი მიწა-წყალია,
რომ სამშობლო ჩვენი ისტორიაა,
რომ სამშობლო ჩვენი აწმყო და მომავალია...
და რაც მთავარია,
სამშობლო ადამიანებია!

ამ სიტყვის ფართო გაგებითაც და კონკრეტული მნიშვნელობითაც.

ეჭვი არ არის, რომ სამშობლო ჩვენცა ვართ, ყოველი ქართველი,
სადაც ცხოვრობს,
როგორაც ცხოვრობს,
სულ ერთია,
ყველგან და ყველასთან სამშობლოა თითოეული მათგანი.
არა აქვს მნიშვნელობა
არც სქესს,
არც ასაკს,
არც მრწამსს,
არც შეხედულებას,

მთავარია იყო ქართველი ამ სიტყვის ყოვლისმომცველობით. ჩვენ პატრიოტული ჟანრის ლიტერატურა იმისთვის გვეძლევა, რომ საკუთარ თავში გამოვზარდოთ და გამოვწრთნათ მამულიშვილები და სადაც არ უნდა ვიყოთ, და მით უმეტეს ემიგრაციაში, ერთმანეთი უნდა მოვიძიოთ, ერთმანეთისთვის სამშობლო უნდა ვიყოთ, რათა ნოსტალგია დაავადებაში არ გადაიზარდოს.

სიმრავლეში მამულის სახე არ იკვეთება, სიმრავლეში მისი სიცოცხლისუნარიანობა ძლიერდება. ამერიკაში მყარია ქართული დიასპორა, უფრო მეტად - ევროპაში. კონტინენტებსა და დედამიწის ნახევარსფეროთა დაცილებამ ვერ უნდა შეძლოს გაწყვეტა იმ უხილავი ძაფისა, რასაც გულთა შორის კავშირი ჰქვია. სიყვარულმა ხომ საზღვრები არ იცის...

სიყვარული მაშინ მოდის, როცა ძლიერია გრძნობა მშობლიურობისა. ბევრჯერ განმიცდია ეს გრძნობა აქ, როცა, პირველყოვლისა, საქართველოდან ჩამოდიან სტუმრები. თუ სადმე გავიგონებ აქ ქართველ კაცს დაუდგამს ფეხიო, ვეთაყვანები იმ ნატერფალს - ასე იყო კოლია ქვარიანისა და გიორგი პაპაშვილის შემთხვევაში. ცოცხალ მოქმედებაში მოვიდა ჩემი ინტერესი და იმ პერიოდში არც ერთი დღე უშინაარსოდ არ გამიტარებია. რაც უფრო იძირები მამულის სიყვარულში და მამულიშვილთა პატივისცემაში, მით უფრო იკვეთება სამშობლოს სახისმეტყველება შენით და შენში.

სიხარული მერე მოდის, ცრემლი რომ დაანამავს მის ცხოველსმყოფლობას. მარტოდენ საკუთარ თავში ჩაღრმავება და საკუთარი ინტელექტის გაზრდა ათასი მეცადინეობით არ კმარა
იმისთვის, რომ გეწოდოს პატრიოტი,
იმისთვის რომ შენი სამშობლოს სახე იყო უცხოეთში.

ამისათვის ზნეკეთილობაა საჭირო. ყველასთან ურთიერთობაში უნდა გამოამჟღავნო შენი ქართველობა. ამის მაგალითად ექიმ ჟორდანიას თავგანწირვის დიდებული ამბავი იკმარებდა. იგი როგორც ქართველი, ისე ადამიანი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო და პირვანდელობის მნიშვნელობით. მან ქართველი ბავშვი კი არა, სხვა ეროვნების ბავშვი გადაარჩინა საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ამით იგი - დიდი ადამიანი
დიდი ექიმი გახდა,
ყველაფერს კი ლეიტმოტივად გაადევნა ის, რომ ქართველი იყო,
რომ ქართველი ყოველთვის ასე გაწირავს თავს მოყვასთათვის.
ერთია გმირობა, სხვა კიდევ მსგავსი მრავალი.

რამდენადაც ბევრნი ვიქნებით ბუნებით რაინდები, მით უფრო გამოიკვეთება სამშობლოს სახე და ხასიათი, საზოგადოდ ხალხის სახისმეტყველების ანარეკლის შესაბამისად. არც ესაა გასაკვირი, რამეთუ ჩვენ ცოტნე დადიანის ჯიშისანი ვართ.

## გამოკვეთილი სახეები

ერის სახის თითოეული ნაკვთი, თითოეული ნიუანსი დიდი კაცების სახისმეტყველების შესაბამისად იქმნება. ეს სახისმეტყველება თავისთავად განსაზღვრავს თვით ჟამთასვლას და მის ერთგვარ სიმბოლოდ იქცევა, სიმბოლო კი თავისთავად მარადისობის საკურთხეველზე
სიავკარგის,
სიდიადის,
გონიერების,
ღვთისმოსაობის საზომია.

მართალია მსოფლიო პარამეტრები სხვაა, მაგრამ ჩვენ მასთან ერთად ჩვენი საკუთარი საზომები და ათვლითი წერტილები გაგვაჩნია, ესეც სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო აზროვნებასთან, უკეთეს შემთხვევაში, ამ საზომთა სიზუსტეში, სიწმიდესა და უტყუარობაში ვუსწრებთ კიდეც საკაცობრიო ღირებულებებს. იქამდე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გარკვეულწილად და ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში ვკარნახობთ მსოფლიოს ბევრ რამეს. ყველაფრის შემდეგ თვითონაც ომებითა და სისხლისღვრით უფლებრივად მოიპოვებს ხოლმე ამ ღირებულებებს. კონკრეტულად ასე იყო რუსთაველთან მიმართებაში. სანამ ევროპაში მსოფლიო ომები და რევოლუციები არ მოხდა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე არავის უფიქრია. ჩვენ კი არათუ შევქმენით და დავწერეთ - „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო,“ - არამედ პრაქტიკულადაც განვახორციელეთ ქართულ პოლიტიკაში და სხვათაშორის წარმატებითაც. ქართველ მამაკაც მეფეთა საუკუნეობრივი ნაქმნის ნაყოფი თამარ მეფემ მოიმკა, იგი ქართული სახელმწიფოებრიობის გვირგვინად იქცა, რადგან რაც თამარის დროს იყო საქართველო, იმაზე შორს და იმაზე მტკიცედ ვერც ერთ დროში ვერ წავიდა ჩვენი სამშობლო. არადა, დიდებული მეფეები ჰყავდა მამულს —

ფარნავაზი,
ვახტანგ გორგასალი,
ბაგრატ დიდი,
დავით აღმაშენებელი,
ლაშა-გიორგი,
გიორგი ბრწყინვალე,
სიმონ მეფე,
სოლომონ პირველი,
ერეკლე მეორე...

თამარის, ასე ვთქვათ, თანამდებობაც „მეფე“ იყო და მისი ზედწოდებაც. იგი ასეთად დაიბადა თავისი დიდბუნებოვნებით... ამიტომ მისმა მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დატოვა სამშობლოს გულში
სათნოების,
სამართლიანობის,
ღვთისმოსაობის,
ხელმტკიცეობის სახით.

აქედან გამომდინარე ქართულმა აზროვნებამაც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს სწორედ თამარის ეპოქაში მიაღწია, როდესაც ერმა ქვეყნიერებას მოუვლინა შოთა რუსთველი. პოეტები და ფილოსოფოსები მანამდეც ბევრი გვყოლია და მის შემდეგაც არ ვუჩიოდით მათ ნაკლებობას, მაგრამ დიდი შოთას მსგავსი არავინ მოვლენია საქართველოს. ვინც რა უნდა თქვას და როგორც არ უნდა გადააფასოს ღირებულებანი, ყველას შეიძლება შეეხოს გემოვნებათა გადაფასება ეპოქათა და მენტალიტეტთა ცვალებადობასთან ერთად, რუსთველს ეს არ ეხება. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინმე უაზრო თინეიჯერი რომელიმე ინტერნეტ-პორტალზე რა უხამსობას დაწერს, ეს მის ინტელექტზე მეტყველებს მხოლოდ. რუსთველს ნიკო მარი ებრძოდა თუ ებრძოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა და თითი მოკაკვა, ასე რომ ვთქვათ. ნიკო მარზე აზრიანად და არგუმენტირებულად ვერავინ შებრძოლებია დიდ პოეტს... და როგორც ცოცხალი მითი, რუსთველი ყოველთვის გამარჯვებული დარჩა
ყველა დროში,
ყველა ეპოქაში და
ყველა სივრცეში.

იგი გამარჯვებული მაშინაც დარჩა, როცა ვიღაც ხელმრუდმა და ხელშავმა მისი ფრესკა დააზიანა იერუსალიმში ჯვრის მონასტერში. ეს არამარტო იმიტომ მოხდა, რომ ვანდალური ქმედება საყოველთაო გასაკიცხია, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ რუსთველის ფრესკა მარტო ერთი პიროვნების სახე არაა, იგი საქართველოს სახეა და მისი ფრესკიდან სრულიად საქართველო იმზირება მთელი საშუალო საუკუნეებით —
აზროვნებით,
ცხოვრებითა და
ყოფით,
ის, რაც გაკეთებულა და გაფუჭდა,
ის, რაც გასაკეთებელი იყო და ვერ, ან არ გაკეთდა.

საქართველოს ამაზე ნათელი სახე არცერთ ეპოქაში არ ჰქონდა, შესაძლოა არც არასოდეს ჰქონდეს. ეს სახე სისხლხორციელად, ფუძიან-ფესვიანად ქართულია, ზნემთელი და სრულყოფილი, მეტი რომ არ შეიძლება იყოს, ისეთი იდეალური და ჭეშმარიტად ხელი-ხელ საგოგმანებია.

დრო თავისი მოთხოვნისდა მიხედვით ყველა ერს აძლევს სახისმეტყველებას დროისა და ეპოქის შესაფერისს, განკუთვნილს მხოლოდ მისთვის... არა მსოფლიო სახეს, არამედ კონკრეტულს, სხვათა ტოლს და არა აღმატებულს. რუსთველი მხოლოდ საშუალო საუკუნეების ცნობიერებაში არ ეტევა, არც მაინცა და მაინც მხოლოდ ქართული ნაკვთებია აღბეჭდილი მისი სახის კონტურებზე. იგი ზოგადკაცობრიული ფენომენია, რომლისთვისაც დრო სამარე კი არა, მალამოა,
რაც დრო გადის,

მით უფრო რომ ფასობს მისი ფენომენი არათუ მხოლოდ ქართველობაში, არამედ კაცობრიობაში.

სხვას რას უნდა მივაწეროთ ჯვრის მონასტერში ჩადენილი ვანდალობა. ეს საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა ჰქნეს,

თორემ კონკრეტულად რუსთველს — პოეტსა და მოაზროვნეს, დარწმუნებული ვარ, არც კი იცნობდნენ,

არც ეცოდინებოდათ, რატომაა ის მარადი სახე საქართველოსი.

და თუ რატომაა იგი საქართველოს განსახიერება, ამაზე ზუსტ და კონკრეტულ პასუხს მისი ნამოღვაწარი გაგვცემს,

თუ რატომ იყო, ასე რომ ვესათუთებოდით „ვეფხისტყაოსანს“ - ახალგათხოვილ ქალებს მზითევში ვატანდით ამ უკვდავ წიგნს.

ბევრი უნიკალური წიგნია დაწერილი გარდასულ დროშიც და დღესაც, დაიწერება კიდეც, მაგრამ არავის მოფიქრებია, დავუშვათ, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ ქალიშვილისთვის გაეტანათ მზითევად, თუნდაც დავით გურამიშვილი, საბა, ილია, აკაკი. წიგნისადმი პატივისცემა კი არ შეიცვალა ამით, არამედ ფასეული და ღირებული მარადისობაში ტრადიციად გადაიქცა, ის ერთადერთი იყო და თანაც მთლიანი საქართველოს ანარეკლი, ის, რისკენაც ყოველთვის უნდა ვისწრაფოდეთ.

რუსთველი საქართველოს ერთგვარი მითია, რომელიც ყოველთვის წრებრუნვასავით იწყებს ყველაფერს
თავიდან,
თავიდან და
თავიდან,
თანაც ისე, რომ ის თავიდან დაწყება
სასიამოვნოა და
უფრორე მეტად სასიამოვნოა, ოცნებად ქცეული სამშობლო რომ ხელუხლებლად რჩება და მისკენ სვლა ახალ და ახალ დროებაში თავიდან იწყება. ეს სახე უბერებელია, რადგან სამშობლო და ამ ცნების შეგრძნება არასოდეს ბერდება, მარადი ახალგაზრდაა და აწრთობს ის ახალ თაობებს, ზრდის ზნეკეთილად, არავის არაფერს უშავებს, პატარა არაა...
რაც მთავარია,
დიდია და მწიფე,
იდეალურად სრულყოფილი. მეტი რამ დალპობისკენ ან უმწიფარობისკენ წაიყვანს ნაყოფიერებას. ედემის მსგავსია სამშობლო, საიდანაც ადამ და ევასავით დრო-ჟამმა გამოგვდენა და ახლა მივსტირით იმ დაკარგულ სამოთხეს.

## ერი - ადამიანებში

ერი თუ დაღუპვისთვის არ არის განწირული, ცოცხალ ორგანიზმს წააგავს და იგივე საზრდო სჭირდება, ოღონდ მხოლოდ სულიერი. ის ვითარდება და იხვეწება ამით, შეესაბამება დროს და საწყის სახეს ამკვეთრებს და სახიერს ხდის. ერს თავისი მოთხოვნები აქვს ამა თუ იმ დროში, უპირატესი საფიქრალ-საკეთებელი, რითაც მეტად და მეტად უახლოვდება
თავის საწყისს,
პირველადობას,
ანუ საკაცობრიო გზის სისპეტაკეს და განურყვნელობას.

ჩვენ კოსმიური აზროვნება რომ შეგვიძლია, ამაზე ბევრიც თქმულა და ბევრიც დაწერილია. რუსთველზე რომ აღარა ვთქვათ,
თავისი პოეტური სიმდიდრით,
სინორჩით,
ზეადამიანური სიყვარულით,
სიკოხტავითა და
განუმეორებლობით —

ვაჟა-ფშაველას ვერავინ შეედრება, არათუ მხოლოდ საქართველოში, მსოფლიო ლიტერატურასა და ფილოსოფიაშიც. ვაჟა საქართველოს მსოფლიო სახე არ გამხდარა, რადგან იგი დაიჩაგრა როგორც პატარა ერის შვილი. იგი ბუნებასთან არის გაიგივებული, მაგრამ მხოლოდ ქართულ ბუნებასთან.

მასში არ არის დავანებული უკიდეგანობა ზღვის,
სულისშემხუთველობა უდაბნოსი,
თვალისმომჭრელობა ტროპიკების,
ან სულაც სიცივე არქტიკის,
გაუვალობა ტუნდრის.
მასში განისვენებენ მთანი მაღალნი ზომიერი გამყინვარებით,
სადაც ადამიანს გაეძლება ზომიერი სითბოთი,
სადაც ადამიანი მძლავრობს.
ბუნების მიღმა მასში ადამიანია თავისი კეთილშობილებითა და რაინდობით,
ტოლერანტობითა და სიყვარულით.

ვაჟა-ფშაველაში ბრძენიც არის და ბავშვიც, ერთად შერწყმულია და იგი ბრძენ-ბავშვია. მსოფლიო ლიტერატურას ასეთი ნათელი სახე არ მოეპოვება... და ეს ჩვენი სამშობლოს სახისმეტყველების ერთ-ერთი ნაირსახეობაა, გარდასახვა ვიცით ქართველებმა უნიკალურად, და მიტომ.

მამულის აზროვნება,
ფიქრი,

საქმისადმი განხრა ხვეწავს მორალს, წარმოაჩენს თავის მორალურ სახეს. თუ სინდის-ნამუსს სახე გააჩნია, ასეთ სახედ ილია ჭავჭავაძე წარმომიდგენია, წმინდანადაც აღიარა იგი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა. ეს მხოლოდ იმის გამო კი არ მომხდარა, რომ მან სიცოცხლე მოწამეობრივად დაასრულა, აქ განმსაზღვრელი ტყვია კი არა, თვით პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითია. ერს თუ თავისი სინდისი და ზნეობა არ გააჩნია, მაშინ ფუჭია მისი გარჯა-მეცადინეობა გენიალურ და განუმეორებელ ერობაზე, პრეტენზიაც კი არ უნდა გამოთქვა მაშინ.

ჩვენ უფალმა მოგვმადლა დიადი ზნეობა. ყოველ დროში იყო, რა თქმა უნდა, ზნეობრივი მამები, მაგრამ ილიამ მართალი ცხოვრებით ყველა მათგანი განაზოგადა თავისი სახისმეტყველებით და ერის ერთიანი გონიერი ფენომენი ჩამოყალიბებულ ზნეკეთილ სახედ აქცია სახეში, რომელშიც ყველაფერია და ყველანი არიან,

ილიამდეც ვისაც უცხოვრია და
მის შემდეგაც განაგრძობს ეს სახე ქართველი ერის წრთობას. არა აქვს მნიშვნელობა იმის გარკვევას, თუ რატომ მივიდა ზნეობრივი ერი ზნეობრივი მამის მკვლელობამდე. ისეთი ძალა მოდიოდა და ისეთი უმეცრება მკვიდრდებოდა დედამიწაზე, რომ ილიას მკვლელობა ბუნებრივი ნაბიჯი იყო იმ ბნელი ძალებისა და გასაკვირი იქნებოდა მხოლოდ ის, რომ ილიასთვის დაეცლიათ ბუნებრივი სიკვდილი. ილია თუ არა, სხვა ვინმე იქნებოდა და თუ არა ილია, მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო ის ერის ზნეობის მედროშე, რომელიც ყველაზე მეტად უშლიდა ხელს უზნეობას თავიანთი შავ-ბნელი საქმეების აღსასრულებლად.

ილია და მხოლოდ ილია უნდა მოკლულიყო,

რადგან ისტორიამ დაგვანახა, რა პირსისხლიანმა ძალამ დაიპყრო საქართველო, და მით უფრო მთელი რუსეთი.

ილიას ვინ გაახარებდა?!

ოცდამეერთე საუკუნის გადასახედიდან არ მიკვირს არავის სიცოცხლის მოსწრაფება, მაგრამ დასანანია,

რომ ამ გამხეცებულმა პირუტყვებმა მოხუცი, სიკვდილის პირამდე ისედაც მისული გაიმეტეს სასიკვდილოდ.

რა ძალისა უნდა ყოფილიყო ეს დიდი მოძღვარი ქართველი ერისა თავისი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლებში?!

არც ისაა შემთხვევითი, უგვირგვინო მეფე რომ უწოდეს მას, ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო მოშთობილი ბაგრატიონთა დინასტია და საქართველო ცხოვრობდა სამეფო ხელისუფლებაში ე.წ. „ცარიზმის დროს“, ხოლო მონარქიული მენტალიტეტის იმპერიაში მეფეს ვაგლახად არავის უწოდებდნენ, თუ არა მართლაც მეფეს და ილია საქართველოს მეფე იყო
ზნეობის,
კულტურის,
რაინდობის,
თავდადების.

მას მორალური და სულიერი თვალსაზრისით იმაზე მეტი მოეთხოვება, ვიდრე ოდესმე მოეკითხებოდა გვირგვინოსან ხელმწიფეებს, ქართველი ხელმწიფე იქნებოდა ის, თუ რუსი ცარ-ბატიუშკა.

ილიამ თავისი აზროვნებით, თავისი მსოფლმხედველობითა და პირადი ცხოვრების სანიმუშოობით გადააბიჯა თავის საუკუნეს სიცოცხლეშივე და ამის იქით ბოლშევიკების მეცადინეობა ილიას გზიდან ჩამოცილებისა ნებისმიერი ხერხით დაგვიანებული და უშედეგო იყო. საბჭოთა კავშირის არსებობისას და მანამდეც - ილიას მკვლელობის შემდეგ მის მკვლელებს თან დასდევდათ ამ დიდი ქართველის აჩრდილი, როგორც სულიერი წამება. თავი რომ რაიმეთი ემართლებინათ, ის დააბრალეს, რასაც სიცოცხლეში ებრძოდა. ეს-დეკებმა კი უსუსურად დაიწყეს თავის მართლება —
ესაოდა, მეფის ოხრანკამ მოკლაო.
რომ არა გამოუვიდათ რა,
მერე ისა თქვეს,
იმიტომ მოვკალით, რომ გლეხებს თავზე კოკებს ამტვრევდაო.

მერე შეცბუნებულები იმასაც ამბობდნენ, არა, ჩვენ კი არა, გამწარებულმა გლეხებმა მოკლესო.

ასე ცოდვილობდნენ, ილიას კი წამებულის გვირგვინი დაადგეს თავზე და იმ ერთი, თუ რამდენიმე ტყვიით, რომლითაც მოუსწრაფეს მოხუც ბრძენ-კაცს სიცოცხლე, ილიაში ჩაატიეს მთელი ქართული ძარღვმაგარი ზნეობა, რომელიც დიდ ქართველებს ილიამდე რუდუნებით უტარებიათ, ილია ამ ტყვიით სრულყოფილებად აქციეს, რომელმაც თავის სახისმეტყველებაში ჩაატია
გრიგოლ ხანძთელიც,
გიორგი ჭყონდიდელიც,
არსენ იყალთოელიც,
ცოტნე დადიანიც,
სიმონ მეფეც,
საბა-სულხანიც,
დავით გურამიშვილიც
და მრავალი სხვა გარდასული ქართველი...
და ასე სრულყოფილად ჩამოძერწა საქართველოს სახე —
მაღალი შუბლი,
ჭკვიანი თვალები,
კეთილი ღიმილი,
ის, რითაც ფასობს საქართველო ქართველობით მსოფლიოში.

ოდითგანვე გამოვირჩეოდით ჩვენი ტემპერამენტით, ფეთქებადი ხასიათით. ამავე დროს ჩვენ ინერტულები და ინდიფერენტულებიც ვიყავით გარემო პირობებისა და ვითარების მიმართ. ერთმანეთს ხელს არ უშლიდა ქართული ნიშან-თვისებათა ეს სხვადასხვაობა, პირიქით ავსებდა კიდეც ასეთი პოლუსური სხვაობა. სრულმომცველობით ეს თვისებები, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ფიროსმანმა თავისი სახის-მეტყველებითა და ფენომენით სრულჰყო.

ვიღაცას გაუკვირდება:
ფიროსმანი და მჩქეფარე,
ფეთქებადი ბუნებაო?

სწორედ ფიროსმანმა გამოხატა ეს ბუნება თავის შემოქმედებაშიც და პირადი ცხოვრებითაც მოგვცა მაგალითი.

მას არა აქვს დახატული ცეცხლოვანი ცხენები, ბრძოლის ველზე რომ გარბიან,

მას ხრმალი არ ამოუღია და არ იქნევდა მარჯვნივ და მარცხნივ.

მისი ეს ცეცხლოვანი ხასიათის ცხადება მის ზედმიწევნით სიწყნარეში გამოიხატა, მდუღარე სიწყნარეში, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება იფეთქოს მილიონი ვარდის მსგავსმა თავდავიწყებამ, მსოფლიოს რომ გადაევლო და გააოგნა უცნაურობით.

მისი მეეზოვეცა და მეთევზეც უხილავი ომია აბსტრაქციასთან.

ეს უფრო დიდია და ყოვლისმომცველი, ვიდრე ბრძოლებში გადარეული ცეცხლოვანი თვალების სახვა. დააკვირდით ფიროსმანისეულ თვალებს, როგორ უნიკალურად და უნაკლოდ არის შეხატული ქართულ ხასიათში.

ინდიფერენტულობა?

რამდენიც გინდა, იმდენია ამ მოლალე ქართველ თავადაზნაურობაში. ამასთანავე იმ ფეხებზემკიდიაობაში
როგორი ძალაა ბრძოლის,
როგორი აღტკინებაა გადარევისა და თავდავიწყების.

ვინ უნდა ყოფილიყო უფრო განსახიერებადი ქართულ ხასიათთან, თუ არა ფიროსმანი. ბედ-იღბლის აღმადაღმა ტრიალშიც უბადლოა, შეუდარებელია უიღბლობითა და დაუფასებლობით, ესეც ქართულად და ესეც მთელის სიმწვავით. ფიროსმანი საქართველოს განსახიერებაა მსოფლიოს თვალში, ბევრი ევროპისთვის —
უცნობი და შეუცნობელი,
გამაოგნებელი და უცნაური,
რომლის სიკვდილს უნდა დაელოდო, რათა მერე ექსკლუზიური უფლება მოიპოვო და შენ თქვა, მსოფლიო მოვლენა იყო ფიროსმანი საქართველოსათვისო.

იტყვიან —
„იყო და არა იყო რაო“, -
ზღაპარივით,
მაგრამ ფიროსმანსავით წამოდგება ფეხზე საქართველო და მიაკითხავს მის მაქებარს, რათა უთხრას, -

„თუ ასე კარგი ვარ, ცოცხალი ვარ და ვაგრძელებ სიცოცხლესო“.

ეს საქართველოს ხვედრია, სალაპარაკო და მჯიღების გულზე კვრის სურვილი რომ მოუსპოს ვაიმეგობრებს, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით რომ აბრუებენ თანამეინახეებს და არრას ღონილობს სიტყვის აღსასრულებლად, ისე კი ძირს უთხრიან საქართველოს თავისი ცბიერი ღიმილით.

ფიროსმანი ის ფენომენია და საქართველოს ის სიმეტრიული სახისმეტყველებაა, ამ ცბიერებას და ფარისევლობას რომ ფარდას ხდის და ნიღაბის მიღმა კბილებდალესილი მგელი რომ იმალება.

ჯვაროსნული ომების უსირცხვილობა და უტიფრობა დღემდე მოსდევს გაიძვერა ევროპას და საქართველომ იცის მასთან ბრძოლის საშუალებები - ეუბნება:

„მე შენიანი ვარ, ერთ-ერთი შენთაგანი და თუ არ დამეხმარები, ხელს ნუ შემიშლი ჩემს უთანასწორო ბრძოლაში ჩემს დაუძინებელ მტერთანო“.

## ერის მეხსიერება და სახე

ჩვენი დასაბამი შორეულ წარსულში იკარგება, სადაც მეხსიერება უძლურია შეაღწიოს. გონების დაძაბვა და გახსენება იმისა, თუ რანი ვიყავით თავდაპირველობისას, შეუძლებელია. ვეძებთ ამიტომ მიწაში ჩაფლულ გარდასულ სინამდვილეს,

არ ვისვენებთ, რადგან ეს მთლიანობაში ქართველი ერის გარდასულ ჟამთა ცხოვრებაა. როდესაც დამწერლობა შევქმენით, მახსოვრობა მტკიცედ ჩამოყალიბდა. მაგრამ დროთა მდინარებამ ყველა ძველი წიგნი მიმოფანტა და სანთლით ვეძებდით ყოველ დროში თითოეულ წიგნს, თითოეულ მონათხრობ ამბავს და ჩამოყალიბებულად ერთიანი სისტემით არ წაგვიკითხავს ისტორია ჩვენი ქვეყნის. ერი ითხოვდა ამას თავისი შვილებიდან და ერმავე გამოზარდა ივანე ჯავახიშვილი. მან ერთარსად შეკრიბა ქართული მატიანენი და შეისწავლა, მიწაში ეძება გარდასულ დროთა დიდება და იპოვა. იგი ერთი იყო უამრავთაგან, რომელმაც სრულჰყო სისტემა საქართველოს ისტორიისა.

რაღაც აუცილებლად მიწაში მიდის ისე, რომ მისი პოვნა შეუძლებელი ხდება, რაღაც კი ისევ ამოტივტივდება ზედაპირზე ათასწლეულთა შემდეგ და ერი მას აუცილებლად გაიხსენებს, რადგან მას ყველაზე ძლიერი მახსოვრობის უნარი გააჩნია და ეს მახსოვრობა ივანე ჯავახიშვილია.

ბევრი გვყოლია მეისტორიე, რომელმაც დღემდე მოიტანა ისტორიანი
ქართველთა მოქცევისა,
არაბთა შემოსევებისა,
კურაპალატთა საქართველოისა,
დავით-თამარის ოქროს ხანისა,
ლაშა-გიორგიდან მოყოლებული მთელი ასწლოვანი მატიანე...

ერთის სიტყვით ქართველი კაცი არასოდეს უჩიოდა მეხსიერებას, იგი ყოველთვის წერდა თავის თავგადასავალს, ყველა მათგანში რაღაც მაინც იყო ტენდენციური, რაღაც უზუსტობა გაპარულიყო რაღაცის გამო, ან ვიღაცის გამო.

საჭირო იყო რუდუნებით შეექმნა ერს თავისი თავგადასავალი, გაეანალიზებინა თავისი
ზნე-თვისებები,
სამართალი,
ეკონომიკა,
ყველაფრისათვის შეეხედა კრიტიკული თვალით,

რათა წარმოდგენა შექმნოდა საკუთარ თავზე არა გადამეტებულად თავმოყვარეობით ან თავმოძულებით, მხოლოდ გონიერი თვალით.

აქ სიჩქარე შეუძლებელია, ამ საქმეს მთელი შეგნებული ცხოვრება უნდა შეალიო. თითოეული ქვა საფუძვლიანად შეისწავლო, გააანალიზო, შეუფარდო მსოფლიო ისტორიულ მსვლელობას და საკაცობრიო ჭრილში უნდა გაახსენო ერს,

თუ ვინ იყო ის განვითარების თითოეულ ეტაპზე,
როგორ დაიხვეწა და მოაღწია დღემდე,
როგორ გაითავისა მსოფლიო და
როგორ შეერწყა ისიც მსოფლიო მსვლელობებს. ოდნავადაც არ ჩამორჩენილა, ერთი ნაბიჯითაც კი, ფეხდაფეხ იარა საქართველომ და ეს შენ იცი ყველაზე უკეთ, ჩემი ქვეყნის ყველაზე დიდო მეხსიერებავ.

ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლება შეგვხვედრია, ბევრ მომხვდურს სურდა ჩვენთვის გზა აერია, უკულმაც გვივლია, მაგრამ წაღმართიანად შემოვბრუნებულვართ და გამოვსულვართ დიდ გზაზე. ესეც იმიტომ, რომ
შენ, ჩემო მამულო,
დიდი მეხსიერება გაქვს და ამ მეხსიერებით კვებავდი შენს შვილებს. იცოდი ეპოქათა კანონზომიერებები, რომლებშიც გიწევდა ცხოვრება და თავის გატანა. ამიტომ უადვილდებოდა შენს შვილებს შენი ნამცნებით მომავლის განჭვრეტა.

მიწაც გვიჩიჩქნია, ერის ნატვრის თვალი რომ გვეპოვნა. რა აღარ ვიპოვეთ შენგან გამოვლილი. თანამედროვეობა ძალზედ პატარაა ისტორიასთან შედარებით.
ისტორიას უნდა თავმოყრა,
ისტორიას უნდა სათანადო პატივის მიგება.

ამას შენი დიდი მეისტორიე ყველაზე კარგად ახერხებდა.

ნატვრის თვალის მიღმა შენი წრფელი გული იპოვა და შთამომავლობას გადმოგვილოცა. იშვიათია, როდესაც მეისტორიე თავისი კვლევის ობიექტის გულს იპოვის და გააცოცხლებს.

არათუ ექიმს, მესაათეს მაგონებს ივანე ჯავახიშვილის დაუღალავი შრომა, მესაათეს, რომელიც უწვრილესი დეტალებით აწყობს მთელს მექანიზმს ძველი საათისა და ცხოველ მოქმედებაში მოჰყავს.

მანაც ხომ შენი გაჩერებული დრო აამუშავა სასიკეთოდ, ჩემო მამულო.

ისიც შენი სახეა და შენ ხარ იგი
მოხუცი მეისტორიე,
რომელსაც ლოგინში სიკვდილი არ უწერია.
დღეს ბევრი მეისტორიე გვყავს,
ხან ასეთი,
ხან ისეთი,
ხან ყალბი,
ხან მართალი,
ხან მეწვრილმანე,
ხან მემსხვილმანე,

მაგრამ შენ, მამული რომ გქვია სახელად, იმ სანუკვარ სახეს არ იცვლი, რაც ჩაგბეჭდა და ჩაიბეჭდე გონებაში. ყველა ახალდროების მეისტორიეს იმ დიდებულ სახეს აძლევ ნიმუშად და ყველა მათგანი გმორჩილებს, სხვა მეტი დიდი და დიდებული ჯერ არ შექმნილა შენს წიაღში და ვგონებ, არც არასოდეს შეიქმნება.

სიყალბე
შეუძლებელიცაა და
დაუშვებელიც,
ისტორია ერის მეხსიერებაა, და მიტომ.

ყველაზე უკეთ მეხსიერებამ იცის რა, სად და როგორ ხდება, მომხდარა და არც ის შეეშლება ივარაუდოს, როგორ მოხდება. ამიტომ აზრი არა აქვს სიყალბეს, იმ დიადი სახების კონტურებში ვერ მოექცევა გამყალბებელი, და მიტომ.

ამიტომ ვერ მოძოვა საქართველოს საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ, ყველაფერს თვალნათლივ აეხადა ფარდა. დღეს გაკოტრებულები არიან წითე-













ლი პროფესორები, მათ სიტყვას ფასი აქვს დაკარგული, რადგან იმ დიდებული სახის ყალიბში ვერ ჯდებიან, ეს მაშინ, როცა ერის მეხსიერებას სრულფასოვანი სახისმეტყველება აქვს.

ამ სახის მიღმა ყველაფერი კარიკატურაა,

ნაკვთი ნაკვთს არ ემთხვევა,

ხრტილი ხრტილს,

აზრი აზრს კარგავს.

ეს იმიტომ კი არა, რომ ყველანი დავემსგავსოთ უნდა კონკრეტულ პიროვნებას. არა, ჩვენ რომც არავის დავემსგავსოთ და ჩვენი პირადი ხელწერა გვქონდეს შემოქმედებაში, თუ მართალი ხარ, ყველა მართალს დაემსგავსები და ყველაზე დიდი მართალი ქვეყნად ჩვენი სამშობლოა, ის კი პირუთვნელად გამოარჩევს ერთმანეთისგან ყალბსაც და ნამდვილსაც.

## ქართული ტემპერამენტი

ქართველ ერს ოდითგანვე მოსდგამდა თანდაყოლილი ტემპერამენტი, რომელიც შეიძლება გავაიგივოთ სიფიცხესთან. ფსიქიკური წყობის ეს თავისებურება ცხოვრებისეულ ყველა ასპექტში ვლინდება. ხასიათების ამგვარი გამოვლენა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროშია გაბატონებული. რაღაც შემთხვევაში ეს ჩვენი აქილევსის ქუსლია, მაგრამ უმეტესწილად როცა ჩვენეულ, სამხრეთულ ტემპერამენტს ვავლენთ, მას პოზიტივით ვმოსავთ.

თუ ერის აზროვნება,

სინდისი,

ხასიათი და

სხვა გონიერი გამოვლინებანი

დამოკიდებულია რჩეული კაცების ნამოღვაწარზე, ტემპერამენტი ისეთი გააჩნია ჩვენს ერს, რომ თითოეული ქართველი უხადლო შემსრულებელია ამ თვისების. ამისთვის არ არის საჭირო ერმა წარმოშვას კორიფე, რომელიც უმაღლეს ხარისხში აიყვანს ქართულ ბუნებას.

მაგალითისთვის,

ნებისმიერი ქართველი არაფრით ჩამოუვარდება თავისი სიფიცხით

არც ალექსანდრე ყაზბეგს,

არც კონსტანტინე გამსახურდიას,

არც გრიგოლ რობაქიძეს,

არც ლადო გუდიაშვილს.

ეს ხასიათია, ესაა ხასიათი!!!

რაც არ უნდა შექმნან გენიოსებმა, შექმნილად ჩაითვლება და ჩვენ ყველანი ვიამაყებთ ამ შექმნილით. რა თქმა უნდა, შემოქმედებითი მოღვაწეობა ყველას ხელთ არ ეწიფება. სამაგიეროდ ცეცხლოვანი ბუნების გამოვლინება ყველა ქართველს შეუძლია თანაბრად და, შეიძლება ითქვას, იმ საფიცარ გენიოსებზე უკეთადაც. ჩვენ იმდენად გვაქვს სისხლ-ხორცში გამჯდარი სანგვინური ფსიქიკა, რომ როცა მელანქოლიურ განწყობაზე ვიმყოფებით, მაშინაც კი ეს მელანქოლია თავისი არსით სიფიცხიდან მომდინარეობს,

გულგრილი განწყობაც ასეთივეა

და მხიარულიც.

ყველაფერს ხალიბურ რვალსავით საკუთარი ენერგიის ცეცხლში ვაწრთობთ,

გვიხარია

თუ გვწყინს,

არა აქვს მნიშვნელობა.

ძნელია ასეთ დროს იპოვო კრებითი სახე და თქვა, რომ მან სრულჰყო ჩვენი ქართული ცეცხლოვანებაო.

აზიური თავაწყვეტა და

თავდავიწყება

პატარა ქართველშიც იმ დოზითაა მოცემული, რომ დიდსაც კი გაუკვირდებოდა და ზოგჯერ შეეხარბება კიდეც. დავაკვირდეთ საკუთარ შვილებს და მივხვდებით, რაოდენ დიდია მათში ქართველობა, ეს მაშინაც ხდება, თუ ბავშვი უცხო გარემოში იზრდება, არაქართულში. ამიტომ იყო ისტორიულად ჩვენს თავსატეხთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და მწარე თავსატეხად -

ლეკიანობა - აღმოსავლეთ საქართველოში,

ტყვეთა სყიდვა კი დასავლეთში.

რას ეძებდნენ უცხოელები ჩვენში?

სწორედ იმ ცეცხლს, ამირანმა რომ დაანთო ყველა მამულიშვილის გულში. ცეცხლი გადამდებია და გრძნობადამცხრალი თუ ჩამქრალი გადამთიელები ჩვენით ცდილობდნენ აღეგზნოთ გულები ცეცხლით. მამლუქიანობამ დაანახა მთელს არაბულ სამყაროსაც და ევროპასაც, რომ არაბეთის უდაბნოს მცხუნვარებაშიც კი ცეცხლოვანი ქართველი ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში და საუკუნეების განმავლობაში ფლობდა ეგვიპტისა და ერაყის ქვეყნებს.

აი, სად გაიღვიძა მამულის გენმა!

ესეცაა,

სარწმუნოებაც მებრძოლი გვაქვს, ჩვენი მთავარი სალოცავი წმიდა გიორგია - გველეშაპთან და ბნელეთის ძალებთან მებრძოლი რაინდი.

ეს ხატი ქართველმა ერმა წმიდა მოწამე კაბადოკიელი გიორგის დაბადებამდე შექმნა და მას თეთრი გიორგი უწოდა, კავკასიის მთიანეთში ჯგრაგს, ჯგირაგს არქმევდნენ.

სარწმუნოებისთვის თავდადებაა მთავარი ჩვენს რწმენაში, ამიტომაც ვითვლებით წმიდა გრაალის რაინდებად. მეფიდან დაწყებული უბრალო გლეხით დამთავრებული მრავლად მოგვეპოვება ქრისტესთვის წამებული. ქრისტიანობა ჩვენთვის გაიგივდა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლად და საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე ჩვევად და მოთხოვნად გვექცა თავგანწირვა, თუნდაც უაზრო, მაგრამ ჩვენ მას უაზრობის საბურველიდან ვათავისუფლებდით.

ქართველი და მუსლიმანი გათათრებულად მიგვაჩნდა,

ქართველი და კათოლიკე შეუფერებლად.

სულხან-საბა ორბელიანი კათოლიციზმის აღიარების გამო მცხეთელმა ბერებმა სცემეს. ესეც ნიშანდობლივია - ჩვენ ფუფუნებასა და მარადჟამულ კეთილდღეობას ვერ ვიტანთ, იქვე მცონარებას მივეცემით. ილია ამბობდა და შესჩიოდა ბედს –

„ო, ღმერთი ჩემო,

სულ ძილი, ძილი,

როსღა გვეღირსოს

ჩვენ გაღვიძებაო“.

ჩვენ ვინ დაგვაცლიდა ძილს,

მონღოლის დროს ვფხიზლობდით,

თემურ-ლენგის დროს ვფხიზლობდით,

შაჰ-აბასის დროს ვფხიზლობდით,

ოსმალოსა და სპარსეთის ინტერვენციების დროს ვფხიზლობდით,

რუსის დროს ვფხიზლობთ.

ვინ დაგვაცალა ძილი?!

ამ თავსხმა მომხდურობის ჟამს რომ გვძინებოდა, აღარასოდეს გაგვეღვიძებოდა.

აბა, როდის გვეძინა?

როგორადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, თამარის დროს გვეძინა ღრმა ძილით და ამიტომ შემოგვეპარა ჯალალ-ედ-დინი, თავისი ქვეყნიდან გამოქცეული და დამარცხებული, რომელიც რისხვად დაგვატყდა თავზე. მძინარე ერი დაგვამარცხა, თორემ ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმულ ქვეყანას, ახალ ბიზანტიად გამზადებულ ქვეყანას როგორ დაგვამარცხებდა საკუთარი ქვეყნიდან გამოგდებული ჯარი, დამარცხებულის კომპლექსი რომ სდევდა თან.

ღვთისთვის თავგანწირული ერი თავის სახეს და ტემპერამენტს მშვიდობაში ვერ გამოავლენს. საქართველოს მეფეებს არასოდეს ჰქონდათ იმისი ფუფუნება, რომ მდიდრულ სასახლეებში ეცხოვრათ და ელჩები ელჩებზე მიეღოთ. ქართველი მეფეები ცხენზე ამხედრებულები და ხრმალამოღებულები ხან გარეშე, ხანაც შინაურ მტრებს ებრძოდნენ და სასახლეებში კი არა, ციხე-დარბაზებში ცხოვრობდნენ.

ამან გამოაწრთო ასნაკეცი ხალიბური ხრმალივით ქართული ნება.

გადავღუნულვართ ძალის წინაშე და არა გავმტყდარვართ. ძალა როდესაც იკლებს, იმ ასნაკეცი ნაწრთობივით ვსწორდებით წელში, თითქოს არც არასოდეს მოვხრილვართ, ისე გვიჭირავს თავი და ეს სამარცხვინო არ არის, შეშვენის ქართველს გარემო პირობებთან შეგუება და ყოველთვის ყოველი წნეხის შემდეგ გაასმაგებულად გაძლიერებულები ვრჩებით.

ეს სწორედ ის ფენომენია —

ხალიბური ხრმალი რომ იწრთობა.

ცხოვრებიდან აღებული მაგალითია ეს, ისეთი მაგალითი, წიგნებშიც რომ ვერ ამოიკითხავ.

## იმპულსები

ცნობიერება და ყოველგვარი ადამიანური შეგრძნება ერს იმისთვის სჭირდება, რომ ნათლად გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი პოტენციალი, რათა გამოაწრთოს თავისი არსებობის არსი სულიერი მოთხოვნილების შესაბამისად. ჩვენ ძლიერი შინაგანი ენერგია გვაქვს, შეიძლება ითქვას, ამოუწურავი. ესეც იმიტომ, რომ მცირე ერი ვართ და თვითგადარჩენის ინსტინქტი ჭარბად გვაქვს მოძალებული.

თუ მუდმივად არ ვიმეცადინეთ:

თავის გატანაზე - მშვიდობიანობისას და თავის გადარჩენაზე - ომიანობისას, არსებობას შევწყვეტთ, რადგან ის, რაც ამოუწურავი გვქონდა იმით, რომ მუდამდღე ვიღწვოდით, ახლა ამოიჭმება და სხვა აღარავინ დავრჩებით, თუ არა თავიჭამიები. მაშინ აღარც მეხსიერება დაგვჭირდება, აღარც ნიჭი და აღარც შემართება. ჩვენ საკუთარ სახეს დავკარგავთ და გადავინაცვლებთ სასიკვდილო აგონიის მდგომარეობაში. ქართველობას ბედად დაგვეწერა, რომ დალხენილნი თუ შეჭირვებულნი მაინც მივმართავთ ინტელექტუალურ მოღვაწეობას. ჩვენი გენიალობა იმაში მდგომარეობს, რომ ძალდატანებით და თავსმოხვეული შემოქმედებითი შრომისა და თავისუფალი ნების გამოხატვის დროსაც თანაბრად ფენომენალური ფანტაზია გაგვაჩნია. მართალია, მსოფლიო აღიარება მაინცა და მაინც არა გვაქვს, მაგრამ არავის არაფერში ჩამოუვარდებით, პირიქით, სადღაც ვუსწრებთ კიდეც მსოფლიოში სახელგანთქმულ კორიფეებს. ეს ჩვენი ბედია ასეთი, რომ უნდა საკუთარ ნაჭუჭში ჩავიკეტოთ, თორემ სხვამ ერთი კუდის მოქნევაზე შეიძლება მიიღოს მსოფლიო სახელი. სხვაობა ისაა, რომ ისინი სწორედ რომ აღიარებისთვის იღწვიან, ჩვენ კიდევ ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე მხოლოდ საკუთარი შემოქმედებითი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ვმოღვაწეობთ.

აი, თუნდაც, ქართული საოპერო ხელოვნების მამამთავარი ზაქარია ფალიაშვილი ევროპაში არ იდგმება, მისი შემოქმედება ფაქტიურად უცნობია მუსიკის მოყვარულთათვის და, შემიძლია თამამად ვთქვა, მრავალი პროფესიონალი მუსიკათმცოდნისათვის... და ეს იმიტომ, რომ ფალიაშვილი ქართველია ეროვნებით. მე არავის არაფერს ვაბრალებ, ესაო-და დისკრიმინაციას გვიწევენ და ჩვენ როგორც დაჩაგრული ერი ვერ ვღირსებივართ სათანადო დაფასებასო.

ამ შემთხვევაში არანაირ ჩაგვრასთან არა გვაქვს საქმე, ეს მხოლოდ ქართული ბუნებიდან გამომდინარეობს. ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ერთგვარი კომპლექსი გვაქვს საკუთარი თავის მიმართ: რას იტყვის ჩვენზე ოპერებითა და სიმფონიებით განებივრებული ევროპაო.

საკუთარ თავს არ ვადებთ ფასს სათანადოდ. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად არ ვიცნობთ ჩვენს შემოქმედებით პოტენციალს, თორემ ევროპაში ბევრია მცირერიცხოვანი ერი. რაღა შორს წავიდეთ და, ავსტრია იკმარებდა მაგალითად, მაგრამ ვენის კლასიკოსებმა შექმნეს თანამედროვე მუსიკალური ხელოვნება იმის მიუხედავად, რომ მაშინ არსებობდა ავსტრია-უნგრეთის იმპერია.

ჩვენ ის დიდი სახელებიც გვაფრთხობს, მსოფლიო ხელოვნება რომ განსაზღვრეს.

ერთიცაა, ქართველები ინდეფერენტული ხალხი ვართ, საკუთარის სრულფასოვნად წარმოჩენა გვეზარება, თორემ თავის ქება იცოცხლე-თქო, ვიცით როგორ უნდა. საკმარისი იქნებოდა, გვეთარგმნა პარტიტურა, სათანადო სიმაღლეზე რომ ასულიყო ქართული გენია, მაგრამ აქაც ქართულმა გულგრილობამ იჩინა თავი. მაინცა და მაინც ფორტუნა რომ არ გვწყალობს, ეს არ გვყოფნის და ახლა ჩვენი ეს თვისება დავამატეთ.

ამითვე გვპასუხობენ - ჩვენც გვიყურებენ ზერელე თვალით.

ყველა ერი ცდილობს თავი წარმოაჩინოს ერთი ათად გადიდებულად (ყველა ასპექტში, კულტურაში - მით უმეტეს. მ.კ.), ჩვენ კი - რაცა ვართ, იმის მეათედადაც არ მოგვაქვს თავი, ვფარავთ და ვმალავთ რაღაცას. ალბათ შიშიცაა ეს ე.წ. სალიერის კომპლექსის მიმართ. საკმარისია უცხოეთში გავიდეს ზაქარია ფალიაშვილის თუნდაც მხოლოდ „დაისი“, რომ არათუ მხოლოდ კომპოზიტორის სახელი, არამედ ქართველი კაცის გენია დაფასდება ღირსეულად, ჩვენ კი თუ პირადად ჩვენ არ გვეხება სახელ-დიდება, არ ვიზრუნებთ საზოგადო საქმეზე. ჩვენ სიტყვითა და სადღეგრძელოთი ვამბობთ:

„საქართველოს გაუმარჯოსო!“,

თორემ როგორც კი კონკრეტული საკეთებელი იქნება შესასრულებელი, არრას ვიღონებთ. ხოლო თუ არაფერი გამოგვივა ამ ათასგვარი მეცადინეობისგან, სხვას დავაბრალებთ,

იმას რომ ეს გაეკეთებინა (ან არ გაეკეთებინა),

ასეთი შედეგი არ იქნებოდაო.

სხვას დავაბრალებთ იმას, რაშიც ჩვენ მიგვიძღვის ბრალი, თორემ ლა'სკალაში რამდენ ქართველს უმღერია, წარმატებითაც და... არც თუ წარმატებითაც. არც ერთხელ არ მოგვსვლია აზრად, შეგვეთავაზებინა თეატრის ადმინისტრაციისთვის რომელიღაც სეზონის რეპერტუარში „დაისი“ დაედგათ. ქართველ მომღერლებს იმდენი ღვაწლი ნამდვილად კი გვაქვს, რომ ქართველთა პატივსაცემად ერთ-ერთი სეზონი გაამდიდრონ ქართული რეპერტუარითაც.

მე ნამდვილად არ ვიცი რა ხდება საოპერო თეატრების კულისებში,

მაგრამ ჩემი სურვილია, მოვისმინო

ფალიაშვილი ლა'სკალადან,

ვიქტორ დოლიძე მეტროპოლიტენოპერადან...

თავსაყრელად მაინც არა გვაქვს საოპერო ნაწარმოებები, მაგრამ რაცა გვაქვს, ჭეშმარიტად ფენომენალური გვაქვს.

„დაისის“ უვერტიურა,

ცეკვა „ქართული“,

კიაზოს არია,

მაროს დატირება

და საერთოდ მთელი საოპერო პარტიები და სამუსიკო მასალა მსოფლიო შედევრების რიგში დგას (ჩვენთვის მაინც).

მოისმინოს ეს ოპერა (აღარაფერს ვამბობ „აბესალომზე“) ევროპამ და ქართველების მიმართ მეტი პატივისცემით განიმსჭვალებიან, ევროპა აღმოაჩენს ზაქარია ფალიაშვილს და მას თავისი მნიშვნელობით

ჟორჟ ბიზეს,

შარლ გუნოსა და

ჯორჯ გერშვინის გვერდით დააყენებს,

თუ გექტორ ბერლიოზის,

კამილ სენ-სანსისა და

ჯაკომო პუჩინის გვერდით არა.

ჩვენ - ხალხი და საზოგადოება ვართ, საზოგადოება კი ერის ნაწილია, ერისა, რომელიც მოაზროვნე და შემოქმედია. ეს გულგრილობა ჩვენი უარყოფითი თვისება როდია, ის მხოლოდ თანდაყოლილი ბუნებაა, რომლის დახვეწა და გაკეთილშობილება ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა ისევ და ისევ ჩვენსავე სასიკეთოდ.

ჩვენ - პატარა ერის შვილები ვართ და თითოეული წარმოჩენილი ხელოვანი ჩვენი სიამაყეა.

ფიროსმანმა ისე მოიპოვა მსოფლიო აღიარება და საქართველოს ისე გაუთქვა სახელი, ქართველებს ამ საქმეში თითი თითზე არ დაგვიკარებია, ყველაფერი ძმებმა ზდანევიჩებმა შეაგროვეს და შეაკოწიწეს და ისე წარუდგინეს უცნობი მხატვარი პარიზს. პარიზული ფურორის შემდეგ დავტრიალდით და მოვიძიეთ ნიკალა, მისი მეგობრები, გავიკითხ-გამოვიკითხეთ მისი ცხოვრების შესახებ, რა უხაროდა, რა წყინდა. სამწუხაროდ საფლავი დავკარგეთ მისი, არადა მისი საფლავი საქართველოშია.

ამას უკვე ველარ დავკარგავთ ვერავინ.

რა გრიშაშვილიო,

რა ლეონიძეო,

ყველამ დავიჩემეთ ფიროსმანისტობა,

არადა, ერთხელ იმ სუსხიან წლებში, როცა ნიკალა ეულად დადიოდა ტფილისის ქუჩებში და გაზეთებში დასცინოდნენ, ხატვა არ იციო და ამით პარიზული ტრიუმფის გაუფასურება სურდათ, გალაკტიონმა შეჰყვირა, ან თავისთვის ჩაილაპარაკა -

„დაანებეთ ფიროსმანას

სევდიანი ტვირთები“.

ეტყობა გალაკტიონიც შეაწუხა ფიროსმანის მიმართ გამოჩენილმა უსამართლობამ, მაგრამ ამ სტრიქონების წერის დროს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გალაკტიონიც ფიროსმანსავით ეულად დარჩებოდა, ფიროსმანისგან განსხვავებით უამრავი პატრონის ხელში. ეს უკვე მრუდე სარკეში დანახული ერის სახეა.

## მწერლობის დილემა

მუსიკას მოისმენს კაცი და სათანადოდ შეაფასებს მის მნიშვნელობას და ხარისხს ისე, რომ მაინცა და მაინც არ დაგაინტერესებს, რას მღერის ესა თუ ის მომღერალი, თუ ეს უცხო ენაზე სრულდება.

კარგ კომპოზიციას გაითავისებ და შენად მიიღებ.

სულაც არ არის სავალდებულო პარტიტურის თარგმნა „დაისისა“, თარგმანი მხოლოდ მომღერალს გაუიოლებს ნამღერის აღქმას, თორემ ჩვენც ვისმენთ

იტალიურ,

გერმანულ თუ

ავსტრიულ ოპერებს და

ენის არცოდნის გამო ამ ნაწარმოებთა შეფასებაში არ შევმცდარვართ.

მხატვრობის მხრივ კიდევ უფრო იოლადაა საქმე - დაათვალიერებ ექსპოზიციას ისე, რომ ერთ ხმასაც არ ამოიღებ. ლიტერატურასთან მიმართებაში კი საქმე სხვაგვარადაა.

მწერლობა ყოველთვის დამოკიდებულია ერზე და ენის სიმდიდრე-სილარიბეზე. რამდენადაც მრავალრიცხოვანია ერი და ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა, მით მეტი მკითხველი ჰყავს მწერალს, თუ რა თქმა უნდა, მისი ნაწარმოები არ სცდება იმ ერის ფარგლებს.

უმთავრესად კი იგი დამოკიდებულია სახელმწიფოსა და სახელმწიფო პოლიტიკაზე. თუ კონკრეტული ქვეყნის გავლენა ვრცელდება სხვა ქვეყნებზეც, დომინანტი ქვეყნის ენა საერთაშორისო ურთიერთობათა ენად არის მიჩნეული, შესაბამისად მწერალი იმდენსავე მკითხველს იძენს დამატებით, რიცხობრივად რამდენი ადამიანიცაა ამ საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებაზე დამოკიდებული.

თავისთავად ყველა ვერც და არც იქნება მკითხველი საზოგადოება.

რჩეულები ქმნიან კულტურულ ატმოსფეროს ყველგან.

ჩვენში ლევ ტოლსტოი უფრო ცნობილი მწერალია, ვიდრე ბალზაკი და ჰიუგო ერთად აღებული და ეს იმიტომ, რომ საქართველო საუკუნეების მანძილზე რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და საერთაშორისო სალაპარაკო ენად რუსული იყო მიჩნეული, და არა ფრანგული,

რუსეთისთვის კი პირიქით, - ფრანგული, და არა ინგლისური.

რუსეთში ფრანგული ლიტერატურა უფრო ცნობილი იყო, ვიდრე ინგლისური, ეს სინდრომი მეტ-ნაკლებად ჩვენზეც გადმოდიოდა. IXX საუკუნეში, განსაკუთრებით ნაპოლეონის შემდეგ, საკოკეტო ენად ფრანგული ითვლებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დეკაბრისტები და პუშკინის საზოგადოება ფრანგულად საუბრობდნენ,

ეპისტოლარული ლიტერატურაც ამ ენაზე იქმნებოდა, როგორი საყოველდღეო და საყოფაცხოვრებო შინაარსის არ უნდა ყოფილიყო.

ეს პრობლემა თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა, ცოტაც და რუსული ლიტერატურა ფრანგულად დაიწერებოდა, რომ არა

გერცენისა და გოგოლის,

ნეკრასოვის და ტიუტჩევის,

ტურგენევის და დოსტოევსკის დიდი მეცადინეობა რუსული ენის პოპულარიზაციის საკითხში.

საბოლოო წერტილი მედასავლეთეებსა და სლავიანოფილების დაპირისპირებას ტოლსტოიმ და ჩეხოვმა დაუსვეს.

რუსეთი ამ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი - მრავალმილიონიანი ერი და ჩვენ რა დაგვემართებოდა!.. მილიონებს ვინ დაეძებს, თითზე ჩამოსათვლელები ვიყავით. ვისთვის უნდა გვეთქვა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქართული წიგნი ქართულად წაიკითხეო?! მადლობელი უნდა ვყოფილიყავით ნათარგმნის წაკითხვას თუ მოინდომებდნენ. ქართულ წიგნს და ქართველ მწერალს კი არა, სულაც საქართველოს არ იცნობდნენ, ხოლო ვინც იცნობდა, იგი განგებ ცდილობდა მიეჩქმალა ქართული ფენომენი.

რამდენ საპოლემიკო ომში ჩართულა ილია ჭავჭავაძე უცხოელი მლანძღველები რომ მოგვეგერიებინა. ესენი ყველანი რუსები იყვნენ და იმიტომ, რომ რუსი დომინანტი იყო ამ ურთიერთობებში. მას უნდა ეკარნახა ჩვენთვის რა და როგორ გვეკეთებინა, მისი ტოლი რამეში არ უნდა ვყოფილიყავით, და მით უფრო უკეთესები. ყველანაირად ცდილობდა ჩვენი დამპყრობელი ჩვენში შეეფერხებინა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა.

რატომ იყო, მეოცე საუკუნემდე რომ კლასიკური მუსიკა არ გვქონდა,

გიგო გაბაშვილამდე კლასიკური ფერწერის სკოლა არ გვქონდა...

განა არ გვქონდა ეროვნული მუსიკა, ეროვნული ფერწერა, ეროვნული სკულპტურა, ბუნებრივია გვქონდა და მისი განვითარების ყველანაირი საშუალება და ბაზა გაგვაჩნდა, მაგრამ პერმანენტულმა ომებმა და რუსულმა ექსპანსიამ ქართველები ჩამოგვარჩინა მსოფლიო კულტურული აღმასვლის კვალდაკვალ განვითარებას.

მხოლოდ მაშინ აღდგა ჩვენი პოტენციალი, ისიც სუსტად, რა დროიდანაც ჩვენ სასწავლებლად ვგზავნიდით ჩვენს ახალგაზრდობას არათუ რუსეთში, არამედ ევროპაში.

სწორედ რომსა და ვატიკანში მიღებულმა განათლებამ შექმნა ქართული კლასიკური მუსიკის საფუძველი და კერა,

იაკობ ნიკოლაძის როდენის სახელოსნოში დახელოვნებამ განავითარა ჩვენში სკულპტურა,

ფიროსმანს არსად და არავისთან უსწავლია, გარდა ეპოქისა.

გოგენმა ტაიტიზე წითელი ძაღლი და წითელი ცხენი შექმნა,

ფიროსმანმა ტფილისში გოგენისგან დამოუკიდებლად შექმნა წითელპერანგიანი მეთევზე.

წყალთან არის ასოცირებული გოგენის ცხენი და ძაღლი და ფიროსმანის მეთევზეც.

მოგვიანებით ეპოქის მაჯისცემაშესწავლილმა კანდინსკიმ შექმნა ტილო „წითელი ცხენის ბანაობა“.

ამით იმის თქმა მსურს, რომ ხელოვნების ამ დარგებს არ სჭირდება საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალება - ლინგვა. მწერლობისთვის კი დახურულია ეს ფუფუნება და იგი დამოკიდებულია თარგმანსა და კალკირებაზე.

ფიროსმანს ვერაფერი მოუხერხეს, რადგან რუსეთის გვერდის ავლით გავიდა პირდაპირ ევროპაზე და ისეთ დროს, როცა მოდაში იყო მოდერნი. ჩვენ გვქონდა და გვაქვს იმისი პოტენციალი, რომ მსოფლიოში გავუთქვათ ქართულ გენს სახელი, მაგრამ საამისოდ არაფერს ვაკეთებთ, მტერი კი ყოველნაირად ცდილობს დაგვაჩლუნგოს.

ილია ჭავჭავაძე საუკეთესო რომანისტი იქნებოდა, მისი გენია არაფრით ჩამოუვარდებოდა

ფლობერს,

ჰიუგოს,

ბალზაკს,

დიკენსს...

მის თანამედროვეთაგან ყველაზე სახელგანთქმულ მწერლებს, მაგრამ ამაშიც გამოვლინდა ქართული გენიის ბედისწერა - სამშობლოს სადარაჯოზე პირველი მწერალი იდგა და თავისი პუბლიცისტიკით თავზარს სცემდა მტერს. მას უბრალოდ არ ეცალა რომანების წერით გართულიყო, იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ ბუვიეს „იზას“ თარგმანით.

მთელი შემოქმედებითი ძალისხმევა დიდმა ილიამ საბანკო საქმიანობას,

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას,

გაზეთ „ივერიას“,

თეატრალური საზოგადოების ფეხზე დაყენებას შეალია.

ილია თვითონვე გადაიქცა რომანად, ერთ დიდ ქართულ საგად.

ილიას რომ რომანები ეწერა და ევროპაში ამით გაეთქვა სახელი, საზოგადო საქმეს ვინ გააკეთებდა მაშინ? ვიღაცას ხომ უნდა ეტვირთა ეს მძიმე უღელი ერისა.

აკაკი ლექსებს წერდა,

ვაჟა ფილოსოფოსობდა,

ყაზბეგი რომანებზე მუშაობდა,

დავით კლდიაშვილი მოთხრობებს თხზავდა,

ილია მარტო იყო ყველას წინაშე, მტერსაც და მოყვარესაც სათანადო პასუხს სცემდა. მის ირგვლივ წრე შეიკრა თავსატეხების.

ხოლო ვინც რომანებსა და ლექსებს წერდა, იმათმა ქართული მწერლობა ვერ გაიტანეს საქართველოს ფარგლებს გარეთ. დასანანია, მაგრამ იმ დროშიც ყველანი ერთმანეთს ვუშლიდით ხელს.

დიდი მთარგმნელი ივანე მაჩაბელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ვინც რასაც აკეთებდა,

ერთმანეთს ხელს უშლიდა,

ესაოდა,-

მე უკეთ და...

მე უკეთესიო...

დიდ-პატარა ყველა ჩართულიყო ამ კინკლაობაში. ილია განზე იდგა მწერლობიდან, მაგრამ არც მას ასვენებდნენ საზოგადო საქმეთა კეთებაში და არც იგი აცლიდა სხვას რაიმე ეკეთებინა. დუელში გამოიწვიეს ერთმანეთი ნიკო ნიკოლაძემ და ილიამ. მორიგებით დამთავრდა პაექრობა. ბუნებრივია, ასეც დამთავრდებოდა, თორემ ამაზე დიდი სამარცხვინო არაფერი მოხდებოდა საქართველოში.

რუსეთში დიდ მწერლებს ბალიათიშაურად კლავენ დუელებში, ჩვენში კი ქურდულად და ჩასაფრებით ამოიღებენ მიზანში დიდ-კაცებს.

ესეც ჩვენი მამული და

ესენიც ჩვენი მამულიშვილები!!!

იმის ნაცვლად, რომ ხელი-ხელჩაკიდებულებს ერთმანეთი გაგვეტანა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთ, ერთმანეთს შევუშალეთ ხელი. მტერი გაიხარებდა, აბა რას იზამდა. ახლა კი ვიღაცას გაუკვირდება, ამ მწერალთა კავშირში როგორ დაწყვიტეს ერთმანეთიო. ეს იმასთან შედარებით ბალღური სიცელქეა.

ეს მედლის ერთი მხარეა, მეორე კი სახელდობრ თარგმნის ფენომენი.

მხედველობაში არა მაქვს თარგმანის ტექნიკური მხარე, ანუ თარგმანის ხარისხი და დედანთან იდენტურობის მაჩვენებელი, ამ შემთხვევაში თარგმანის საჭიროების პრინციპზეა საუბარი.

მწერლები ყოველთვის ცდილობდნენ პოპულარულები ყოფილიყვნენ საზღვარგარეთ. ამიტომ მთარგმნელებს საგანგებოდ ირჩევდნენ. მთარგმნელებისთვის საპატიო იყო ასეთი მოვალეობის დაკისრება, გულმოდგინედაც შრომობდნენ და შედეგსაც შესაფერისს იღებდნენ. თარგმანის პრინციპს წარმოადგენდა ავტორისა და ნაწარმოების გაცნობა მსოფლიოსთვის, ყოველ შემთხვევაში მიდგომა იყო ასეთი.

რა თქმა უნდა, ამას კვალად მოჰყვებოდა ჰონორარიც, რომელიც დაწესებული იყო სახელმწიფოდანაც და გამომცემლობიდანაც.

ყოფილა საგანგებო დავალება-დაკვეთა, ინდივიდუალური სურვილი, პიროვნული ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალეობა, ამ მიზეზთა უკან არ მდგარა თარგმანით სპეკულაციით გამდიდრება, გამოჩენა, ქვეა გრძნობა.

დღეს ერთ სიტყვას არ გითარგმნიან ისე, რომ არ იყოს დაანგარიშებული მისთვის განკუთვნილი თანხები, არავინ მოკიდებს ხელს შენს ნაწარმოებს, როგორი ფენომენალურიც არ უნდა იყოს. თუ მთარგმნელი არ შეგითანხმდა გასამრჯელოზე, პატრიოტული გრძნობა უკანა პლანზეა გადასული. ათასი სისულელე ითარგმნება უცხო ენაზე იმიტომ, რომ ავტორები კარგად უხდიან მთარგმნელებს. ამდენად, საზღვარგარეთ მრავლად გადის მდორე და უხარისხო ნაწარმოები, ღირსეული და ღირებული კი უკეთეს დროს ელოდება, მაგრამ დადგება კი უკეთესი დრო?

ესეცაა, ზოგიერთს, ისწავლა რა უცხო ენა და ტყიპინებს რამოდენიმე ენაზე, წარმატებულ მთარგმნელად მოაქვს თავი. ამით ხარისხი კი არა, ფასი იწევს მაღლა, საკუთარი თავის ფასი, სხვა არაფერი. მნიშვნელობა არა აქვს რეალურია თუ არა ეს ფასი, მთავარია მოახდინა თვითშეფასება და ამით განსაზღვრა, ასე ვთქვათ, სათარგმნელო ბაზარზე ფასი.

ვისაც ხელთ არ ეწიფება, ბაზარს ვერ ეკარება, ამით შეიძლება არათუ კონკრეტული მწერალი, არამედ თვით ქართული ლიტერატურა დაზარალდეს...

და მართალი რომ ითქვას, სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა სამწერლო „ექსპორტირების“ საქმეში, ექსპორტის გარეშე კი მარტო ქართველ მკითხველზე დაყრდნობით სახელს ვერ დაიმკვიდრებს მწერალი, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მისი შემოქმედება.

სადღეისოდ ქართულ მწერლობაში ყვავის არაპროფესიონალიზმი, მოდაშია მედროვე და უნიჭო მწერალი. ჭეშმარიტი ხელოვნება მიჩქმალულია.

ეს არ-ახალია,

ძველია.

მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ მოდურ მწერლუკებს დიდი ამბიციები გააჩნიათ და შესაბამისად გააჩნიათ სახსრები, რათა სხვისი კუთვნილი ადგილი დაიკავონ ისტორიაში. ბევრი ამბობს, რომ ისინი ისტორიაში ვერ შევლენ, ეს მხოლოდ სურვილიაო.

ისინი შევლენ ისტორიაში და ამ ეპოქაზე იტყვიან, რომ

ქართულმა მწერლობამ იმ დიდი სახელების შემდეგ განიცადა დეგრადაცია და მაგალითებად ამ უნიჭო მწერლებს დაასახელებენ.

თუ ამათ პარალელურად მაგიურ წრეს ჭეშმარიტი მწერალიც გაარღვევს და თავს გამოიჩენს სამწერლო ასპარეზზე, იმასაც დასძენს ისტორია, რომ აი, ასეთ დიდ მწერლებს ჩქმალავდნენ ეს მედღე-ხვალიე და მედროვე მწერლუკებიო...

და ეს ჩვენი ისტორია იქნება —

ჭეშმარიტი და შეულამაზებელი.

ისტორია კი

გინდა-არგინდა,

მოგწონს თუ არა,

მაინც უნდა გიყვარდეს,

სამშობლო ადამიანებიცაა,

და მიტომ.

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)

# საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი!



(დასაწყისი მე-2-3 გვერდებზე)

**გარდასახვა**

ისტორიამ მრავალსახეობის ოსტატობას შეგვაჩვია, დავხელოვნდით კიდეც ამ საქმეში. მტერი სხვადასხვა მხრიდან მოდიოდა და მას სხვადასხვა სახე ჰქონდა. ქართველებს ყველა ნიღაბი უნდა მოგვერგო ისე, როგორც ნამდვილი და არ უნდა გაჩენოდა მომხვდურს იოტისოდენა ეჭვი ჩვენი სახის გარდასახვის გულწრფელობაში. ხანდახან მოღალატის როლსაც ვთამაშობდით მთელის გატაცებით და დავდიოდით ქვეყნად მოღალატის იარლიყით, საქვეყნო საქმეს კი ყოველთვის უჩუმრად ვაკეთებდით. ამ ეროვნული შეგნებით გვივლია ქვეყნად და სიკვდილისიც არ გვშინებია. მხოლოდ ისტორია ამბობდა პირუთვნელად ჭეშმარიტებას და მოღალატედ შერაცხულნი გმირებად ევლინებოდნენ მამულს. ნიღაბი კი იმდენად მორგებული იყო სახეზე, რომ გვაბნევდა, სინამდვილის აღქმაში გვიშლიდა ხელს, კლიშეს ვერ ვიცილებდით.

ესეც ჩვენი ტრაგედია იყო, მაგრამ სწორედ ასეთმა ყოფა-ცხოვრებამ განავითარა ჩვენში სახიობობის ხელოვნება. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ტფილისის მსახიობთა დასი კრწანისის ომში აქტიურად მონაწილეობდა.

კრწანისზე ხომ მხოლოდ მამულიშვილები იდგნენ,

მათ სჭირდებოდათ გამხნევება და თანადგომა,

გარდასახვა უნდა მოეხდინათ დაუძლევლობის,

თუნდაც სიკვდილის ფასად.

თამაში გათამაშებაში განსახიერდა,

გათამაშება კი სხვა არაფერია, თუ არა როლის შესრულება.

როლი დავალებაა თამაშში, რომელიც სხვადასხვა მოთამაშეს უნაწილდება. ამ დავალებას

ზოგი პირნათლად ასრულებს,

ზოგიც ვერა.

სათეატრო როლიც ასეთივე დანიშნულებისაა. IXX საუკუნის 50-იანი წლების დასი საკმაოდ წარმატებული ამიტომ გამოდგა.

თეატრალური დასის განახლებამ კი ახალ სიმაღლეზე აიყვანა სამსახიობო ხელოვნება. იქმნება ქართული დრამატურგია, ყალიბდება თეატრალური საზოგადოება და ეს მოძრაობა ერთვება ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების საქმეში.

თაობას თაობა ცვლის, მომდევნო თაობა წინა თაობის უმჯობესია. ჩვენმა თეატრმა შექმნა პრეცედენტი მაყურებლის კულტურულ-საგანმანათლებლო აღზრდისა. აქამდე თუ ეკლესიებსა და სასწავლებლებში ხდებოდა ხალხის ერად ჩამოყალიბების, ადამიანის პიროვნებად გარდასახვის პროცესი, ამას თეატრიც დაემატა, როგორც თვალხილული ნიმუში ზნეობრიობისა.

იყო, რა თქმა უნდა, იდეოლოგიით დატვირთული რეპერტუარი –

ან ეროვნული,

ან ცარისტული,

ან კომუნისტური,

მაგრამ აუცილებლად ყოველ სპექტაკლში რაღაც კაცობრიულ ნიშს იძენდა მაყურებელი და იგი მსოფლიო ნაწილი ხდებოდა ისე, რომ აღარ იყო საჭირო რაიმეს მიჩქმალვა,

ვიღაცის გადამალვა,

რაღაცის გადათარგმნა.

სახიობას –

მიმიკას,

მოძრაობას,

ჟესტიკულაციას,

ცეკვას უკვე აღარ სჭირდებოდა ზედმეტი დახმარება პოპულარიზაციისათვის. ჩვენ ისე განვავითარეთ ჩვენი სახიობა, რომ კინოხელოვნებისთვის წინდაწინვე შემზადებულნი ვიყავით, თითქოს ვიცოდით მოახლოვებული ხელოვნების ახალი დარგი და ვგრძნობდით მის თავბრუდამხვევ წარმატებას. ჩვენ არათუ კარგი მსახიობები გვყოლია და გვყავს, ჩვენ თვითონა ვართ საუკეთესო მსახიობები, უბრალოდ ყველას არ მიეცა ამ ნიჭის გამოვლენის საშუალება.

კინოხელოვნებამ მარადისობაში დააფიქსირა სახიობა. ჩვენ არავის გვინახავს მარჯანიშვილისა და ახმეტელის დადგმული სპექტაკლები და თავგამოდებით ვერ ვიმსჯელებთ მათ ავკარგიანობაზე. მხოლოდ თვითმხილველთა შთაბეჭდილებებს ვენდობით. საილუსტრაციოდ კი ისევ კინოს მივმართავთ, როგორ განასახიერებდა ესა თუ ის მსახიობი ამა თუ იმ როლს. ჩვენ კინო გვაძლევს იმას, რომ დავინახოთ მსახიობთა შემოქმედებითი ენერგია, მათი საშემსრულებლო სტილი.

მე დღესაც თვალწინ მიდგას სერგო ზაქარიაძის მიერ შესრულებული შადიმან ბარათაშვილის როლი.

ეს თამაში აღარაა,

ეს შესხეულებაა მსახიობისა პერსონაჟთან და იმდენად ჭეშმარიტად, რომ კარგა ხანი შადიმანად აღვიქვამდი მსახიობს.

ქართულმა გენმა შესძლო, თამაში ცხოვრებად ექცია და ცხოვრება თამაშად. ამისი ნათელი დასტური თვით გიორგი სააკაძე იყო, რომელმაც ისე მოირგო მოღალატის ნიღაბი და ისე ასრულებდა მთელი ცხოვრება ამ სამარცხვინო როლს, რომ რაღაც მომენტში ეჭვიც კი მეპარება, თამაში რეალობაში ხომ არ გადაუვიდა და თვითონაც ხომ არ ირწმუნა ამ როლის განამდვილება?

ეს საკითხი, რა თქმა უნდა, სხვა საკითხია და მხოლოდ სიტყვამ მოიტანა. აქ მთავარი ისაა, რომ ამ გარდასახვაში, ისტორიული კატაკლიზმების ორომტრიალში ჩვენ ვიწრთობოდით დიდ და განუმეორებელ მსახიობებად. ერთობა სამშობლოს გულიდან მოდის და საკუთარ თავს კვებავს. ჩვენთვის ამ თამაშში აპლოდისმენტები არავის დაუკრავს, რადგან ყველას ჰგონია, რომ ეს თამაში კი არა, იყო მხოლოდ ცხოვრება.

ასევეა გარდასახვით მოცემული სახეები:

ჰამლეტის,

ოიდიპოს,

რიჩარდ მესამის...

ეს ჩვენ ვიყავით ნერონზე უკეთესი მსახიობები და მეფეებიც ამავდროულად. უნდა ითქვას მთელის გულწრფელობით, რომ აკაკი ვასაძის მიერ შესრულებული შაჰ-აბასის როლი როლად არ მიმაჩნია, იგი თვით შაჰაბასი იყო იმჟამად, კი არ თამაშობდა როლს, არამედ მსახიობი გარდაისახა ცინიკოს და ვერაგ დამპყრობლად. მის თვალებში საშუალო საუკუნეების დაუნდობლობა იკითხებოდა. მისი დამოკიდებულება ქვეშევრდომთა მიმართ შეუდარებლად არის გადმოცემული. ვერც ერთი სპარსი ისე ვერ შეასრულებდა შაჰ-აბასის როლს, როგორც ეს ქართველმა შეასრულა.

ესეც ალბათ ბედის ირონიაა.

ჩვენ უცხო მეფეებს უფრო კარგად განვასახიერებთ, ვიდრე ქართველებს.

ესეც ერთგვარი ნიჭია და ეს ნიჭი მსახიობს კი არ ეკუთვნის და მისგან კი არ გამომდინარეობს, ეს ჩვენი გენეტიკურად გარდასახვით მონიჭებული იმიტაციის ინსტინქტია და სხვა არაფერი. სწორედ ამ გარდასახვით გადავრჩით, კარგად შევძელით სხვათა სახის ათვისება ისე, რომ საკუთარი სრულად შევინარჩუნეთ.

# საქართველო იყო მათი სათაყვანებო სახელი!





ამ გვერდებზე მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ ადამიანთა, კორიფეთა თუ უბრალოდ ვარსკვლავთა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში.

ისინი ჩვენი სამშობლო არიან!

მათ ცნობენ, უყვართ, ენატრებათ, იხსენებენ...

საალდგომოდ, დიდი სურვილი გვქონდა, სულთათანა გვეთქვა მათი სულებისათვის, გაგვეხსენებინა, და ამ გახსენებით უხილავი ძაფი გაგვება ჩვენსა და ჩვენს სამშობლოს შორის.













სწორედ ესაა და
მხოლოდ ესაა სამშობლო!!!

ამიტომ გავედით მსოფლიო ასპარეზზე ქართველები, როგორც ნიჭიერი მსახიობები.

ცხოვრებამაც გვამსახიობა ერთმანეთთან, ამიტომ ერთმანეთი კარგად რომ შევისწავლეთ, ამიტომ ჩვენი ანეკდოტები და იუმორიც კი ცოტა არ იყოს მკბენარაა.

სახიობამ იმდენად დაგვიპყრო,რომ არათუ მეფეებს უცხოეთის ლიტერატურულ გმირებსაც შესანიშნავად ვართმევთ თავს, საკუთარს ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას.

ზინაიდა კვერენჩხილაძეზე უკეთესი ანტიგონე არ ექნებოდათ გააზრებული თვით ძველ ელადელებს,

იფიქრებ იმასაც, რომ მხოლოდ ვერიკოსთვის თუ შეიქმნა ივდითის სახე მსოფლიო დრამატურგიაში,

დედოფალ მარგოს როლი ხომ მხოლოდ სესილიას უნდა ეთამაშნა ქვეყნიერებაზე და ამით უნდა თქმულიყო ყველაფერი (და ითქვა კიდეც).

სერვანტესის „დონ კიხოტი“
რამდენჯერ არ დაიდგა,
რამდენჯერ არ გადაიღეს,
რომელ ქვეყანაში არა,
რომელ დროსა და ეპოქაში არა,

მაინც ქართველებმა რომ გავართვით თავი მწუხარე სახის რაინდის სახებას, არავინ თქვას სხვა.

ეს ტრაბახი არაა, ეს ისეთი რეალობაა, რასაც თვით შექსპირის სამშობლო აღიარებს,

სერვანტესის სამშობლო აღიარებს...
და ვინ არა...
ჩვენ ამას არ ვამბობთ,

ჩვენ მხოლოდ მათ ნათქვამს ვიმეორებთ და ხაზს ვუსვამთ ქართულ გენიას სახიობობის ხელოვნებაში.

აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო - იმ მაჩაბელის სამშობლოში, რომელი მაჩაბელიც კრწანისის ველზე იდგა და კიდეც იბრძოდა და კიდეც ამხნევებდა თანამებრძოლთ. ჩვენ სხვათა ომებში ისე ვიბრძოდით, მტრის წისქვილზე ვასხამდით წყალს ჩვენსავე საზიანოდ.

აბა სხვა რა იყო XVII-XVIII საუკუნეებში სპარსეთის დროშის ქვეშ ავღანეთის სპარსეთზე ექსპანსიის შეჩერება და ამით ჩვენი ოდითი მტრის გაძლიერება ისე, რომ ჩვენც გადმოგვწვდა მერე და მერე. ეს რომ არა, შესაძლოა IXX საუკუნეში, ანუ რევოლუციებისა და გაბატონებული ბურჟუაზიის ერაში შეგვებიჯებინა მხნედ, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა და არ ჩამოვრჩენოდით მსოფლიო ძვრებს.

მეტად ვიქნებოდით ფასდადებულნი და ისიც შეიძლებოდა მომხდარიყო, მსოფლიო მომავალი რაღაც წილად ჩვენი გადასაწყვეტიც ყოფილიყო.

არ ვიქნებოდით მსახიობები და იმიტატორები, სამაგიეროდ ვიქნებოდით თავისთავადნი, ეგვიპტესა და ერაყს თუ არ განვაგებდით, ვიქნებოდით ძლიერი საქართველოს მმართველები და რაც სპარსეთს დავეხმარეთ, რაც მამლუქებმა საკუთარ აღვირქვეშ მოვაქციეთ, არ იქნებოდა ესენი არც ერთი, როგორც ავი სიზმარი.

სამაგიეროდ ყველა დაკარგულის გონება და ძალა მოხმარდებოდა საქართველოს. ჩვენ მამაცი ხალხი ვართ და არ გაგვიჭირდებოდა დავითისა და თამარის საქართველოს განმეორება, ახლა კი ეს ძნელია და ფაქტიურად შეუძლებელი.

ახლა მხოლოდ უნდა ვიოცნებოთ როგორც მსახიობებმა, წარმატებული როლის მოცემის მოლოდინში რომ არიან. წარმატებული როლები კი სხვათა ნამოქმედარიდან გამომდინარეობს, სხვისი ორიგინალის ასლებად გადავიქეცით.

დასანანია, როგორ გაიფლანგა ქართული ნიჭი (და დღესაც იფლანგება), რომ ერთი ხეირიანი სიტყვა მსოფლიო ასპარეზზე როგორც ქართველებს (და არა როგორც მანქურთებს) არ გვითქვამს.

## IX. და მაინც...

რაც სამშობლოა და სამშობლოს ასოციაციას იწვევს, უნდა გვიყვარდეს. პატრიოტიზმი კაცთმოყვარეობას გვაჩვევს და იმაზე დიდი კოსმოპოლიტი არავინაა ქვეყნად, ვიდრე პატრიოტი. ამას ვაჟა-ფშაველა ამტკიცებდა, არათუ მხოლოდ სტატიით, არამედ პირადი ცხოვრებითაც.

ვაჟა-ფშაველა ქართველი რომ იყო, იმიტომ უყვარდა მშობლიური მიწა-წყალი. უადამიანოდ არ არსებობდა მისთვის მამული,

ფოთოლი არ ცოცხლობდა,
ბალახი არ სუნთქავდა...

ბუნება რომ უყვარდა, ბუნებამ სახელმწიფოებრივი საზღვრები არ იცის, ამიტომ მას თვით დედამიწა უყვარდა
თავისი ნაკლით,
თავისი მომხიბვლელობით,
თავისი სიდიადით და
თავისი სიმცირით.

ჩვენ რამდენადაც მცირერიცხოვანი ერი ვართ, იმდენად უფრო ზვიადი ბუნება გაგვაჩნია.

მამულის ისტორია მარტო ბუნებით არ შემოიფარგლება, ეს მხოლოდ გეოგრაფიაა, მისი გარეგანი სახე. მისი ცხოვრება, მოვლინების შინაარსი და დანიშნულება მის განვლილ გზაშია. გზას კი მხოლოდ ადამიანები გადიან. ამიტომ თუ სამშობლოს სიყვარულზე ვდებთ თავს, უნდა გვიყვარდეს ის განვლილი მრუდე, ეკალ-ბარდიანი დიდების შარავანდედით მოსილი განვლილი და გასავლელი გზები. ყველაფერი ეს გვაახლოვებს საკუთარ თავთან და ისე გვაახლოვებს, რომ სხვის თვალებში საკუთარ თავს ვუყურებთ სარკესავით და ის გვიყვარს იმიტომ, რომ მასში ჩვენი თავიც იგულისხმება. სწორედ ესაა მამულიშვილობა.

ერთ პროზაულ ლექსში ოსკარ უაილდმა წყალი ალაპარაკა, ზეალმატებული, მიწიერი ნარცისიზმით გაჯერებული:

„რომ ჰკითხეს წყალს, რად დაღონებულხარო, მან პასუხად მიუგო, - მე ნარცისს კი არ ვდარდობ ჩემში ჩამხრჩვალს, არამედ მის თვალებში მე საკუთარ თავს ვუყურებდი და ის დავკარგეო“, - ასეთი შინაარსის იყო ეს ლექსი.

ჩვენ ისე უნდა ვუყუროთ ერთმანეთს, რომ საკუთარი თავი მარტო კი არ დავინახოთ, არამედ იმ დანახულ საკუთარ თავში ვინძლო იქნებ საქართველოს მომავალი სახე დავხატოთ.

დაბოლოს, ეს სტატია მსურს დავასრულო ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქის მაჰათმა განდის სიტყვებით:

„იმაზე მეტს ვერაფერს დავიჩემებ, რასაც რიგითი მეცნიერი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ცდებს უაღრესი კეთილსინდისიერებით, გააზრებულად და ზედმიწევნითი სიზუსტით აყენებს, არასოდეს ამტკიცებს, რომ მისი დასკვნები ამომწურავია“.

ამაზე მეტი თავმდაბლობით ვერავინ იტყვის ვერაფერს მაშინ, როცა განდის ადგილას სხვა თანამედროვე პოლიტიკანი თავს გადაგვჭამდა:

- ნახეთ რა კარგი ვარო, როგორ ვარიგებ ვაუჩერებსო.

**მანუჩარ კაჭახიძე**

ქალის გაზეთი
პარტნიორები

# მზით სავსე მწერლის ოჯახი

უკვე 26 წელია ამ ქვეყნად აღარაა ნოდარ დუმბაძე, მაგრამ იგი კვლავინდებურად გვათბობს თავისი მზით სავსე პროზით, საბავშვო ლექსებით... მზე იყო მისი შემოქმედების უმთავრესი მეტაფორა, სიმბოლო და პერსონაჟიც კი.

ნოდარ დუმბაძე გარდაცვალებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ ავიდა მთაწმინდაზე. ავიდა დროსთან ბრძოლაში გამარჯვებული.

მართლაც და რა ღვთის პირისაგან გადავარდნილი უნდა იყოს ის ქართველი, ვინც ერთხელ მაინც არ გაუცინებია დუმბაძის გმირებს - წიგნიდან, სცენიდან ან ეკრანიდან; ვინც ერთხელ მაინც არ გამთბარა მისი სტრიქონებით, ერთხელ მაინც, თუნდაც 5 წუთი არ გამხდარა კეთილი, ან 5 წუთით მაინც არ შეჰყვარებია სიცოცხლე.

„სიცილი ნოდარ დუმბაძისთვის თვითდამკვიდრების ისეთივე ბუნებრივი ფორმაა, როგორც მხედართმთავრისთვის ომი ან ჩიტისათვის - ფრენა" - წერდა გურამ ასათიანი.

სულ 56 წელი იცოცხლა ამ ქვეყნად. მისი ბიოგრაფიას ზებრასავით დასდევს შავ-თეთრი ზოლები. შემოქმედებით ტრიუმფებს, აღიარებას, ხალხის უკიდეგანო სიყვარულს, წინ უძღოდა ოჯახური ტრაგედიები - მამის დახვრეტა, დედის გადასახლება, შემდეგაც მუდამ თან სდევდა ტრაგედიები. „ილიკო და ილარიონმა" უზარმაზარი აღიარება მოუტანა და 5 წლის ბიჭუნა დაეღუპა... მერე იყო სამჯზის ინფარქტი და ინფარქტებს შორის - სიძის, მწერალ ჯემალ თოფურიძის დაღუპვა თუ მანამ მეუღლის დგომა სიკვდილის პირისპირ...

ნოდარ დუმბაძე 1928 წელს დაიბადა თბილისში. ვერაზე.

მამა ვლადიმერ დუმბაძე მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი იყო, დედა - ანა ბახტაძე - დიასახლისი. 8 წლის იყო ნოდარი მამა რომ დაუპატიმრეს და დაუხვრიტეს, დედა - გადაუსახლეს.

ნანული დუმბაძე, ნოდარ დუმბაძის მეუღლე: „არსად ნოდარს მამამისი არ ჰყავს ნახსენები... მისთვის ეს ძალზე მტკივნეული თემა იყო. დარწმუნებული იყო, რომ მამამისი უდანაშაულო იყო. მამამისი ძველი ბოლშევიკი იყო, ბავშვი შევიდა პარტიაში, 37-ში დაიჭირეს და დახვრიტეს, დახვრიტა ვინ? მისმა მეგობარმა ბერიამ. ბერია და ნოდარის მამა ერთად სწავლობდნენ ბაქოში, ნოდარის ბაბუას სასადილო ჰქონდა ბაქოში, ბერია იყო ძალიან ღარიბი და სულ მშიერი, ყოველდღე მიდიოდა და ნოდარის ბაბუა აჭმევდა თავის სასადილოში უფასოდ."

მანანა დუმბაძე: „რვა წლის იყო, ოცდაჩვიტმეტში მამა რომ დაუხვრიტეს და დედა ათი წლით შუა აზიის ბანაკებში გადაუსახლეს. ამ ათი წლის განმავლობაში რაც თავს გადახდა, ნოდარ დუმბაძის მკითხველმა კარგად უწყის, რადგან იგი ყოველთვის თავის ცხოვრებას წერდა და არასოდეს იმას, რაც არ იცოდა. მე კი ანდერძად, ეს პატარა კანონი დამიტოვა: მთელი ქვეყნიერების ვალი მაქვს, მამა, კეთილი ადამიანები რომ არა, ღმერთმა უწყის, რით დამთავრდებოდა ჩემი ცხოვრება. თითო სიკეთე ყველასგან მახსოვს და უფლება არ გვაქვს არც მე და არც ჩემს ნაგრამს სიკეთე არ ვთესოთო".

8 წლის ნოდარი საცხოვრებლად დეიდებმა წაიყვანეს აფხაზეთში, 3 წელი იქ გაატარა, ბიძები რომ დაიჭირეს და დახვრიტეს, ბებიასთან და ბაბუასთან გააგზავნეს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზენობანში. 1945 წელს ხიდისთავის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისში დაბრუნდა და სწავლა უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე განაგრძო.

სწორედ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კითხულობდა თავის ლექსებს და თანდათან იხვეჭდა პოპულარობას, როგორც პოეტი.

1950 წელს ნოდარ დუმბაძემ ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობა უნივერსიტეტის ლაბორატორიაში დაიწყო ასისტენტად. პარალელურად წერდა.

1957 წელს კი სამსახური მიატოვა, რომ თავი ლიტერატურისთვის მიეძღვნა მთლიანად, 1957 წელს დაარსდა „ცისკარი". „ცისკრის" პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა მისი ფელეტონი, სადაც 29 წლის ნოდარ დუმბაძემ ერთად ჰკრა შოლტი ცუდ პროზასაც და უვარგის კრიტიკასაც.

ნოდარ დუმბაძე წარმატებული ფელეტონისტი და იუმორისტული ნოველების ავტორი გახდა.

1959 წელს, როდესაც „ცისკარში" მისი პირველი რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" ბეჭდვა დაიწყო, ბევრი ალბათ იმ განწყობითაც ჩაუჯდა მის კითხვას რომ დუმბაძის მორიგ იუმორისტულ მოთხრობას კითხულობდა, მაგრამ 31 წლის დუმბაძემ ყველა გააგონა და აღაფრთოვანა - მკითხველს ხელში საუკუნის რომანი შერჩა, აღტაცებულმა გიგა ლორთქიფანიძემ მარჯანიშვილის თეატრში დადგა, სესილია თაყაიშვილმა მარადიული ბებიის სახე გამოაქანდაკა - ჯერ სცენაზე და მალე ეკრანზეც.

დაიწყო დუმბაძის თავბრუდამხვევი წარმატებების ხანა...

22 წლის იყო ნოდარ დუმბაძე რომ დაოჯახდა.

ნოდარი და მისი მომავალი მეუღლე, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ნანული გუგუნავა ერთმანეთს უნივერსიტეტის კლუბში, ლიტერატურულ საღამოზე გადაეყარნენ.

ნანული გუგუნავა-დუმბაძე: „კლუბში შევდიოდი, ფანჯარასთან ორი ბიჭი იდგა, ჩავიარე და მომესმა როგორ გადაულაპარაკა ერთმა მეორეს - „ტისმატრი კაკაია მინიატურნაია დევოჩკა"-ო, ნოდარმა უთხრა მეორეს, სახეც კი არ დამამახსოვრდაო."

ნანულის სახეც არ დაამახსოვრდა და კაი ხანს სხვაში ეშლებოდა - ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტში და კომპლიმენტს მას „უბრუნებდა" კაი ხანს:

რომ ჩაივლიდა ის ბიჭი, ვამბობდი ხოლმე, ამ ბიჭს რა კარგი ლექსები აქვს-მეთქი, ის ბიჭი გაკვირვებული მიყურებდა ხოლმე."

ერთმანეთი ოფიციალურად უნივერსიტეტის კიბეებთან გაიცნეს.

ნანული დუმბაძე: „ბოლოს გავიცანი ასე ოფიციალურად, „ნოდარ დუმბაძე", ჩამომართვა ხელი. მერე ჩემი ამხანაგები, მისი ამხანაგები ძალიან დავმეგობრდით, ერთად დავდიოდით თეატრში, კინოში, საოცარი ის იყო, რომ ნოდარს მოეწონა ჩემი ამხანაგი, ჩემი კლასელი, და არა მე. მე ხელს ვუწყობდი ყველანაირად. მერე დაბადების დღეზე ვიყავით, იქ რაღაც არ მოეწონა ნოდარს და მოხდა ისე, რომ ის გოგო საერთოდ წავიდა ჩვენი ცხოვრებიდან, ჩვენ დავრჩით მეგობრებად. სულ ერთად ვიყავით, ლექცია რომ მიმთავრდებოდა, კართან იდგა და მელოდებოდა, რომ გავეცილებინე, სულელები ხომ არ ვიყავით, ვგრძნობდი რომ ვუყვარდი და ისიც გრძნობდა, რომ მიყვარდა, მაგრამ სიყვარულზე ლაპარაკს ვერ ვბედავდით... ასე გავიდა ნახევარი წელიწადი.

მერე უნივერსიტეტში, სტუდენტობაში ხმა გავარდა, ვილაც გოგოს ნოდარი მოსწონს, ნოდარსაც მოსწონს, მაგრამ ნანული უშლის ხელსო, ნოდარი ჩემთან სახლში იყო მოსული და ვკითხე, ნოდარ, მე რატომ მაბრალებენ რომ შენც მოგწონს ის გოგო და მე გიშლით ხელს-მეთქი. მომიბრუნდა ნოდარი და პირდაპირ მეკითხება - „ნანული შენ მე არ გიყვარვარ?" იმის მაგიერ რომ ეთქვა, მიყვარხარო, მე მეკითხება აქეთ... მე ვუთხარი, ჯერ შენ მითხარი და მე მერე გეტყვიმეთქი. „შენ თუ ამდენი ხანი ვერ გრძნობ იმას, რომ მე შენ ძალიან მიყვარხარ, მაშინ შენი საშველი არ ყოფილაო. ეს იყო და ეს".

ამ დროს მეორე კურსზე ვსწავლობდი, ნოდარი უკვე ამთავრებდა ეკონომიურ ფაკულტეტს. დედაჩემს ნოდარი ძალიან მოსწონდა, მაგრამ მამაჩემს არ წარმოედგინა თუ ოდესმე გავთხოვდებოდი და მივატოვებდი ოჯახს.

ნოდარი მოვიდა მამაჩემთან ხელის სათხოვნელად და უთხრა, გვიყვარს ერთმანეთი და უნდა შევუღლდეთო. მამაჩემი მე მომიტრიალდა, შენ რას ფიქრობ, ამის ხელში რომ გაგიჭირდება, არ იციო? მერე რა-მეთქი, თან ნოდარმა თქვა, შეიძლება ჩემს ხელში შავი პურიც არ ჰქონდესო. მამაჩემი მეუბნება, გესმის რას ამბობს, მაგასთან შეიძლება შავი პურიც არ გქონდესო. მე ვუთხარი - „არა უშავს ავიტან მაგასაც"! გადაირია მამაჩემი, ჩემს ხელში თეთრ პურსაც არ ჭამ და ამის ხელში შავი პური გინდაო.

მამაჩემი ეკონომისტი იყო, „ცეკავშირში" მუშაობდა, მდიდრები არ ვიყავით, მაგრამ არ გვიჭირდა, უპატიოსნესი კაცი იყო, არამად მანეთიანი არ შემოუტანია ოჯახში. დედა ისტორიას ასწავლიდა სკოლაში, საკმაოდ ცნობილი პედაგოგი იყო. მოკლედ, მამა წინააღდეგობას გვიწევდა, გვადებინებდა და გვადებინებდა დაქორწინებას. ბოლოს გავიპარეთ და მოვაწერეთ ხელი. გუგუნავას ქალი ვარ, თავადიშვილი და ვერ წარმომედგინა გვარის შეცვლა, მაგრამ ხელის მოწერისას რომ მკითხეს, თქვენს გვარს დაიტოვებთ თუ დუმბაძეზე გადახვალთო, ნოდარმა არ მაცალა და დუმბაძეზეო, უთხრა და ჩამიწერეს დუმბაძე. იქ ჩხუბს ხომ არ დავიწყებდი? წამოვედი, ჩამიწერეს დუმბაძე, მაგრამ უნივერსიტეტშიც გუგუნავად დავრჩი და 20 წელი სულ გუგუნავა ვიყავი, მერე პასპორტს ვადა გაუვიდა, მოსკოვში მივდიოდით, სასწრაფოდ ახალი პასპორტი მქონდა ასაღები, ქორწინების მოწმობის მიტანა მომთხოვეს, მივუტანე. მივედი პასპორტის წამოსაღებად, გადავშალე და ვხედავ წერია „ნანული დუმბაძე", დავიწყე, არა ვარ მე დუმბაძე, გუგუნავა ვარ! ქალბატონო, ხელის მოწერისას თქვენ გადახვედით დუმბაძეზე, ახლა დუმბაძე ხართო და გამომიშვეს.

მოვედი სახლში აღავლებული, ატირებული, ნოდარს ვეუბნები, ეს რა მიქნეს, გვარი გამომიცვალეს-მეთქი. მიყურა, მიყურა და მეუბნება, იცი რას გეტყვი, ახლა შენი ტრიპაჩი თავადი მამა რომ ცოცხალი იყოს, ისიც ჩემს გვარზე გადმოვიდოდაო... ამ დროს ნოდარი უკვე საკავშირო დეპუტატი იყო, გამოსული იყო მისი რომანები, არაერთ ენაზე თარგმნილი, დადგმული სპექტაკლები, გადაღებული ფილმები."

ნოდარ დუმბაძეს და ნანული გუგუნავას მალე მანანა შეეძინათ.

სწორედ პატარა მანანა იყო ახალგაზრდა პოეტი მამის მუზა საბავშვო პოემა „მანანას წერილის" დაწერისას. „მანანას წერილმა" მოუტანა პირველი აღიარება ნოდარ დუმბაძეს - განათლების სამინისტროს გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა.

ნანული დუმბაძე: „იმ კონკურსში გიორგი ლეონიძეც კი იღებდა მონაწილეობას. ნოდარისთვის უნდოდათ რომ პირველი პრემია მიეცათ, მაგრამ რაკი ლეონიძეც მონაწილეობდა, პირველი პრემია საერთოდ არ გასცეს და ორივეს მეორე პრემია მისცეს. 5 ათასი მანეთი მოგვცეს, ეს იმხელა ფული იყო მაშინ ჩვენთვის... თან იმდენი ვალი გვქონდა - გერმანელ ქალს დაჰქონდა ჩვენთან მაწონი, რძე, ქათამი, ფული არ გვქონდა და ვალად ვიღებდი ხოლმე. მთელი ეს პრემია იმ ქალს მივეცით."

მანანა დუმბაძე: „ბედნიერი ვარ იმით, რომ ვარ პირველი შვილი და მამაჩემს ვიცნობ მას შემდეგ რაც ის იყო 23 წლის, მას მერე ერთად მოვდიოდით, ერთად გავიზარდეთ წარმოიდგინეთ 23 წლის ნოდარ დუმბაძე, ენერგიული, მაკვარანცხი, მთელი ამ თავისი იუმორით, სიკეთით, ხუჭუჭი დაყრილი თმით, პრუჟინებივით თმა ჰქონდა, აბურდულ-დაბურდული. პატარა რომ ვიყავი, ხელისგულზე მისვამდა და მწევდა ჭერში. ხომ ასეთი პატარა ტანის კაცი იყო, ხუმრობდა პროტექციით ვარ „მეტრ სემდესიატ ადინო", მაგრამ ძალიან ჯანიანი იყო, დაკუნთული, უზარმაზარი ტორი ჰქონდა, დამისვამდა და რამდენჯერმე მწევდა „შტანგასავით", ამას ვეღარ აკეთებდა ქეთინოს შემთხვევაში, იმიტომ კი არა რომ დაუძლურდა, მაშინაც ახალგაზრდა იყო, უბრალოდ იმ დროს უკვე „ხრუშოვკაში" ვცხოვრობდით და ჭერი იყო დაბალი. ბავშვობა მახსენდება ძალიან მხიარულად, მიუხედავად იმისა რომ ძალიან გვიჭირდა. მახსოვს, რა სიხარული იყო, როცა მამაჩემს ვილაცამ თეთრი ფეხსაცმელები აჩუქეს. მახსოვს ის ფეხსაცმელები დაჩვრეტილი იყო, მამა რომ მოვიდა, შევხედე და ვეუბნები, მამა, მამა, ეს ფეხსაცმელები ბერიამ დაგიხვრიტა? სულ ბერია და დახვრეტა მესმოდა, ბაბუა დახვრეტილი იყო, ბაბუის ძმები, ნათესავები...

რატომღაც არავის სჯერა, რომ ვამბობ, რომ ზუსტად მახსოვს, როგორ მიმიყვანეს მამასთან ციხეში, როცა 2 წლის ვიყავი. არ მიჯერებენ, მაგრამ ვყვები ზუსტად ისე, როგორც იყო, დედაჩემი მეუბნება, მასე ზუსტად იმიტომ ყვები, რომ ბევრჯერ გაქვს მოსმენილი ეგ ამბავიო, მოსმენილი რა შუაშია როცა, ახლაც თვალწინ მიდგას თავგადაპარსული მამაჩემი, რომელიც იქ მანახეს. ის კარიც მახსოვს, ის მეხრერი რკინის ბადეც და ისიც, მამა რომ გამოიყვანეს და ავკივლდი, მამა მანდ ვერ გამოეტევა-მეთქი.

25 წლის იყო გახმაურებული მკვლელობის გამო რომ დააპატიმრეს, დახვრეტის მუხლი ჰქონდა მიყენებული. ექვსი თვე იჯდა „გუბერსკში", გაამართლეს. მამა გაამართლეს, მაგრამ თავიდან ბოლომდე სიმართლე დღემდე არაა დადგენილი. იმასაც ამბობენ, რომ მკვლელი არასოდეს მჯდარა ციხეში, მკვლელი ქურდი იყო და თავისი სიკვდილით მოკვდა, ციხის კარი არც უნახავსო. მამა გაამართლეს, როსტომმა (ამილახვარი რომაა „თეთრ ბაირაღებში") ათი წელი მოიხადა მაგ მკვლელობისთვის. ფაქტი ერთია, ესენი არაფერ შუაში არ იყვნენ, სულ სხვა სუფრაზე მოხდა ჩხუბი, იმათმა ერთმანეთი დაკლეს, ამათზე რომ გადმოვიდა, როსტომმა ერთ-ერთს გლიჯა, აირია ყველაფერი, ვილაც დაჭრილი მამაჩემს გადმოემხო, მოეცხო სისხლი და ესენი დაიჭირეს. ბესო ჟღენტი დარბოდა, კეცხოველი, მწერლები უწერდნენ დახასიათებებს, მაგრამ მოსკოვიდან, საკავშირო პროკურატურიდან რომ არ ჩამოსულიყო გოლსკი და მას არ ეთქვა, ეს კაცი საერთოდ რატომ ზისო, ალბათ არც გამოუშვებდნენ, [illegible] სტუმრად მოდიოდნენ ელდარ შენგელაია, გიორგი შენგელაია, რობიკო სტურუა, გიგა ლორთქიფანიძე... რომ მოდიოდნენ ისეთი ამბავი იყო, ყველა ახალგაზრდა იყო, - ანზორ სალუქვაძე, ედიშერ ყიფიანი, არჩილ სულაკაური, სარგის ცაიშვილი, რომელი ერთი გითხრა, გენიოსები, ნოდარ ჩხეიძე, ესენი იყვნენ ყოველდღიური სტუმრები, წარმოიდგინე, სად უფრო საინტერესო იქნებოდა ჩემთვის? იმ დროს, ბავშვებს მაინცდამაინც არ სვამდნენ სუფრაზე, ბავშვებს სამზარეულოდან გამოიყვანდნენ, ადღეგრძელებდნენ და გააქრობდნენ. მე ვინ გამათრევდა იქიდან? ისეთ დროსტარებას შევსწრებივარ, ისეთი რაღაცეები ვიცი პირველწყაროებიდან..."

სად დაიწერა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"?

ჭავჭავაძეზე, იმ სახლში სადაც ადრე დიდი ბინა ჰქონდათ და მერე, როგორც რეპრესირებულის ოჯახს, ერთი ოთახი დაუტოვეს. სწორედ იმ ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა ნოდარი, მისი მეუღლე, დედამისი ანიკო, პატარა მანანა და პატარა ზაზა.

მანანა: „ამ ერთოთახიან ბინაში მამაჩემი წერდა ღამე „ილიკო და ილარიონს". მერე მეუბნებოდა, მშიერ კუჭზე მაქვს „ილიკო და ილარიონი" დაწერილი და ყველას აჯობაო".

„ილიკო და ილარიონის" წარმატებას ტრაგედია მოჰყვა - პატარა ზაზა დაეღუპათ.

მანანა: „ილიკო და ილარიონის" პრემიერას მარჯანიშვილის თეატრში ორივე, მამაჩემიც და დედაჩემიც შავებში ჩაცმული დაესწრნენ - ნახევარი წლის გარდაცვლილი ჰყავდათ ხუთი წლის ზაზა."

ნანული დუმბაძე: „წითელა ჰქონდა ბავშვს და მუცლის ტიფი დაუდგინეს. დაგვიღუპეს ბავშვი... 50 წელი გავიდა მას მერე და არაფერი არ შეცვლილა ამ ტკივილს. [illegible] საშინელი ტრაგედია იყო."

ამ უზარმაზარი ტრაგედიის შემდეგ მწერალი წერს „მე ვხედავ მზეს", „მზიან ღამეს" და დგება სიკვდილის პირისპირ...

მანანა დუმბაძე: „41 წლის იყო პირველმა ინფარქტმა რომ დაჰკრა, არავინ ფიქრობდა მაშინ მის გადარჩენას. ჯანსუღ ჩარკვიანი მაშინ უცხოეთში იყო მივლინებული, მაგრამ ამ ამბის გამო თბილისში დარჩა, საავადმყოფოდან არ გასულა. როცა მამაჩემმა მესამე დღეს ძლივს თვალი გაახილა, თავზე წამომდგარი ჯანსული დაინახა: მე შენ წასული მეგონეო, - წაილუღლუღა. ჯანსუღმა ერთხანს ხმა არ გასცა, მერე გახალისდა, ხუმრობის გუნებაზე დადგა და მკვახედ მიუგო - მეც კი მეგონე წასული, მაგრამ აქ ხარ და ფეხის მოცვლასაც არ აპირებო. მეორე დღეს მამაჩემმა ცოტა მოიბრუნა სული და ფანჯრისკენაც გაიხედა. კვლავ თოვდა (ეს ის დრო იყო, ხრუშჩოვი ქართველებს გადასახლებით რომ ემუქრებოდა). - მგონი უკვე გადაგვასახლეს და გვიმალავენო, - თავისთვის ჩაილაპარაკა და პალატაში ისეთი ხარხარი ატყდა, საავადმყოფო აზანზარდა. მას მერე ხშირად გაიგონებდით სხვა ავადმყოფთა ჭირისუფლებისგან, ეს დუმბაძეები ან გიჟები არიან, ან „აფერისტები", კაცი ნახევრად იქით არის, ამათ სიცილ-კისკისს კი ბოლო არ უჩანსო. გურულებმა კაცი აფრინეს ჩოხატაურიდან, ნოდარას ჯანმრთელობის ამბავი ჩამოგვიტანეო. დიდხანს იბრძოდა ის კაცი პალატის კართან, მაგრამ არ შეუშვეს. დედაჩემმა უთხრა, მშვიდად წადი, აწი არაფერი უჭირს, კარგად არისო. მაინც არ მოიშალა და ჩუმად შეძვრა მამასთან. დიდხანს უყურა წამლებით გაბრუებულს, გამოვიდა, არავისთვის არაფერი უთქვამს, ისე გაბრუნდა ჩოხატაურში. მერე გურულები გვიყვებოდნენ: როცა ვკითხეთ, ნოდარა რაფერაათქვა, ასე გვითხრა, ნანულია ამბობს კარგადააო, ცუდად ყოფნას რას უძახის, მაი არ ვიცი მეო."

პირველი ინფარქტის შემდეგ იწერება „ნუ გეშინია, დედა", „თეთრი ბაირაღები".

სწორედ იმ წლებში რედაქტორობდა „ნიანგს".

მანანა: „ნიანგზე" გიჟდებოდა. საოცარი ხალხი მუშაობდა „ნიანგში" - ედიშერ ყიფიანი, ტარიელ ჭანტურია, კლასიკოსები იყვნენ ნიანგში და არაჩვეულებრივი ცინცხალი გონების პატრონები, გივი სამსონაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია... მამა შაყირობდა, მწერალი კი არა სანტექნიკი ვარო, იმიტომ რომ მოდიოდა ხალხი სოციალური პრობლემებით, საჩივრებით, კანალიზაცია გამეჭედა, ამან ეს მითხრა და იმან ეს მითხრა და ამაზე უნდა დაწერათ. დადიოდნენ, ამოწმებდნენ, მიდიოდა ჟურნალისტური გამოძიება. სიკვდილივით ეშინოდათ ამ „ნიანგის". ხანდახან კაი სიცილი რომ მომინდება, გადმოვიღებ ხოლმე ძველ ნომრებს და ვხარხარებ."

ნანული დუმბაძე: „წარმატებას, ხალხის სიყვარული, აღიარებას, პრემიებს აბსოლუტურად არ შეუცვლია ნოდარი. როგორი ნოდარიც გავიცანი, ისეთი ნოდარი გარდაიცვალა. ბუნებით იყო ასეთი, თორემ არ ვიცი მეტი რაღა უნდა მიეღო, ნოდარს პრემიას თუ მიიღებდა. ნოდარი ხალხს ძალიან უყვარდა და დღესაც უყვართ. ნოდარი გარდაცვლილი არაა, დღემდე ცოცხალია, მწერალი რომელიც აღარ იბეჭდება და აღარ იკითხება, ისაა მკვდარი. ნოდარს დღესაც [illegible] იბეჭდება, რადიოს ჩართავ, ტელევიზორს ჩართავ, არ არსებობს რომ არ წავიდეს ნოდარის რაღაც ნათქვამი, ნოდარის წიგნიდან ამოღებული, ბავშვები იწყებენ კითხვას ნოდარის მოთხრობებით... ნოდარი არ მომკვდარა."

ნოდარ დუმბაძეს სამოთახიანი ბინა მისცეს, მაგრამ „ხრუშოვკა".

მანანა: „რაღაც ძველებურ საათს ყიდდა მეზობელი, დედაჩემს უნდოდა ყიდვა, აუტყდა მამაჩემს, ვიყიდოთ, ვიყიდოთო. რად გინდა ქალო ეს საათი, ციფერბლატი მეზობელთან იქნება და გირების კონწიალს უნდა ვუყუროო?

სამოთახიანი ხრუშოვკა იყო, კაბინეტში ვცხოვრობდი მე, სადაც მაგიდა იდგა, რომელზედაც წერდა, არადა მამაჩემი დღის განმავლობაში სახლში არ იყო, მუშაობდა, ღამე გრიალებდა, და როდის წერდა... დიდ ოთახში იდგა პატარა მაგიდა და იმაზე წერდა, კაბინეტის მაგიდაზე დაიწერა „მარადისობის კანონი". გულრიფშში მუშაობდა ხოლმე ინტენსიურად. რომ მოაწვებოდა, სამ თვეში ამთავრებდა რომანს, ისე რომ გადაწერა არ სჭირდებოდა. ჩვენ ხელნაწერებს ვკითხულობდით ხოლმე, დაწერდა თუ არა, ვეცემოდით და ვკითხულობდით, ყველა რომანი წაკითხული მაქვს ხელნაწერში. ხანდახან იყო რომ, არ უბრუნდებოდა დიდხანს და ვეჩხუბებოდით, რა არის, რა გააჩერე, გვაინტერესებს... პირველ კურსზე ავიწყვიტე, სახლში აღარ მივდიოდი ფაქტიურად, სახლში ვრეკავდი, ლინგაფონის კურსი მაქვს-მეთქი. მამაჩემი გიჟდებოდა, უნივერსიტეტია თუ „პადპოლნი" ორგანიზაციაო. ერთხელაც დავაგვიანე. მივედი სახლში, შევიძურწე ჩემს ოთახში, შევწექი ლოგინში და გვერდით ოთახიდან მესმის, დედაჩემი ეუბნება, მოვიდაო, ჩემი აღარ ჯერა და შენ უთხარიო. მამაჩემს არ უყვარდა ეგეთი რაღაცეები. მეძახის, გოგოო, რატო დაიგვიანე? უი, მამა არ დამიგვიანია. - უტიფრად ვიმართლე თავი. ქალო, რად მატყუებ ბავშვმა დაიგვიანაო. ეზარებოდა ჩხუბი დედაჩემმა, შენგან ხომ არაფერი გამოვა და შენ ხომ გააფუჭე ეს ბავშვები, ლანძღა. ამით დამთავრდა ჩემი დასჯა. მამას არ ჭირდებოდა ჩხუბების მოწყობა, ისეთი კაცი იყო, ვერ გაუბედავდი ვერაფერს. მთელი ცხოვრება სულ ვითვალისწინებდი, ჩემთვის ეს არ შეიძლება, ის არ შეიძლება, მამაჩემზე იტყვიან, მამას ჩრდილი მიადგება. ამ დროს მამაჩემი ბოჰემურად ცხოვრობდა, არიქა ღვინო, დუდუკი...

პირველი ინფარქტის შემდეგ 8 წელი აღარც ეწეოდა და აღარც სვამდა (თუმცა ამას ვერ დავიჯინებ!). მერე დედაჩემს შეეყარა რაღაც უცნაური სენი: თავის ქალის ახდა და ტვინის ოპერაცია დასჭირდა. იმ დღიდან დაიწყო მამაჩემმა გამხელილად სიგარეტის წევაც და სმაც. რატომღაც რუსულად მითხრა - „ესლი ვაშა მამა უმირაეტ, პუსკაი ვაშა პაპა ტოჟე უმრეტ"-ო. ეს უკვე მერამდენე გამოცდა იყო მის ცხოვრებაში. დედაჩემი გადარჩა. ოპერაციის მერე მოსკოველმა პროფესორმა კანავალოვმა გვითხრა „ია ტამ ვსიო ტშატელნო პოჩისტილ, ვსე დოსტალ, ბოიატსა უჟე ნეჩეგო"-ო. ჰოდა, მას მერე შეკლული ჰყავდა დედაჩემი, - როგორც კი მისთვის რაიმე უსიამოს იტყოდა, მაშინვე მიახლიდა ხოლმე: „კანავალოვის დედა ვატირე, ამოიღო ხომ ყველაფერი, აღარაფერი ჩატოვა ხომ შიგ, უ, მაგისა."

მწერლისთვის მორიგი ტრაგედია იყო სიძის - ჯემალ თოფურიძის გარდაცვალება. თუმცა, თავიდან მანანას დაოჯახება განიცადა მტკივნეულად.

მანანა დუმბაძე: „რატომ ეგონა რომ არ გავთხოვდებოდი არ ვიცი, მაგრამ დიდი იმედი ჰქონდა რომ არ გავთხოვდებოდი. გავიპარე. ვერც წარმომედგინა რომ მამაჩემთან ვინმე უნდა მოსულიყო, და ეთხოვა ჩემი ხელი. მე ვერ წარმოვიდგინე, თორემ ჩემმა დამ, ქეთინომ, 18 წლისამ მოიფიქრა, მშვენივრად, მოიყვანა თავისი საქმრო მშობლებით, ყველაფერი და ოფიციალურად გააკეთა 18 წლის ბავშვმა, და მე 24 წლის დედაკაცმა ეს ვერ მოვიფიქრე, ვერც წარმოვიდგინე.

მამაჩემმა ჩემი გაპარვა რომ გაიგო, წავიდა მამიდაჩემთან. მამიდაჩემი, ისეთი ქალია, მსუქანი ქალია, სულ საჭმელს აკეთებს, გიჟდება ჭამაზე, სულ შიოდა მთელი ბავშვობა და ახლა სულ ეშინია რომ მოშივდება და სულ საჭმელს აკეთებს. მამიდაჩემს უთხრა, მომიტანე მშიაო. მამიდაჩემმა გამოუტანა დედალი, მამამ შეჭამა ერთი დედალი, გადავიდა მეორეზე. მამიდამ დედაჩემთან დარეკა, რა ხდება გამაგებინეთ, ნოდარი რატომაა ეგრე, მეორე დედალზე გადავიდაო. უაზროდ ჭამდა. მერე უთხრა, რომ მანანა გაიპარა. მერე რომ გაარკვია ჯემალი ნიაზ დიასამიძის დისშვილი იყო, იცნობდა დედამისს, გუგული დიასამიძეს, აღმოჩნდა, რომ ოჯახებს ახლობლობა აკავშირებდათ და დაწყნარდა. მერე ძალიან დამეგობრდნენ, ძალიან შეუყვარდა ჯემალი. მისი სულიერი მეგობარი გახდა. მამაჩემისთვის ჯემალი იყო სტიმული და ჯემალისთვის - მამაჩემი. ჯემალის მოთხრობა „გოგია" რომ წაიკითხა, დილაუთენია 6 საათზე დამირეკა. თავზარი დამეცა - ავადმყოფი მშობლები რომ გყავს, რას იფიქრებ დილაუთენია რომ დაგირეკავენ? რომ მითხრა, ჯემალს დაუძახეო, მაშინღა მომეშვა გულზე. ჯემალს უთხრა, ნეტა ეს მოთხრობა მე დამეწერაო.

ჯემალი ისე გაახარა მამაჩემის შექებამ, ერთი თვე აღარ გამოფხიზლებულა."

1978 წელს, ამერიკაში იყო ნოდარ დუმბაძე საბჭოთა და ამერიკელი მწერლების კონგრესზე, ჯემალ თოფურიძე რომ დაიღუპა.

„მხოლოდ ერთხელ მახსოვს, სულ ახალგაზრდა სიძეც რომ დაეღუპა, თავისთავს ხმამაღლა ჰკითხა, ნეტა რით ვერ გამოსცადა განგებამ ჩემი ჭირთათმენა, რომ განსაცდელს განსაცდელზე მატებს თავსო" - გაიხსენებს გურამ გვერდწითელი.

მანანა დუმბაძე: „მეორე ინფარქტმა გულრიფშში მიიმწყვდია, მარტო. იმდენჯერ მოვკვდი, საიქიოს გზას თვალდახუჭული ვაგნებო, ეხუმრებოდა სოხუმელ ექიმებს და იქით ამხნევებდა, ნუ გეშინიათ, სანამ ბოლომდე არ გამომწურავს ბუნება, ვიდრე ბოლომდე არ დამაფქვევინებს ბედის წისქვილი ჩემს საფქვავს, სიკვდილი არ მეღირსებაო და ხუთი წელი კიდევ იცოცხლა, სასწაულით. „მარადისობის კანონი" მაშინ აღმოაჩინა".

მანანა დუმბაძე: „შემობრძანდი ბაბუ ორგანიზმში" - ასე ეუბნებოდა ხოლმე შვილიშვილებს. ჩემი ნოდარიკო 9 წლის იყო, მამა რომ გარდაიცვალა. ნოდარიკოს საოცარი რეაქცია ჰქონდა, საერთოდ აიკრძალა ბაბუაზე ლაპარაკი, ხმას არ იღებდა, იდგა ჭირისუფალში როგორც ჩამოყალიბებული კაცი და იღებდა სამძიმარს.

საოცარი ბაბუა იყო. ნოდარიკოს წყლის ეშინოდა და მამაჩემი ასწავლიდა ცურვას. გულრიფშში ჩვენი სახლი პლაჟზე იდგა, იმ დღეს ვერაფრით შევიტყუეთ ნოდარიკო წყალში, მამაჩემი მოვიდა, აიყვანა, ბაბუ ხომ წამოხვალ ჩემთანო და ასე ტანსაცმლით შევიდა და შეიყვანა ბავშვი... პატარა ჩაქუჩი გაუკეთა, დურგლობას ასწავლიდა, ფარეხს აშენებდა, ზედ მანსარდას, რომელიც უნდა ეჩუქებინა ნოდარიკოსთვის და ამ მანსარდის შენებაში, ხან ლურსმანი ჩააჭედებინა, ხან ეს გააკეთებინა, ხან ის გააკეთებინა, ასე ერთად ცხოვრობდნენ.

საავადმყოფოში, სიკვდილის წინ ახლადგამოცემული „ილიკო და ილარიონის" კითხვა დაიწყო ხმამაღლა, დაიღალა და მერე მე და ქეთინოს გვთხოვა, თქვენ განაგრძეთო. ვკითხულობდით და ვიცინოდით, თვითონაც გულიანად იცინოდა, მერე ხელით გვანიშნა, გეყოფათო.

კონსტანტინე გამსახურდიას დასაფლავება მაგონდება. ბატონ კონსტანტინეს ხელით მიასვენებდა სრულიად საქართველო კოლხური კოშკისკენ. რუსთაველის პროსპექტზე რეპროდუქტორები მისი ნაწარმოებების ნაწყვეტებს გადმოსცემდნენ და ხალხი გმინავდა, ისეთი მომნუსხველი და ამაღელვებელი იყო ეს პროცესია.

შინ რომ დავბრუნდით, მამაჩემმა უეცრად თქვა, თავი არ მომჭრათ, ბალღებო, და ჩემს გასვენებაზე იგივე არ გაიმეოროთ (საკუთარი ნაწარმოებების კითხვას გულისხმობდა), თორემ დაწყდება პროცესია სიცილითო".

ნოდარ დუმბაძე შეცდა.

მწერალთა კავშირიდან მის ცხედარს „მზიურისკენ" რომ მიასვენებდნენ, რუსთაველზე რეპროდუქტორები მის ნაწარმოებებს გადმოსცემდნენ... მაგრამ არავინ იცინოდა!





# ბავშვი არტისტები ქართულ კინოში

ალბათ არ არსებობს ბავშვი, ჩუმად თავისთვის რომ მაინც არ ეოცნებოს კინოში გადაღებაზე. გიამბობთ მათზე - ვისაც ეს ოცნება აუხდა. ბევრმა ამ ოცნების ახდენის შემდეგ მსახიობობა პროფესიად აირჩია, ბევრმა - არა და მაინც ილებდნენ კინოში, ბევრი ერთი როლის ამარა დარჩა.



## ლეილა აბაშიძე

კინოსტუდია „ქაჯანას" იღებდა და პატარა გოგონებს არჩევდა ქაჯანას დის - კატოს როლზე. მამით ობოლი პატარა ლეილა აბაშიძე (მამა 1937 წელს გადაუსახლეს და დაუხვრიტეს) კინოსტუდიაში სინჯებზე მარტო წავიდა. იქ კი ასობით პატრონიანი გოგონა დახვდა, კულულებით, დიდი ბაფთებით. რეჟისორის ასისტენტებმა პატარა ლეილა „დაბრაკეს" - უარით გამოისტუმრეს. პატარა ლეილა დახვეულ კიბეს ბიჭურად მოახტა და მეოთხე სართულიდან ძირს დაეშვა, დაეშვა და ერთი მამაკაცი კინაღამ ამოაყირავა. პატარა ლეილამ წაბორძიკებულ მამაკაცს, დავარდნილი ქუდი მიაწოდა.

- აქ რა გინდოდა გოგონა? - ჰკითხა მამაკაცმა.
- მე კინოში მინდოდა გადაღება, მაგრამ უარი მითხრეს - უპასუხა ლეილამ.
- ძალიან გინდა გადაღება?
- ძალიან, ძალიან! - გამოუტყდა გულდაწყვეტილი ლეილა.
- აბა წამოდი! - უთხრა მამაკაცმა.

ის კინაღამ ამოყირავებული მამაკაცი ფილმის რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი აღმოჩნდა...

პატარა ლეილა ნატო ვაჩნაძის, ვერიკო ანჯაფარიძისა და სპარტაკ ბაღაშვილის გვერდით აღმოჩნდა. დედის როლს ნატო ვაჩნაძე თამაშობდა და პატარა ლეილამაც დედასავით შეიყვარა. ნატო ვაჩნაძე პატარა მსახიობს არც გადაღებების დამთავრების შემდეგ აკლებდა მზრუნველობას, საჩუქრებით ხელდამშვენებული ხშირად აკითხავდა ღარიბულ ბინაში. სხვათაშორის, ბინა პატარა ლეილამ სწორედ „ქაჯანაში" აღებული ჰონორარით შეიძინა - 12 კვადრატულ მეტრიანი პატარა ოთახი ვერის ბაღთან, იმიტომ რომ მამის დაპატიმრების შემდეგ ოჯახს კონფისკაცია გაუკეთეს და უსახლკაროდ იყვნენ.

როგორც ჩანს,კონსტანტინე პიპინაშვილი თავისი არჩევანით კმაყოფილი დარჩა, რადგან შემდეგ 15 წლის ლეილა „ოქროს ბილიკშიც" გადაიღო, შემდეგ „აკაკის აკვანშიც" - ნაზიბროლას როლში. მოგვიანებით კი უკვე აღიარებული კინოვარსკვლავი მთავარ როლში გადაიღო ფილმში „სად არის შენი ბედნიერება, მზია".

ლეილა აბაშიძემ რომ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა, უკვე გამოცდილი მსახიობი იყო - სამ ფილმში გადაღებული.

## ლიანა ასათიანი

ლიანა ასათიანი მსახიობობაზე მას შემდეგ ოცნებობდა, რაც 6 წლისა ოპერაში წაიყვანეს. ბედნიერმა შემთხვევამ კი მოგვიანებით ნატვრა აუსრულა - 15-იოდე წლისას შემთხვევით ქუჩაში გადააწყდნენ და კინოში გადასაღებად მიიწვიეს - „გიორგი სააკაძეში" თეკლას როლზე დაამტკიცეს.

პატარა გოგონა უცებ ტიტანების გარემოცვაში აღმოჩნდა...

„აკაკი ხორავა, სპარტაკ ბაღაშვილი, ჟორა შავგულიძე, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძეზე ხომ აღარაფერს ვამბობ - გვაბოდებდა, ფეხდაფეხ დავყვებოდით ბავშვობაშიც და მერეც, ეტყობა ადამიანი სწრაფად ეჩევა ყველაფერს, ამ პატარა კურკა გოგომ ისე მივიღე ეს ყველაფერი - თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო" - იხსენებს ლიანა ასათიანი. მაგრამ ვერც კამერამ, ვერც დიდებულმა გარემოცვამ და ვერც მოსალოდნელმა წარმატებამ თავბრუ ვერ დაახვია ლიანა ასათიანს. ვერ დაახვია, რადგან იცოდა რომ ვერასოდეს მივიდოდა ვერავისთან და ვერ სთხოვდა კინოში გადამიღეთ, მიჭირსო. არადა, ამ თხოვნით მიხეილ ჭიაურელთან მისული არაერთი მსახიობი ნახა, ის მსახიობები, ვის სურათებსაც დიდი რუდუნებით აგროვებდა. ამიტომ მყარი და შეუდავებელი პროფესია ამჯობინა - სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა.

„როდესაც „გიორგი სააკაძე" ეკრანზე გამოვიდა, მეორე კურსზე გადავდიოდი სამედიცინო ინსტიტუტში, ხალხს რომ ხშირად არ შევჩეხებოდი, აკადემიური ავიღე, სულ ვფიქრობდი, აი, სახურავებით სიარული რომ შეიძლებოდეს, აკადემიურს არ ავიღებდი და წელს არ დავკარგავდი-მეთქი. ახლა აღარავინ აქცევს ყურადღებას, თორემ მაშინ ნიშა ძაღლივით ყველა გვცნობდა, ჯერ ამდენი არ მესმოდა, მაგრამ ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, რომ სულ არენაზე ვიყავი ცხოვრებაში და გამუდმებით ფორმაში უნდა ვყოფილიყავი, შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ იმ სახელის ღირსად არ ვთვლიდი თავს, რაც მე ამ ფილმებმა მომცა გარეგნობის თვალსაზრისით და არ მინდოდა, რომ ასე ვიზუალურად შევხვედროდი მაყურებელს" - ამბობს ლიანა ასათიანი.

ლიანა ასათიანი თვალის ექიმი გახდა, მაგრამ კინო მაინც დარჩა მისი ცხოვრების ნაწილად - მეტიც, კინოვარსკვლავი გახდა.

## ნანული სარაჯიშვილი

10 წლის იყო ნანული სარაჯიშვილი, ეკრანებზე რომ „მანანა" გამოვიდა და უცებ სუპერ-პოპულარული გოგო გახდა საქართველოში. აგერ უკვე ლამის ნახევარი საუკუნეც გავიდა „მანანას" გადაღებიდან და ნანული სარაჯიშვილს დღემდე ისევ მანანად იცნობენ, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ოცამდე ფილმში გადაიღეს.

პატარა ნანული კინოში რეზო ჩხეიძის წყალობით მოხვდა - რეზო ჩხეიძემ ერთ-ერთ ოჯახში სუფრაზე ნახა და ცალკე მშობლებს ურჩია ბავშვის კინოსინჯებზე მიყვანა, ცალკე კიდევ რეჟისორებს - ამ როლისთვის ზედგამოჭრილი იქნებაო.

ნანული 1500 პოტენციურ მანანას შორის აარჩიეს. აარჩიეს და პატარა გოგომ თავი ზღაპარში ამოყო - სესილია თაყაიშვილის, სანდრო ჟორჟოლიანის,მედეა ჩახავას,იპოლიტე ხვიჩიას გვერდით. სწორედ სესილიას დაჟინებული რჩევით ჩააბარა ნანული სარაჯიშვილმა თეატრალურ ინსტიტუტში. „ნივკოემ სლუჩი", შენ სხვაგან არ უნდა ჩააბარო - უთქვამს სესილიას თავის ეკრანული „შვილიშვილისთვის". ნანული სარაჯიშვილს „მანანას" შემდეგ სრული 15 წლიანი პაუზა ჰქონდა, მერე კი... ახტაჯანა მანანა ახტა და პირდაპირ „ბოზობაზე" გადახტა - გიორგი შენგელაიამ „ვერის უბნის მელოდიებში" ტურფა ათამაშა.

## ზურაბ ყიფშიძე

აი, ზურა ყიფშიძეს კი არც მეტი არც ნაკლები კინოში საქმე ცხენმა „ჩაუწყო". პატარა ზურა მთელ დღეებს იპოდრომზე ატარებდა და ასაკის კვალობაზე საკმაოდ კარგად დაჯირითობდა. იმ ხანად გიორგი შენგელაია „მაცი ხვიტიას" იღებდა და სწორედ ისეთ ბიჭუნას ეძებდა, ვინც ცხენს დააქროლებდა. პატარა ზურა იპოდრომზე იპოვეს და პატარა კოჭოიას როლზე აიყვანეს.

„მაცი ხვიტია" რომ ეკრანებზე გამოვიდა, ზურა უკვე 13 წლის იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ გამოაგდეს, ბოჰემური ცხოვრებისა და ბევრი გაცდენების გამო - შოთა და ნოდარ მანაგაძეები „წუთისოფელში" იღებდნენ, კომკავშირელი აფრასიონის როლში. მაშინ თეატრალური ინსტიტუტის რექტორი კაგებეს პოლკოვნიკი თავაძე იყო, დაიბარა ზურა და ზურას დედა - ქალბატონი ელენე ყიფშიძე. როგორც ზურა იხსენებს, თავაძეს შეურაცხყოფაც მიუყენებია ლენასთვის. ზურას ვერ მოუთმენია და სამელნე უსვრია რექტორისთვის. ჰოდა, გამოაგდეს. მეორე წელს თავიდან ჩააბარა, მიშა თუმანიშვილმა აიყვანა, მაგრამ ისევ კინო „აუძლვა" - ამჯერად უკვე ლანა ღოღობერიძე იღებდა „როცა აყვავდა ნუში", თან მთავარ როლში და ისევ აცდენდა და აცდენდა ინსტიტუტს და ისევ მოუწია ინსტიტუტის დატოვება. მესამედ უკვე მოსკოვის კინოინსტიტუტში ჩააბარა გერასიმოვთან, მალე კი ეკრანებზე „როცა აყვავდა ნუში" გამოვიდა და ზურა ყიფშიძე 19 წლის ასაკში ნამდვილი კინოვარსკვლავი გახდა.

## ნანი ჩიქვინიძე და მიხო ბორაშვილი

„მაგდანას ლურჯა" რომ ეკრანებზე გამოვიდა, ნანი ჩიქვინიძე სულ 5 წლის იყო, მიხო ბორაშვილი - 7 წლის. ფილმის გადაღება რომ დაიწყეს - მიხო ახალი მისული იყო სკოლაში, ნანი კი ჯერ ოთხიწლინახევრის იყო.

კატოს როლის შემსრულებელს თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე საბავშვო ბაღებში დაეძებდნენ. ასე მოხვდნენ ერთ-ერთ ბაღში, სადაც ნანის ნათესავი მუშაობდა. რეჟისორებმა იმ ბაღში ნანახი გოგოები დაიწუნეს, ნანის ნათესავმა რეჟისორებს შებედა, ჩემი ნათესავი ნახეთო. შებედვით კი შებედა, მაგრამ მისამართი შეცდომით მისცა და რეჟისორებმა ნანის ვერ მიაგნეს. ნანის დედამ ეს ამბავი ერთი თვის დაგვიანებით გაიგო. დაინტერესდა და მხატვარ რეზო თარხან-მოურავს კინოსტუდიაში გაატანა. როლზე უკვე სხვა გოგონა იყო დამტკიცებული, მაგრამ დიდად კმაყოფილები არ იყვნენ, ნანიც გასინჯეს - ამღერეს, ლექსი ათქმევინეს და შინ გაუშვეს. შინ მისულმა ნანიმ დაიტრაბახა - იქ ჩემზე ასე თქვეს - რა შედარებააო. ერთ საათში მიაკითხეს, პატარა ნანი წაიყვანეს და როლზე დაამტკიცეს. გადაღებები დაიწყო, თენგიზ აბულაძემ და რეზო ჩხეიძემ ნანი და მიხო „გაინაწილეს" - ნანი აბულაძეს აეწეპა, მიხო - რეზო ჩხეიძეს.

პატარა არტისტები იღლებოდნენ, მაგრამ მუშაობა საოცრად სიამოვნებდათ. არავის ეგონა, რომ პატარა ნანი და პატარა მიხო თავად შესძლებდნენ გახმოვანებას და გახმოვანებისთვის მოზარდ-მაყურებელთა თეატრიდან მიიყვანეს მსახიობები. მერე ბავშვები სინჯეს და აღარავინ დასჭირდათ, პატარა მსახიობები პირველივე ცდაზე სვამდნენ ტექსტს. ერთადერთხელ გაწვალდნენ - პატარა მიხოს ვერ ატირებდნენ, მერე რაღაც უთხრეს მშობლებზე და აატირეს.

პატარა ნანის და მიხოს არტისტობით რომ ნამდვილად მოიხიბლნენ თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე, ეს შემდგომი ფილმებიდანაც ჩანს.

თენგიზ აბულაძეს საერთოდ ნანის და მიხოს მონაწილეობით უნდოდა ახალი ფილმის გადაღება და გადაიღო კიდეც - „სხვისი შვილები", ფილმისთვის სიუჟეტს „კომსომოლსკაია პრავდაში" გადააწყდა. „სხვისი შვილების" გადაღების დროს ნანი უკვე 7 წლის გოგონა იყო, მიხო ბორაშვილი - 9 წლის.

„სხვისი შვილების" გადაღებამდე ნანი რეზო ჩხეიძემ „ჩვენს ეზოში" გადაიღო.

თენგიზ აბულაძემ თავისი არტისტი ნანი არც შემდეგ დაივიწყა „მე, ბებია ილიკო და ილარიონს" რომ იღებდა და 13 წლის ნანის მოწაფის როლი ათამაშა. აბულაძემ არც მიხო ბორაშვილი დაივიწყა და რომეული ათამაშა.

მიხო ბორაშვილი არც რეზო ჩხეიძემ დაივიწყა - „ღიმილის ბიჭების" გადაღებისას. 21 წლის მიხო ბორაშვილს თავიდან თემურის როლზე სინჯავდნენ,მერე კახა ქორიძე იპოვეს, მიხოსთვის რომ გული არ დაეწყვიტა, ბაადურის როლი მისცა.

ნანი ჩიქვინიძემ სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტს მიაშურა. თუმანიშვილის სტუდენტი გახდა, შემდეგ თუმანიშვილის ასისტენტის - თემურ ჩხეიძის ცოლი და რაც მთავარია ქართული თეატრის წამყვანი მსახიობი. მიხო ბორაშვილი დოკუმენტური კინოს რეჟისორი - გადაღებული აქვს ათზე მეტი დოკუმენტური ფილმი.

## ლევან აბაშიძე და ნუცა ალექსი-მესხიშვილი

ლევან აბაშიძე 15 წლის იყო, როდესაც ეკრანებზე გამოვიდა ლანა ღოღობერიძის ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", სადაც ლევანი სოფიკო ჭიაურელის გმირის შვილს ასახიერებდა.

ვინ აღმოაჩინა ლევან აბაშიძე? ქართული კინო მის აღმოჩენას ლანა ღოღობერიძის უმცროს ქალიშვილს ნუცა ალექსი-მესხიშვილს უნდა უმადლოდეს - ლევანზე სამი წლით უმცროსმა ნუცამ დედას პირდაპირ ულტიმატუმი წაუყენა - თუ ლევანს არ გადაიღებ, ნურც მე გადამიღებო.

ამ დროს, ნუცა უკვე „გამოცდილი" მსახიობი იყო - გივი ვეფხვაძეს უკვე გადაღებული ჰყავდა მოკლემეტრაჟიანი ფილმ „ბავშვებში", სადაც ის პარტნიორობას უწევდა ეროსი მანჯგალაძეს. მოკლედ, ლევან აბაშიძეს დაქალმა „ჩაუწყო" საქმე კინოში.

რიგორც დედამისი, მანანა ხიდაშელი იხსენებს, გადაღების წინა ღამე ლევანს თეთრად გაუთენებია ფანჯარასთან. თურმე იცით რატომ? ეშინოდა ამინდი არ გაფუჭებულიყო.

ლევან აბაშიძე შემდეგ დევი აბაშიძემ გადაიღო ფილმში „ყველა კომეტა როდი ქრება", იქ უკვე თენგიზ არჩვაძის ვაჟს თამაშობდა, შემდეგ „სკაპენის ოინებში" გადაიღეს, შემდეგ „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობაში" გიორგი შენგელაიამ მთავარი როლი მიანდო. იმ დროს ლევანი უკვე თეატრალურ ინსტიტუტში მიხეილ თუმანიშვილის სტუდენტი იყო და მეორეკურსელი უკვე კინომსახიობთა თეატრში თამაშობდა „ჩვენს პატარა ქალაქში". ლევან აბაშიძე ქართული კინოს კაშკაშა ვარსკვლავი გახდა - აფხაზეთის ომში ტრაგიკულად დაღუპვამდე 14 ფილმში გადაიღეს. კინოში გამოჩნდა 15 წლის, დაიღუპა 29 წლის.

ნუცა მესხიშვილი დედამ - ლანა ღოღობერიძემ „ორომტრიალშიც" გადაიღო, მაგრამ იმ დროს ნუცა უკვე სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო. ქალბატონმა ლანამ რომ „ვალსი პეჩორაზე" გადაიღო, ნუცა ფილმის მხატვრის ამპლუაში იყო. შემდეგ კი მთლად კინოს დაუკავშირა ბედი - პარიზში მიიღო კინოსარეჟისორო განათლება და სულ ახლახანს მისმა გადაღებულმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „ბედნიერებამ" სპეციალური პრიზიც დაიმსახურა ვენეციის ფესტივალზე.

## სერგო ორჯონიკიძე და მანანა აბაზაძე

ზურიკელას როლის შემსრულებელს (ფილმისთვის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი") დიდხანს ეძებდა თენგიზ აბულაძე. ბოლოს მას უნივერსიტეტის „ბირჟაზე" მიაკვლიეს. 14 წლის სერგო ორჯონიკიძე უნივერსიტეტის წინ იდგა და ფიქრობდა, სკოლაში წასულიყო თუ უნივერსიტეტში შესულიყო და ევარჯიშა? — ტანაშოტილი ბიჭი იყო უკვე - 183 სანტიმეტრი და კალათბურთში ვარჯიშობდა. სწორედ ამ დროს მივიდნენ მასთან თენგიზ აბულაძის ასისტენტი თამაზ გომელაური და თანაშემწე ალიკა რონდელი, კინოში გადაღება შესთავაზეს და კინოსტუდიაში დაიბარეს. სერგოს ერთი მეზობელი კინოში ჰყოლიათ მიწვეული და სერგოც იმ წამს იმასთან გავარდნილა, გამოუკითხავს, იქ რა ხდება ხოლმეო? მეზობელს უთქვამს, ლექსს წაგაკითხებენო და სერგოსაც გადაუმეორებია გურამიშვილის „ისმინე სწავლის მძებნელო" და კინოსტუდიაში გავარდნილა. გავარდა და წაუკითხა გადამღებ ჯგუფს ლექსი. იცინოდნენ. მერე ფილმის მხატვარმა დამწვარი ასანთით ულვაშები მიახატა, სურათები გადაუღეს. მეორე დღისთვის დაიბარეს, თან გააფრთხილეს, ჯერ სახლში ნურაფერს იტყვიო. სერგომ გაიგო, რომ მთავარ გმირს ეძებდნენ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონისთვის" და ყურები ჩამოყარა, აბა მე ვინ გადამიღებსო. მას სხვანაირად წარმოედგინა - სადმე კადრში გაირბენდა და მერე ძმაკაცებში იტრაბახებდა - აი მე ვარო! აქ კი მთავარი როლი... მეორე დღეს მისულს მაგიდაზე უამრავი „ზურიკელას" ფოტო დახვდა, მაგრამ მოხდა მისთვის სასწაული - თენგიზ აბულაძემ მისი ფოტო გულის ჯიბიდან ამოიღო. სახლში სცენარიც გამოატანეს - ზურიკელას ეგზემპლარი. სერგო სახლში გაფრინდა, მაგრამ ჯერ წინ სინჯები იყო.

გადაიღეს რამდენიმე სცენაში, ილებდნენ სხვებსაც. ბოლოს სამხატვრო საბჭოზე სერგოს და გოგი ქავთარაძის სინჯები გაიტანეს. გოგი ქავთარაძე უკვე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო და ბევრად გამოცდილიც, მაგრამ აბულაძემ სერგო ორჯონიკიძე აირჩია. მაისის თვეში გადაღებაზე ლეჩხუმის სოფელ ლაილაშში გავიდნენ. სერგო-ზურიკელამ გაილაღა. აბულაძე განწყობის შესაქმნელად პატარა ბიჭს ანეგდოტებს უყვებოდა. გადაღების დაწყებისას კი ახსენებდა, ის ანეგდოტი ხომ გახსოვსო. ერთხელ სერგო-ზურიკელას კადრში დროზე ვერ გაურბენია და აბულაძეს საჯაროდ დაუძახია - „ზურიკელა დურაკ", რასაც პატარა არტისტზე ისე უმოქმედია, გაქცეულა და ტირილი დაუწყია.

ფილმს კი იღებდნენ, მაგრამ მერი ისევ არ ჰყავდათ. ლამის თბილისში ვინც კი გოგო იყო 12 წლიდან 20 წლამდე, ყველა მივიდა და ყველა დაიწუნეს. თავიდან თინიკო მგალობლიშვილს სინჯავდნენ, მაგრამ ეკრანზე სამხრეთ-ამერიკელს გავდა, როლზე ლია სიხარულიძე დაამტკიცეს, მაგრამ უკმაყოფილო იყვნენ, ბოლოს მერის - მანანა აბაზაძეს ბიჭვინთაში, გადასაღებ მოედანზე მიაგნეს. რუსი რეჟისორი ფილმ „შავ თოლიას" იღებდა კუბის რევოლუციაზე, 12 წლის მანანა აბაზაძე კუბელ გოგონას თამაშობდა. გამოკითხეს გვარი, სახელი, მისამართი, სურათი გადაუღეს და მაშინვე შესთავაზეს, ჩვენთან წამოდი გადაღებაზეო. მანანამ „კინოზვეზდასავით" იუარა, არა, ჯერ ეს ფილმი უნდა დავამთავროო. მაგრამ აბულაძე მანანას მშობლებს მოელაპარაკა და მანანა ბუზღუნ-ბუზღუნით წამოიყვანეს ბიჭვინთიდან. მანანა აბაზაძე დედით რუსია, 9 წლამდე რუსეთში ცხოვრობდა და ქართულიც არ იცოდა, აბულაძემ მასთან რუსულად დალაპარაკება ყველას სასტიკად აუკრძალა და 2 წელიწადში მანანა ქართულად ალაპარაკდა.

მანანა აბაზაძემ სერგო ორჯონიკიძე რომ ნახა, არ მოეწონა, როგორც თავად გაიხსენებს, ძაღლი და კატასავით იყვნენ. აბულაძე კი მათ ცოლ-ქმრობისთვის ამზადებდა. სერგოს ეუბნებოდა - შენ მანანას მოიყვან ცოლად! მანანას ეუბნებოდა - ზურიკელას გაჰყვები ცოლად!

თენგიზ აბულაძე სერგოს არასოდეს ეძახდა სერგოს, მუდამ ზურიკელას ეძახდა და ტიტრებშიც ასე ჩაუწერა. იმ დროს ეს რასაც ნიშნავდა, ხვდებით ალბათ.

ზურიკელასთვის ყველაზე რთული ფილმის ბოლო სცენები იყო, სადაც ზურიკელა უკვე სტუდენტია. ამ სირთულის დაძლევაში მას თენგიზ აბულაძე დაეხმარა - ფილმს ქრონოლოგიური პრინციპით იღებდა და სერგოც ზურიკელასთან ერთად იზრდებოდა. აბულაძე „ზურიკელას" და „მერის" გვერდიდან არ იშორებდა და ყველას აცნობდა, ესენი ჩემი გმირები არიან, მომავალი ცოლ-ქმარი არიანო. არადა, ბავშვები არაფერს აპირებდნენ - მანანას სხვა ბიჭები მოსწონდა.

მანანა აბაზაძეს ზურიკელა მაშინღა მოეწონა, როცა ეკრანზე ნახა, მაშინღა უფიქრია: „უი რა კარგი ბიჭიაო", ატირებულა და ჩახვევიან ერთმანეთს „ზურიკელა" და „მერი" - და საბოლოოდ შესრულდა კიდეც აბულაძის ვერდიქტი - ისინი დაქორწინდნენ.

აბულაძე თავის ზურიკელას და მერისთვის ფილმის გადაღებას აპირებდა, როგორც თავის დროზე გადაიღო ნანი ჩიქვინიძისთვის და მიხო ბორაშვილისთვის „სხვისი შვილები". ზურიკელას კინორეჟისორობისთვისაც ამზადებდა, მაგრამ ზურიკელამ საბოლოოდ ექიმის პროფესია აირჩია. მანანა აბაზაძე მოცეკვავე გახდა. აბულაძე თავის ნაპოვნ მსახიობებს სხვა რეჟისორებისთვის ვერ იმეტებდა და არ უშვებდა რომ სხვასთან გადაეღოთ. 4 წლის შემდეგ მანანა აბაზაძე გიორგი შენგელაიასთან წავიდა - „მაცი ხვიტიაში" ეკა ითამაშა, რამაც ბზარი გააჩინა მათ ურთიერთობაში.

## ლიკა ქავჟარაძე და სოსო ჯაჭვლიანი

ლიკა ქავჟარაძე 12 წლის იყო, საშა მაიოროვმა რომ შენიშნა ქუჩაში და კინოში გადასაღებად დაიბარა. პირველად ლიკა ქავჟარაძე მოკლემეტრაჟიან ფილმ „შადრევანში" იხილა მაყურებელმა. შემდეგ ლანა ღოღობერიძის ფილმში „როცა აყვავდა ნუშიც" გაიელვა თაიგულით ხელში. 13 წლის ლიკა ლიანა ელიავამ კომედია „მშვენიერ კოსტუმში" გადაიღო ელისოს როლში, შემდეგ მუსიკალურ ფილმში „სიყვარული ივერია და..." გადაიღეს, შემდეგ „ნატვრის ხეში" გადაიღო აბულაძემ და 16-იოდე წლის ლიკა ქავჟარაძე იქცა ხატებად - თაობების ნატვრის ქალად.

ლიკა ქავჟარაძის მარიტაზე შეყვარებულ გედიას მისი თანატოლი სოსო ჯაჭვლიანი თამაშობდა. სხვათაშორის, სოსო ჯაჭვლიანი და ლიკა ქავჟარაძე შემდეგ „კავკასიურ რომანშიც" გადაიღეს (ეს ფილმი „ნატვრის ხეზე" ადრე გამოვიდა ეკრანებზე), სოსო ჯაჭვლიანის გმირი იქაც უგონოდაა შეყვარებული ლიკა ქავჟარაძის გმირზე, ერთხელ მოიტაცებს, წაართმევენ, მეორედაც მოიტაცებს, მაგრამ ხელში შეყვარებულის ნაცვლად ბებიამისი შერჩება. ჯაჭვლიანის გმირი თავის მოკვლას გადაწყვეტს, მაგრამ ისევ სატრფო იხსნის - „ბაბუშკას" გაკოჭავს და შეყვარებულთან ერთად გაიპარება.

სოსო ჯაჭვლიანი გადასაღებ მოედანზე 15-16 წლის მოხვდა, შემდეგ თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა, დღემდე 20-ზე მეტ ფილმშია გადაღებული.

ლიკა ქავჟარაძეს კი წარმატებული კინოკარიერის მიუხედავად, არ ჩაუბარებია თეატრალურ ინსტიტუტში - ნიჭიერთა ათწლედის დასრულების შემდეგ კონსერვატორია დაამთავრა. მუსიკას ასწავლიდა და თავად იყო ქალი-მუსიკა.

## გელა ჭიჭინაძე

გელა ჭიჭინაძე გია ფერაძესთან მეგობრობდა, გიამ პიონერთა სასახლეში დრამწრეში წაიყვანა. მთავარი როლი მისცეს, მერე რეჟისორმა ანზორ ქუთათელაძემ მარჯანიშვილის თეატრში მიიწვია - „ჯარისკაცის ქვრივში" ზურიას თამაშობდა - დოდო ჭიჭინაძის სცენური შვილი იყო წელიწადზე მეტხანს და აი, მის კარზე კინომაც დააკაკუნა.

სკოლაში ლანა ღოღობერიძის ასისტენტი მივიდა, „სოსოიას" ეძებდა - „მე ვხედავ მზისთვის". ასისტენტს გელაზე მიასწავლეს - არტისტობსო. 15 წლის გელა კინოსტუდიაში სინჯებზე დაიბარეს, ულეს და ულეს სინჯები, ხან რა გრიმს უკეთებდნენ, ხან რა გრიმს, ხან რას აცმევდნენ, ხან რას, ხან რის გაკეთებას ავალებდნენ, ხან რისას, ისიც გულმოდგინედ აკეთებდა - კინოში მოხვედრის დიდი სურვილით. 2 თვე არაფერი იცოდა, მერე დაურეკეს და უთხრეს, დამტკიცებული ხარ როლზეო. ბრახ და გადასაღებ მოედანზე აღმოჩნდა და დაატყვევა ეკრანული „მამიდის" - ლია ელიავას სილამაზემ. ფილმში მთელი ქართული კინოს ელიტა იყო დაკავებული - სესილია თაყაიშვილი, თენგიზ არჩვაძე, სპარტაკ ბაღაშვილი,იპოლიტე ხვიჩია, კაკო კვანტალიანი, ელენე ყიფშიძე, დუდუხანა წეროძე, სანდრო ჟორჟოლიანი, გოგი გეგეჭკორი...

გადასაღებ მოედანზე აღარავის - არც მსახიობებს და რეჟისორს, და აღარც თავად გელას აღარ ახსოვდათ რომ გელა ერქვა, ყველა სოსოიას ეძახდა.

პირველად არაყიც გადასაღებ მოედანზე „ახუხინეს" - თევზაობის სცენას სოხუმთან იღებდნენ, წყალი გაყინული იყო და პატარა ბიჭს სციოდა, თენგიზ არჩვაძის და „სოსოიას რუსის" - რუსი მსახიობ გლებ სტრიჟენოვის მოთხოვნით, გელას არაყი დაალევინეს.

ხატიას როლის შემსრულებელი ლეილა ყიფიანი ჯერ კიდევ სინჯებისას გაიცნო და დანახვისთანავე შეუყვარდა, ახალციხეში გადაღებების დროს სიყვარულიც აუხსნა, ლეილამ სიტყვა ბანზე აუგდო - სიცილში „გაუტარა". ნახევარი ფილმი ისე გადაიღეს, „სოსოია" და „ხატია" ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ, მხოლოდ მოსკოვის ფესტივალზე, ფილმის პრემიერის დროს შერიგდნენ.

„სოსოიას" მერეც იწვევდნენ ფილმებში, მაგრამ უარს ამბობდა - სოსოიად დარჩა...

და აღარც მსახიობობა გააგრძელა - სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა.

მთელი ახალგაზრდობა თბილისის ხატვას შეალია.

| № | ქალაქი | დღემდე არსებული საქალ. | დღემდე არსებული საერთ. | ახალი |
|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი | 22 | 32 | 32 |
| 2 | აბაშა | 212 | 312 | 412 |
| 3 | ადიგენი | 266 | 366 | 366 |
| 4 | ამბროლაური | 239 | 339 | 439 |
| 5 | ასპინძა | 264 | 364 | 364 |
| 6 | ახალგორი | 242 | 342 | 342 |
| 7 | ახალქალაქი | 262 | 362 | 362 |
| 8 | ახალციხე | 265 | 365 | 365 |
| 9 | ახმეტა | 249 | 349 | 349 |
| 10 | ბათუმი | 222 | 222 | 422 |
| 11 | ბაღდათი | 234 | 334 | 434 |
| 12 | ბოლნისი | 258 | 358 | 358 |
| 13 | ბორჯომი | 267 | 367 | 367 |
| 14 | გაგრა | 443 | 443 | 443 |
| 15 | გალი | 445 | 445 | 448 |
| 16 | გარდაბანი | 272 | 372 | 372 |
| 17 | გორი | 270 | 370 | 370 |
| 18 | გუდაუთა | 444 | 444 | 444 |
| 19 | გულრიფში | 424 | 424 | 447 |
| 20 | გურჯაანი | 253 | 353 | 353 |
| 21 | დედოფლისწყარო | 256 | 356 | 356 |
| 22 | დმანისი | 260 | 360 | 360 |
| 23 | დუშეთი | 246 | 346 | 346 |
| 24 | ვანი | 232 | 332 | 432 |
| 25 | ზესტაფონი | 292 | 392 | 492 |
| 26 | ზუგდიდი | 215 | 315 | 415 |
| 27 | თეთრიწყარო | 259 | 359 | 359 |
| 28 | თელავი | 250 | 250 | 350 |
| 29 | თერჯოლა | 291 | 391 | 491 |
| 30 | თიანეთი | 248 | 348 | 348 |
| 31 | თიღვი | *** | *** | 374 |
| 32 | კასპი | 271 | 371 | 371 |
| 33 | ლანჩხუთი | 210 | 310 | 494 |
| 34 | ლაგოდეხი | 254 | 354 | 354 |
| 35 | ლენტეხი | 237 | 337 | 437 |
| 36 | მარნეული | 257 | 357 | 357 |
| 37 | მარტვილი | 218 | 318 | 418 |
| 38 | მესტია | *** | *** | 410 |
| 39 | მცხეთა | 273 | 373 | 373 |
| 40 | ნინოწმინდა | 261 | 361 | 361 |
| 41 | ონი | *** | *** | 473 |
| 42 | ოზურგეთი | 296 | 396 | 496 |
| 43 | ოჩამჩირე | 445 | 445 | 445 |
| 44 | რუსთავი | 24 | 34 | 341 |
| 45 | საგარეჯო | 251 | 351 | 351 |
| 46 | სამტრედია | 211 | 311 | 411 |
| 47 | საჩხერე | 235 | 335 | 435 |
| 48 | სენაკი | 213 | 313 | 413 |
| 49 | სიღნაღი | 255 | 355 | 355 |
| 50 | სოხუმი | 442 | 442 | 442 |
| 51 | სტეფანწმინდა | 245 | 345 | 345 |
| 52 | ტყიბული | 297 | 397 | 497 |
| 53 | ტყვარჩელი | 446 | 446 | 446 |
| 54 | ფოთი | 293 | 393 | 493 |
| 55 | ქარელი | 269 | 369 | 369 |
| 56 | ქედა | 235 | 235 | 425 |
| 57 | ქობულეთი | 236 | 236 | 426 |
| 58 | ქუთაისი | 231 | 331 | 431 |
| 59 | ყვარელი | 252 | 352 | 352 |
| 60 | ჩოხატაური | 219 | 319 | 419 |
| 61 | ჩხოროწყუ | 217 | 317 | 417 |
| 62 | შუახევი | 239 | 239 | 424 |
| 63 | ცაგერი | 238 | 338 | 472 |
| 64 | ცხინვალი | 244 | 344 | 344 |
| 65 | წალენჯიხა | 216 | 316 | 416 |
| 66 | წალკა | 263 | 363 | 363 |
| 67 | წყალტუბო | 240 | 340 | 436 |
| 68 | ჭიათურა | 279 | 379 | 479 |
| 69 | ხარაგაული | 233 | 333 | 433 |
| 70 | ხაშური | 268 | 368 | 368 |
| 71 | ხობი | 214 | 314 | 414 |
| 72 | ხონი | 295 | 395 | 495 |
| 73 | ხულო | 238 | 238 | 423 |
| 74 | ხელვაჩაური | 222 | 222 | 427 |
| 75 | ჯავა | *** | *** | 347 |

# ყურადღება!

## იცვლება სატელეფონო კოდები

2011 წლის განმავლობაში ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლის სამუშაო ეტაპობრივად განხორციელდება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, საწყის ეტაპზე, 2 აპრილიდან ქალაქების და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების არსებული გეოგრაფიული ზონების კოდები, ახალი ერთგვაროვანი ფორმატის გეოგრაფიული კოდებით შეიცვალა. სამინისტროს ინფორმაციით მიმდინარე წლის 25 აპრილის შემდეგ მოქმედებაში იქნება მხოლოდ გეოგრაფიული ზონების ახალი კოდები.

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების აბონენტების მიერ საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირის განხორციელების წესი უცვლელი რჩება და ცვლილება შეეხება მხოლოდ საქართველოს ქალაქების და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების კოდებს.

საქართველოს ქალაქებიდან და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებიდან თბილისში დასარეკად საჭიროა, გამომძახებელი აბონენტის მიერ აკრეფილი იქნეს: პრეფიქსი-8, ოპერატორის არჩევის კოდი (07, 10, 11, 18 და ა.შ.) ან მხოლოდ პრეფიქსი-8 და შემდეგ თბილისის კოდი-32 და თბილისში გამოსაძახებელი აბონენტის ექვსნიშნა ნომერი - XX XXXX;

თბილისიდან ქვეყნის სხვა ქალაქებში დასარეკად - გამომძახებელი აბონენტის მიერ აკრეფილი უნდა იქნეს: პრეფიქსი-8, ოპერატორის არჩევის კოდი (07, 10, 11, 18 და ა.შ.) ან მხოლოდ პრეფიქსი-8, შემდეგ გამოსაძახებელი ქალაქის ახალი კოდი და გამოსაძახებელი აბონენტის ხუთნიშნა ნომერი (მაგალითად: ბათუმში დასარეკად აკრეფილი უნდა იქნეს პრეფიქსი-8, ოპერატორის არჩევის კოდი (07, 10, 11, 18 და ა.შ.) ან მხოლოდ პრეფიქსი-8, შემდეგ ბათუმის ახალი კოდი - 422 და ბათუმში გამოსაძახებელი აბონენტის ხუთნიშნა ნომერი - X XX XX);

ქვეყნის ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში დასარეკად - აბონენტის მიერ აკრეფილი უნდა იქნეს პრეფიქსი-8, ოპერატორის არჩევის კოდი ან მხოლოდ პრეფიქსი-8, შემდეგ გამოსაძახებელი ქალაქის ახალი კოდი და გამოსაძახებელი აბონენტის ხუთნიშნა ნომერი (მაგალითად: რუსთავიდან სამტრედიაში დასარეკად აკრეფილი უნდა იქნეს პრეფიქსი-8, ოპერატორის არჩევის კოდი (07, 10, 11, 18 და ა.შ.) ან მხოლოდ პრეფიქსი-8, სამტრედიის ახალი კოდი-411 და სამტრედიაში გამოსაძახებელი აბონენტის ხუთნიშნა ნომერი - X XX XX).

ფიჭური სისტემის მობილური რადიოსატელეფონო ქსელებიდან ფიქსირებული ადგილობრივი სატელეფონო ქსელების აბონენტებთან კავშირის დასამყარებლად - გამომძახებელი აბონენტის მიერ იკრიფება: პრეფიქსი-8, ოპერატორის არჩევის კოდი (07, 10, 11, 18 და ა.შ.) ან მხოლოდ პრეფიქსი-8, შემდეგ გამოსაძახებელი ქალაქის ახალი კოდი და გამოსაძახებელი აბონენტის ნომერი (მაგალითად: თბილისში დასარეკად აკრეფილ უნდა იქნეს პრეფიქსი-8, ოპერატორის არჩევის კოდი (07, 10, 11, 18 და ა.შ.) ან მხოლოდ პრეფიქსი-8, შემდეგ თბილისის კოდი-32 და თბილისში გამოსაძახებელი აბონენტის ექვსნიშნა ნომერი - XX XXXX).

* * *

**საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს ქალაქების და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში დასარეკად - გამომძახებელი აბონენტი კრეფს: +, საქართველოს კოდს-995, გამოსაძახებელი ქალაქის ახალ კოდს და ამ ქალაქში გამოსაძახებელი აბონენტის ნომერს, (მაგალითად: საზღვარგარეთიდან ქუთაისში დასარეკად იკრიფება +, საქართველოს კოდი-995, ქუთაისის ახალი კოდი-431 და აბონენტის ხუთნიშნა ნომერი).**

**ამერიკის შეერთებული შტატებიდან და კანადიდან საქართველოში დასარეკად ვკრიბავთ 011, შემდეგ საქართველოს კოდს - 995, მარცხნივ სიაში მოცემული სასურველი ქალაქის ახალ კოდს და ტელეფონის ნომერს.**

წლის განმავლობაში თვალი ადევნეთ გაზეთ „მამულს“, რომელიც სამუშაოთა შემდგომი ეტაპების და ქსელების ნუმერაციაში ცვლილებების შესახებ დამატებით ინფორმაციას მოგაწვდით.

# გამოხატე შენი სიხარული!



22 მაისს, იგეგმება გაზეთ „მამულის“ სპეციალური, ისტორიული ნომრის გამოცემა მიძღვნილი წმიდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქართული ცენტრის გახსნისადმი. დააფიქსირე შენი სიხარული ამ ნანატრი მოვლენისადმი, გამოგზავნე შენი ხელნაწერი „მამულის“ რედაქციაში, არ დარჩე ამ სიხარულის მიღმა!



MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

წლეულს მართლმადიდებლური სამყარო აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი აღნიშნავს 24 აპრილს. სააღდგომო ლიტანიობა და მსახურება ჩატარდება წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის ახალ სახლში:

**1241 Castleton Avenue, Staten Island, NY 10310**

## განცხადებები

ჩემს შვილს, 19 წლის გიორგი სუარიშვილს შარშან გაუკეთდა თავის ტვინის ოპერაცია და აღმოაჩნდა თავის ტვინის ანევრიზმა, რომელიც იზრდება და მოითხოვს სასწრაფო განმეორებით ოპერაციას, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მე, 5 შვილის მამა, სამების საკათედრო ტაძრის დეკანოზს, თეიმურაზ სუარიშვილს არ გამაჩნია არავითარი სახსრები.

ძალიან გთხოვთ ჩემო ქრისტესმიერო დანო და ძმანო, შეძლებისდაგვარად შეეწიოთ გიორგის, რათა შევუნარჩუნოთ სიცოცხლე.

მოგახსენებთ დიდ მადლობას შარშან გაკეთებული ოპერაციის თანადგომისათვის და დახმარებისათვის. მე ვლოცულობ ყველა შემომწირველზე და ვილოცებ მისი გამოჯანმრთელების შემდეგაც. ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ თქვენ და თქვენი ოჯახები ავადმყოფობებისაგან.

გთხოვთ შემოწირულობა გადმორიცხოთ ანგარიშზე:
Chase Bank, Teimuraz Suarishvili
ანგარიშის ნომერი: 916786544
საბანკო კოდი/Swift Code: CHASUS33
ან გამოაგზავნოთ მისამართზე:
619 West 175th St., Apt 41 New York, NY 10033.
ღმერთმა დაგლოცოთ ორთავ სოფელსა შინა.

**იყიდება** აგარაკი დაბა მანგლისში, მაღალი ბელეტაჟით, ხუთი ოთახით, წინ დიდი აივნით, სველი წერტილებით, პირველი სართული შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სათავსოებად. მიწის ფართობია: 700კვ,მ.
ფასი - 23 ათასი დოლარი.
**საკონტაქტო ნომრებია:**
თბილისში 38-27-38, 855-15-99-44

**გასწავლით ინგლისურს**

**ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის და სკაიპის საშუალებით.** 718-738-5265 ლელა

# სავალალო შავი

რევაზ მიშველაძე



ნოველა აკაკი წერეთლის ცხოვრებიდან

ნატალია ბაზილევსკაია რუსი არისტოკრატის ქალიშვილი გახლდათ, აკაკი ბრწყინვალე ქართველი თავადის როსტომ წერეთლის თვალის სინათლე ბიჭი.

შესახედავადაც ორივენი მოხდენილები იყვნენ და იფსკვნეს ჯვარი.

მთავარი მიზეზი მათი შეუღლებისა, რასაკვირველია, სიყვარული იყო, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, ცოტა-ცოტა - როგორც პოლიტეკონომიის უნიჭო ლექტორი გვეტყოდა ხოლმე - „მატერიალურმა წახალისებამაც" წაუბიძგათ:

ჩრდილოეთის მშვენიერ ასულს რომ მაღალი, ხუჭუჭთმიანი ქართველი თავადი მოეწონა, იმ დროს მამაპაპური სიმდიდრე მთელს რუსეთის იმპერიაში ასიდან სამს თუ ჰქონდა შერჩენილი.

ბაზილევსკების ფული უკვე გადაეწოვა პეტერბურგელი გილდ-ვაჭრების ქისას, ორი კაპიკი, რაც დარჩენოდა, სადავო და სადავიდარაბო გამხდარიყო, ხოლო როსტომ წერეთელს (მკითხველს ჩემზე უკეთ მოეხსენება) თავისი ქონება უკვე კარგა ხნის წინ დაემღერებინა.

როცა ამური ზეობს, მოტრფიალენი კუჭზე არ ლაპარაკობენ, ხოლო აკაკიზე უკეთ ვინ იცოდა, რომ „სიყვარული ყველასათვის ვალია" და იგი „განურჩევლად იმონებს, კაცია თუ ქალია".

ისე, ჩვენს შორის დარჩეს, გულის სიღრმეში ხანდახან გაჰკრავდა ხოლმე ფიქრი:

არისტოკრატკა გოგოა, პეტერბურგის მაღალ წრეებთან დაახლოებული, შევირთავ. ჯერ ერთი, ნახევრადმშიერი მეგობრები ცოტას ამოვისუნთქავთ და მერე, იმპერიის დედაქალაქის ძნელად შესაღწევ სალონებთან დამაკავშირებსო.

ულამაზეს ნატაშასაც გამოუწია გულმა ზღაპრული კავკასიისკენ. როგორც აკაკი მეუბნება, წერეთლების გვარი გავლენა-სიმდიდრით საქართველოს საუკეთესო გვართა სამეულში შედის, დავუკავშირებ ბედს კავკასიას, ამ მზიან-ხილიან კურორტ ქვეყანაში ზაფხულობით ჩავალ და თითქმის გაკოტრებულ ოჯახსაც ხელს მივაშველებო.

გავიდა თაფლობის თვეები და ახალყოილთა თავებში სხვანაირი ფიქრი გაკრთა. რა მეჩქარებოდაო, დაიწუწუნებდა ხოლმე აკაკი მაშინაც კი, როცა მთელი საქართველო „უგვირგვინო მეფეს" და „საქართველოს ბულბულს" ეძახდა. ხოლო ნატალია ბაზილევსკაიას, როგორც კარგად აღზრდილი ქალის, წერილები აშკარა სინანულს ნაკლებად შეიცავს, მაგრამ ყველა წერილი თითქმის ერთნაირი შინაარსისაა - ლოლია უკვე დიდია და, როგორც გინდა, (თუნდაც ქვა გახეთქე) იშოვე ფული და გამოგვიგზავნეო.

საქართველოს ბულბულს მთელი სიცოცხლის მანძილზე სიღარიბის ჭია ხრავდა და კვირაში სამი დღე თუ „თორნიკე ერისთავს" წერდა, სამი დღე იმასაც ფიქრობდა, ფული რა გზით ეშოვა.

რედაქციები რომ ორ კაპიკს გადმოუგდებდნენ, სასტუმროს (ბინა სხვიტორის გარდა არსად ჰქონდა; არც ქუთაისში და არც თბილისში) და საჭმლის ფულად ძლივს ჰყოფნიდა. თუ რამე გადარჩებოდა, ბანქოში აგებდა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ბანქოს თამაშობდა და არაფერი მოუგია, მაგრამ ჯიუტად არ ეშვებოდა.

ზაფხულობით მეუღლე და შვილი სხვიტორში ეწვეოდნენ. ნატალიას საქართველოში მუდმივად ცხოვრებას ვერ გააგონებდი.

პირველ ხანებში აკაკის აძალებდა პეტერბურგში გადმოსვლას, მაგრამ მგოსანი ერთსა და იმავეს პასუხობდა: რა გავაკეთო ჩემი ქართული ლექსებით მანდო.

მერედამერე მიხვდა ცოლი, რომ აკაკის პეტერბურგისკენ ვერ გადაქანავდა და აღარც იყინებდა მაინცდამაინც. ერთადერთი, რასაც არ იშლიდა, ფულის გაუთავებელი მოთხოვნა იყო. თანაც ზოგიერთ წერილში მოთხოვნაში აქა-იქ მუქარაც გაერეოდა ხოლმე.

ზაფხულობით ჩამოდიოდა-მეთქი, ნატალია სხვიტორში და, მართალია, წერეთელთა საგვარეულო სახლს აივნიდან მერჯვეს და მოდინახეს საათობით შესცქეროდა, მაგრამ მწვანე სანახებს რომ თვალს მოაშორებდა, ახლომახლო არაფერი მოსწონდა. არც უშნო, მოუწყობელი სახლი, არც ქართული წიწაკიანი კერძები და არც ხელნაწერს მიჭიჭინებული წვეროსანი ქმარი.

ერთადერთ მოსამსახურეს აიძულებდა, ჩიხურიდან ყოველდღე 15 კოკა წყალი მოეტანა და აგურის დიდი აბაზანა გაევსო, რათა კნეინას ყოველდღე მინერალურ წყალში (როგორც თვითონ ეძახდა) ებანავა. ჩიხურა კი საკმაოდ შორს იყო და საწყალი მოსამსახურე წელში წყდებოდა, სანამ ახირებულ ქალბატონს აბაზანას გაუვსებდა.

ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მიგყავსო, დაიწყებ და შუაგზაზე მიატოვებო, ქართველი და ასეთი უნიათო არ გამიგია, ჩაულაპარაკებდა ხოლმე ბუზღუნა ცოლი და თავგაბეზრებული აკაკი დღეებს ითვლიდა, როდის გაისტუმრებდა ოჯახს პეტერბურგში.

ნატალია ბაზილევსკაიას ნათქვამში ცოტა სიმართლეც ერია.

აკაკი წარმატებით სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ სწორედ მაშინ, დამამთავრებელ „ეგზამენებამდე" რომ ხუთიოდე თვე იყო დარჩენილი, გიმნაზია მიატოვა და სახლში დაბრუნდა.

რატომ ჰქენი ესო, რომ ჰკითხეს ახლობლებმა, ძმასავით სამხედრო სამსახურში მინდა შესვლა და ამ გამოცდებით რაზე გავიწვალო თავი, გიმნაზიის დიპლომი არაფერში დამჭირდებაო, უპასუხა.

არადა, დაჭირდა.

ერთი წლის შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა. სამხედრო სამსახურში შესვლა არც უფიქრია, იქ ქართველ სტუდენტებს შეხვდა და უნივერსიტეტში შესვლა გადაწყვიტა.

უნივერსიტეტში გიმნაზიის დიპლომი მოთხოვეს და რაკი არა ჰქონდა, თავისუფალ მსმენელად ჩარიცხეს.

აკაკიმ ოთხის ნაცვლად ორ წელიწადში გაიარა საუნივერსიტეტო კურსი - ყველა გამოცდა მაღალ ნიშანზე ჩააბარა და დეკანმა განუცხადა - წადი, ჩააბარე რომელიმე გიმნაზიაში ექსტერნად გამოცდები, ცნობა მოგვიტანე და დიპლომს გამოგიწერთო.

კარგი, ასე მოვიქცევიო, დაყაბულდა დეკანს აკაკი, მაგრამ არც ამჯერად შეასრულა სიტყვა. გიმნაზიის საგნები არ ჩააბარა და ამის გამო არც უნივერსიტეტის დიპლომი მიუღია.

იცოდა თუ არა ბაზილევსკაიამ, რომ აკაკი ორივე სასწავლებლიდან უდიპლომოდ გამოვიდა, ჩვენთვის უცნობია.

ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეო, კნეინა სხვა საქმეებზე მიანიშნებდა: ერთ-ერთი „ბოლომდე მიუყვანელი საქმე" ჭიათურის მარგანეცის საქმე იყო, მაგრამ ამ საქმის ჩავარდნაში" აკაკი არ იყო დამნაშავე და ეს ნოველაც იმიტომ იწერება, რომ პოეტს თანამეცხედრის უსაფუძვლო ბრალდება ავაცილოთ.

ცხოვრებაში ორი რამის იმედი ჰქონდა - ბანქოში ფულის მოგების და მარგანეცის შავი ქვისა.

არცერთმა არ გაუმართლა.

მარგანეცის საქმე ასე იყო:

ბავშვობიდან ახსოვდა: ერთხელ მამამისმა სოფელ წირქვალიდან ხორბლის მომტანი დატუქსა: ხომ გითხარი, შე კაცო, ქვა-გუნდა არ შეაყოლო-მეთქი. ეგ ხორბალი კაცს აღარ ეჭმევა, სხვა კოდში ჩაყარე ქათმებისთვისო.

ქვა-გუნდა რა არიო, აკაკიმ იკითხა (მაშინ თორმეტი წლის იყო).

ქვა-გუნდა, შვილო, შავი ქვაა, ჭიათურის სოფლებში ყველგან ჰყრია. თუ ხორბალს შეჰყვა, ფქვილს აშავებს და კუპრივით შავი პური ცხვებაო.

მოგვიანებით პეტერბურგში სტუდენტობის დროს „სამეფო ჟურნალში" პროფესორ აბიხის სტატია წაიკითხა: შავი ქვა ანუ მარგანეცი ძვირფასი მინერალია, ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიაში, რეინის პირას მოიპოვებენ. იქაც მადანი უკვე ილევა და რა ეშველება მსოფლიოს უმარგანეცოდ, არ ვიციო, წუხდა აბიხი. ეჭვი მაქვს, შავი ქვა საქართველოშიც უნდა იყოსო, დასძენდა.

აბიხის სტატიის წაკითხვისას სტუდენტს ქვა-გუნდა გაახსენდა, მაგრამ ამაზე ფიქრი დიდხანს არ გაჰყოლია, მითუმეტეს, რომ არ იცოდა, ქვა-გუნდა თუ მარგანეცი აღმოჩნდებოდა.

მერე, როცა საქართველოში დაბრუნდა, უსახსრობის გამო ქმარი არაერთხელ მოიჭირა და პეტერბურგიდან ნატალიას წერილებმაც იმატა (ჰე, რას შვრები ახლა; ცოლშვილს რომ მოეკიდე, რჩენა რომ უნდოდა, არ იცოდიო?!), მაძიებელ გონებაში კვლავ ამოუტივტივდა ჭიათურის შავი ქვა.

თბილისიდან გეოლოგი სვიმონოვიჩი ჩამოიყვანა.

სვიმონოვიჩმა ერთი თვე დაჰყო საჩხერე-ჭიათურაში.

აკაკი გვერდიდან არ მოშორებია. პირველ დღისვე ლუპით დახედა თუ არა, გეოლოგმა მაშინვე ახარა პოეტს: წყალი არ გაუვა, სწორედ მარგანეციაო.

დანარჩენ 29 დღეს სვიმონოვიჩი და მისი გულუხვი მასპინძელი დასეირნობდნენ ჭიათურის სოფლებში. აკაკის იმის გაგება სურდა, ბევრი იყო თუ არა მადანი. ბახუსის მოყვარულ სვიმონოვიჩს კი, ჩანს, გაუტკბა „ძველმავი", „უსახელოური", ნემსში გამომცხვარი ჭადი და კეცში შემწვარი ვარიები.

გაირკვა, რომ ჭიათურაში ლამის ულევი მადანი იყო და ვინც მარგანეცის მოპოვებას დაიწყებდა, თვითონ ხომ გამილიონერდებოდა, ქვეყანასაც ააღორძინებდა.

საქმის დასაწყებად ფული იყო საჭირო. აკაკის ყველაფერი ჰქონდა (ნიჭი, ჯანმრთელობა), ფულის გარდა.

ჩამოუარა იმერელ თავადებს.

დაიწყებდა თუ არა შავ-ქვაზე ლაპარაკს, მისი მოგვარენიც კი საეჭვოდ შეხედავდნენ, პირში არ ეუბნებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ქირქილებდნენ: - „როსტომ წერეთლის ბიჭი შეშლილა, რაღაც შავ-ქვაზე აბოდებს. ფული მთხოვა. ჯერ ერთი, სადა მაქვს, კიდეც რომ მქონდეს, შავ-ქვაში რავა ჩავდებო. არადა, გარეგნულად რა მშვენიერი ბიჭია, რატომ უნდა მოსვლოდა ეს ამბავიო".

არ გეგონოთ, რომ რაც ახლა წაიკითხეთ, ნოველის ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. თვითონ აკაკი წერეთელი წერს:

„ნაცნობები და ნათესავები სამძიმარს ეუბნებოდნენ მამაჩემს. - ვაი, რა შვილი გადაგვრია და რაღაც ეშმაკის გაჩენილ შავ-ქვას დასდევსო".

იმერეთში რომ ვერა გააწყო რა, აკაკი თბილისში ჩამოვიდა. ამილახვარ-ორბელიან-მაღალაშვილები, რასაკვირველია, ზრდილობის გულისთვის ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ ფულის ჩადებაზე რომ მიდგებოდა საქმე, ხელებს ასავსავებდნენ - იცოცხლე, ეგ კარგი საქმე იყოს, თავადიშვილო, მაგრამ ჩვენ ფული ვინ მოგვაშავა, ჩვენ მხოლოდ სახელი და დიდებაღა შეგვრჩა. ფული თბილისში მხოლოდ სომეხ სოვდაგრებს აქვთ და იმათ მიმართეო.

მიმართა აკაკიმ სომეხ ვაჭარ შაბუროვს. ფულის მეტი რა მაქვსო, სომეხმა, მაგრამ შავ-ქვაში რომ ფული გადავყარო, მარტო შენ კი არა, მეც გიჟად გამომაცხადებენო. უფრო ნაღდი რამე მოიფიქრე და მოდიო, კრიალოსნის მარცვლით აუწყა შაბუროვმა.

აქ არაფერი გამოდისო და დაჯდა წერად აკაკი.

აგზავნის საზღვარგარეთ წერილებს: ასე და ასეა საქმე. საქართველოში უამრავი მარგანეცია. ჩამოდით და თქვენც აშენდებით, მეც და ჩემი ღატაკი ხალხიცო.

ამასობაში თორმეტი წელი გავიდა.

გაფთრებული ბაზილევსკაია პეტერბურგიდან ფულს გაორკეცებული ენერგიით ითხოვს.

თორმეტი წლის განმავლობაში საზღვარგარეთიდან აკაკიმ თავისი ხარჯით (ნასესხები ფულით) რვა კომპანია ჩამოიყვანა. ევროპელები ბუტბუტით ათვალიერებდნენ ჭიათურის მიუვალ სოფლებს („საცალფეხო გზაც არსად იყოო", - წერს აკაკი), მაგრამ საბოლოოდ უარს ამბობდნენ შავიქვის რეწვაზე ორი მოტივით: ჯერ ერთი, საურმე გზამდე მარგანეცის ჩამოტანა ოთუსბირი დაგვიჯდება და მეორეც: აქ, როგორც ვხედავთ, ველური ხალხი ცხოვრობს, „ადამიანს ისე სჭრიან თავს, როგორც ხახვსო".

„აი, მაგ უკანასკნელზედ კი ბოდიში მოიხადეთო", წყრებოდა აკაკი, ჩემი ხალხი უძველესი კულტურის მქონე ხალხია და უბატონოდ არავის მიმართავსო.

ერთი სიტყვით, ბოლოს პეტერბურგში (ისევ ჩვენი „მხსნელი" პეტერბურგი) შინაგან საქმეთა მინისტრ მაკოვამდე მიაღწია აკაკიმ და მაკოვმა შესთავაზა - შავი ქვა, როგორმე პეტერბურგამდე (რა პატარა მანძილია?!) ჩამომიტანე და საზღვარგარეთ მე გავგზავნიო.

პეტერბურგამდე კი არა, სამ ვერსზე - ჭიათურის სოფელ წირქვალიდან საურმე გზამდე ვერ ჩამომაქვსო, ცრემლი მოერია აკაკის.

აბა, რა გიყო, გენაცვალე, მე წყალში მოდგაფუნე თევზის მუშტარი არ გახლავარო, მაკოვმა.

კიდევ კარგი, ხელშეკრულება არ გაფორმდა, თორემ აკაკის ვალებს ხუთი იმდენი დაემატებოდა. ერთ თვეში მაკოვმა თავი მოიკლა. რასაკვირველია, არა შავი ქვის მიზეზით.

ბოლოს მაინც გამოძებნა „განთიადი" ავტორმა კომპანიონი - გვარად ოსტრიაკოვი.

ოსტრიაკოვს მთლად მილიონერი არ ეთქმოდა, მაგრამ შეძლებულ კაცზე მეტი იყო.

შეთანხმდნენ: აკაკის ფოთში ოთხი თვის განმავლობაში ნახევარი მილიონი ფუთი მარგანეცი უნდა ჩაეტანა და ფოთიდან „პარახოდით" (აკაკი სწერს ასე) ოსტრიაკოვი წაიღებდა. თითო ფუთ მარგანეცში აკაკი სამ აბაზს მიიღებდა, ხოლო, ვინც პირობას გატეხდა, უნდა გადაეხადა „შტრაფი" (აკაკის ტერმინია) ასი ათასი ფრანკი.

დატრიალდა აკაკი. ჯერ ანდრონიკაშვილის ქვრივს, სალომე წერეთელს მიადგა; შენს ეზოში შავი ქვაა, უნდა გავიტანო და მიწა იჯარით მომეციო. გასამრჯელოდ წელიწადში 500 მანეთს მოგცემო. სიხარულისგან ცას ეწია ქალბატონი სალომე. რად გინდა იჯარა, ჩემო აკაკი, ხუთას მანეთად მთელ ეზოს საკუთრებად მოგყიდიო. იუარა აკაკიმ. შენ არ იცი, რა სიმდიდრეა შენს ეზოში, მე ვერ ვისარგებლებ შენი უმეცრებით, ამიტომაც იჯარით ვიღებ მიწას წელიწადში 500 მანეთადო.

ქვრივი გაკვირვებული და გახარებული დარჩა.

ფოთში „პარახოდი" იცდის.

აკაკის ნასესხები ფული ხელში უჭირავს, მაგრამ გზამდე შავი ქვის ჩამომტანი ვერ იშოვა.

ბოლოს ვიღაც ღვთიან-მადლიანი ვაშაძე მოძებნა.

ვაშაძემ ასეთი პირობა დაუდო: სოფლიდან საურმე გზამდე თითო ფუთ შავ ქვას ზურგით ჩამოვიტან (ღონიე ღამით ვივლი, რადგანაც აზნაურობის მაძიებელი ვარ და მრცხვენია), საურმე გზიდან ცხენით შორაპანში ჩავიტან და იქიდან მატარებელს დავუდებ ფოთში წასაღებადო.

აეწყო საქმე!

აკაკის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ოთხი-ხუთი გზობა ჰქონდა ვაშაძეს გაკეთებული, მეტი არა, რომ გამთენიისას სხვიტორში მიადგა აკაკი.

თავად სძინავსო, მოსამსახურემ.

რა დროს ძილია, დანა პირს არ მიხსნის, როგორმე გააღვიძეთო, ვაშაძემ.

გაიგონა ეს ლაპარაკი აკაკიმ და აივანზე გადმოდგა თეთრინიფხავპერანგისამარა.

ბატონო, გზაზე გლეხები გადამიდგნენ. სად მიგაქვს ე შავი ქვაო. მე ვუთხარი, აკაკი წერეთლის შავი ქვაა, სალომე წერეთლის ეზოდან მომაქვს, იჯარით აქვს აღებული აკაკის-მეთქი. აკაკი და სალომე არ ვიცით ჩვენო. აკაკის ჩვენს ხარჯზე უნდა გამდიდრებაო, შემომიბღვირეს.

ჩვენ რა შუაში ვართო? აკაკიმ ამოიხვნეშა.

მეც ეგ ვუთხარიყე, თქვენ რა შუაში ხართ-მეთქი, კაცი პატიოსნად იჯარის ფულს იხდის და ფოთში თავის ხარჯით აგზავნის მარგანეცს-მეთქი. კი მარაო, ე გზა (საცალფეხო ბილიკზე თქვეს) ხომ სოფლის არიო, ამ გზას რო თელავთ, ფული არ გვეკუთვნისო? შემომიბღვირეს. საერთოდ ეგ მარგანეციც ჩვენია, ხალხისაა, ყოველ ფუთზე თითო აბაზი მოგვეც, თვარა, არ გაგატარებთო.

- რამდენიო? აკაკის გაეცინა, - რა ფული ეგულებათ ჩემთან. ვალებით ვარ გაძეძგილი.

მეც ეგ ვუთხარიყენ, კაცი ყელამდე ვალებშია-მეთქი. ერთი სიტყვით, წადი, შენს დამქირავებელს ფული გამოართვი და დაგვირიგე, თორემ ამ გზაზე უტვირთოდაც რომ შეგვხვდე, თავს გაგიტეხავთო. ის ქვა იქვე დამაგდებინეს, ერთი მაგარი პანღური ამომკრეს და გამომიშვეს. მე იქ ამსვლელი აღარა ვარ. იმ ოთხი გზობის (მეხუთეს არ ვთვლი, თუმცა, ნახევარზე ჩამოტანილი მქონდა) რაც მეკუთვნის, გამისტუმრეთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთო, ვაშაძემ.

რა ექნა, ჩაუთვალა პოეტმა აზნაურობის მაძიებელს ოთხი ფუთი მარგანეცის ჩამოტანის ხარჯი.

არადა, დრო უღმერთოდ გარბის.

ფოთში „პარახოდი" იცდის და, თუ აკაკიმ მარგანეცი დროზე (ოთხ თვეში) არ ჩაიტანა, „შტრაფი" ასი ათასი ფრანკი უნდა გადაიხადოს.

აწრიალდა. მიდგა-მოდგა სასოწარკვეთილი პოეტი და ივანე მუხრანსკის შეუამხანაგდა.

ივანე მუხრანსკიმ სპარსეთიდან შვიდი აქლემი ჩამოიყვანა და აქლემაკიდებული შავი ქვა საცალფეხო ბილიკებით ჭიათურამდე ჩამოჰქონდათ.

სამი დღის შემდეგ აბღავლებული დაბრუნდა მთავარი მეაქლემე. ქარავანში მხოლოდ ხუთი აქლემი ჩანდა.

დანარჩენები რა იქნენო, ერთდროულად იყვირეს აკაკი წერეთელმა და ივანე მუხრანსკიმ. კლდეზე გადამიჩეხეს ორი აქლემი, ბატონო, ადგილობრივმა გლეხებმა და შემოგითვალეს, თუ ფულს არ მოგვიტანს, დანარჩენ აქლემებსაც იმ ორის გზას გავუყენებთო. იქნებ, თქვენ ახვიდეთ და მოურიგდეთ გლეხებსო, მექარავნემ.

ავიდა ცხენით აკაკი.

უძველესი კულტურის წარმომადგენლებმა აკაკის „თორნიკე ერისთავი" და „განთიადი" ფეხებზე დაიკიდეს. თვით აკაკი მოვუსმინოთ: „მორიგებაზე რომ მიდგა საქმე, იმდენი მოითხოვეს, რომ სიზმარადაც არ მინახავს ამდენი ფული".

დაბრუნდა სხვიტორში გულჯავრიანი აკაკი წერეთელი.

სამუდამოდ დასწყევლა შავი ქვა და თავისი უიღბლო „მრეწველობასაც" გამოეთხოვა.

ცოლი რომ წერდა, ქვა გახეთქე და ფული იშოვეო; ქვა გახეთქა, მაგრამ გახეთქილი შავი ქვა ფოთამდე ვეღარ ჩამოიტანა.

სიბრაზისგან ენაგამშრალი ივანე მუხრანსკი თავის გზაზე წავიდა.

აქლემებიო? ნახევარ ფასში მიყიდის ვიღაც ყაზახელ უზბეკს.

ისევ ფოთს მივუბრუნდეთ.

ქოში უკუღმა ჰყარა ოსტრიაკოვმა, ოთხი თვის მერე ცარიელი „პარახოდი" რომ ტივტივებდა ფოთის პორტში.

სასამართლომ გაითვალისწინა აკაკის, როგორც საზოგადო მოღვაწის, პოპულარობა, მისი გამოუცდელობა მრეწველ-კაპიტალისტის ამპლუაში, თანაც აკაკის ადვოკატმა უამრავი საბუთი მოიტანა ჭიათურელი გლეხების თვითნებობის დასამტკიცებლად და აკაკი წერეთელი, რასაკვირველია, „შტრაფისგან" მთლიანად არ გაათავისუფლა, მაგრამ ასი ათასი ფრანკი ხუთი ათას ფრანკზე ჩამოუყვანა.

ეს კი პატარა საქმე როდი იყო (აშენდა იმ მოსამართლის ოჯახი, თორემ აკაკის მამაპაპეული სახლიც ვალში გაიყიდებოდა და ჩვენ დღეს, აკაკის მადლიერ შთამომავლობას, სხვიტორში დიდი პოეტის სახლ-მუზეუმი არ გვექნებოდა).

ისიც უნდა დავძინო, რომ განაჩენის თანახმად, ის ხუთი ათასი ფრანკიც აკაკი წერეთელს ერთბაშად კი არ უნდა გადაეხადა, არამედ - ნაწილნაწილად ლექსებსა და პოემებში (განსაკუთრებით პოემები) აღებული ჰონორარის კვალობაზე.

ამბობენ, ოსტრიაკოვი ორი წელი ელოდაო აკაკის ჰონორარის პროცენტებს, მაგრამ რაკი ორ წელიწადში კაპიკიც ვერ მიიღო, იმ ხუთი ათას ფრანკზეც ხელი ჩაიქნია.

●

ასე უიღბლოდ დამთავრდა აკაკისთვის მარგანეცის საქმე.

თხის პატრონს (მარგანეცის პირველ აღმომჩენს), რომ იტყვიან, თხის კუდიც არ ერგო.

საქართველოს „უგვირგვინო მეფემ" პირადი ცხოვრება ვერა და ვერ აიწყო.

სულ დავიდარაბაში იყო, თავი რომ გაეტანა.

ხომ უზარმაზარი საქვეყნო ტვირთი ჰქონდა ზურგზე მოკიდებული; ხომ ქვეყანას პატრონობდა. ამისთვის ხან აპატიმრებდნენ („ხუმარას" რედაქტორობისთვის ციხეში ჩასვეს), ხან სამართალში აძლევდნენ („ინტერნაციონალის" თარგმნისთვის)...

ამის პარალელურად სამოქალაქო საქმეებზეც ხშირად ჩანდა სამართლის კარზე.

სისხლს უშრობდა თავის მეგობარ მოსამართლეს - ანაპოდისტე მაჩაბელს ახალ-ახალი საჩივრებით.

თუმცა, თითქოს მოჯადოებულ წრეში ტრიალებსო, ანაპოდისტემ ვერცერთი საქმე ვერ მოაგებინა.

ქართველი ერი? საზოგადოება?

საზოგადოება როდის იყო, მისთვის თავგადაკლულ მოღვაწეზე რომ წუხდა.

საქართველო აკაკის ხედავდა ქუჩაში ამაყად, გამართულად მიმავალს, ხედავდა ლექსის თქმის დროს, ან სუფრაზე ყანწით ხელში (სხვათაშორის, არ სვამდა და არც თუთუნს ეწეოდა) და ეგონა, ასე ლაღად, ლამაზად მიედინებოდა აკაკის ცხოვრება.

ამას რა უჭირს, გენაცვალე, ჩვენ ვკითხოთო, იტყოდნენ მოქალაქენი და ჩაუვლიდნენ.

ჩვენ დედამიწაზე ყველაზე კარგად რაც გამოგვდის, ესაა იუბილეს გადახდა და მკვდრის დატირება.

1908 წლის 7 დეკემბერს თბილისში ზღაპრული იუბილე გაუმართეს.

ღირსეულად დააფასეს საქართველოს ბულბული.

სავანიდან ის აკვანიც კი ჩამოუტანეს, რომელშიც ძიძამ გაზარდა.

ფრაკში გამოწყობილი ბულბულ-კონფერანსიეს (გვარს არ დავასახელებ) „მშვენივრად „მიჰყავდა" საიუბილეო საღამო.

ოპერის თეატრი პოეტის თაყვანისმცემლებს ვერ იტევდა.

კულისებში ვაჟა-ფშაველა გამოჩნდა. კონფერანსიეს მხარზე ხელი დაადო - აკაკის ლექსი უნდა ვუძღვნა, მე ვაჟა-ფშაველა ვარო.

გიცნობთ, ბატონო ვაჟაო, კონფერანსიემ.

ერთი კი მრავალმნიშვნელოვნად ახედ-დახედა მთის არწივის გამოხუნებულ ჩოხას და ხანჯალსაც შეავლო თვალი.

შებრუნებისას ვაჟამ ერთხელ კიდევ შეაჩერა: - მე ქვემოთ ვიქნები, კარებთან, დარბაზიდან ვეტყვი, ასე უფრო ეფექტური იქნებაო.

ბატონი ბრძანდებით, წამყვანმა.

ვინ არ დაასახელა, ვინ არ გამოიყვანა თმაგადაგლესილმა მერცხალფრაკა კონფერანსიემ, ვაჟა ავიწყდება.

პოეტი დგას და თავის რიგს ელის.

იუბილე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ვაჟა-ფშაველა გამოუცხადებლად, „ვეფხვივით, გამოსხლტა სცენაზე" (ზუსტად ასე იგონებს ბაბილინა ხოსიტაშვილი) და აკაკი წერეთელს ლექსი სტყორცნა.

იყო სხვა კურიოზიც:

დიდებული ბანკეტი გაუმართეს აკაკი წერეთელს. ენაწყლიანი თამადა, საყოველთაო სიყვარულის გამოცხადება, ხვევნა-კოცნა...

დამთავრდა ბანკეტი.

მონადიმენიც, საიუბილეო კომისიის წევრებიც მიმოიფანტნენ და აკაკი მარტო დარჩა.

ეტლითაც კი არ გაისტუმრეს შინ გენიალური იუბილარი.

გამოვიდა გალავინსკზე, ცოტა ხანს ფეხით იარა და მერე ეტლს უხმო. სასახლის ქუჩაზე დათიკო სარაჯიშვილთან მიმიყვანეო, მეეტლეს უბრძანა.

მეეტლემ აღვირები აიქნია და ცხენები პაკაპუკით გაუყენებ გალავინსკს ერევნის მოედნისკენ.

პოლიციამ ოპერასთან გზა გადაკეტა. სამი საათი უსაქმოდ ვიდექიო, მეეტლემ.

ერთი მითხარით, ბატონო, რა ხდებოდა, ვინ ჩამოვიდა პეტერბურგიდან, რას დღესასწაულობენ, ვისთვის შეიკრიბა ამდენი ხალხიო.

აკაკიმ მუხლზე ხელაბანდი გადაისვა, გაიღიმა და თვალმოჭუტვით მიუგო მეეტლეს:

ვისთვის და ჩემთვისო.

მეეტლემ სიცილი ვერ შეიკავა.

არა, მე მართლა გეკითხებითო.

სიყრმეს გეფიცები, მართლა ჩემს დაბადებას ზეიმობდნენო.

მეეტლე ჩაბჟირდა.

- რა მასხარა ყოფილხართ, ბატონო - სული რომ მოითქვა, უცნაურ მუშტარს ერთხელ კიდევ გამოხედა და ცხენებს შეუძახა.

1908 წლის 14 დეკემბერს ქუთაისში გადაუხადეს იუბილე.

ბეჟან წერეთლის სახლიდან გამოდის თეთრწვერა ბიბლიური გარეგნობის პოეტი. თეთრი ყვავილებით სავსე, თეთრცხენებიან ეტლში ჯდება. კოფოზე თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მეეტლე ზის - გვარად მელია.

ქუთაისის თეატრამდე ორასიოდე მეტრში ეტლს ახალგაზრდები შემოეხვივნენ და ცხენების გამოხსნა დაიწყეს.

რას შვრებითო, გაწყრა მელია.

ეტლში ჩვენ უნდა შევებათ და ასე მივიყვანოთ საყვარელი პოეტი თეატრამდეო.

არა, ბატონო, ამაზე არ მოვლაპარაკებულვართ. მგოსანს რომ რამე მოუვიდეს, ვინ აგებს პასუხსო, მელიამ.

ვინ მოუსმინა.

პოეტისადმი უბრალო ხალხის თაყვანისცემას ხომ საზღვარი არა აქვს.

შეებნენ და დაძრეს ეტლი ბიჭებმა.

აკაკიმ ფერი დაკარგა. თავის ნათლულს უხმო:

„ამ საფეხურზე დადექი, ვინიცობაა ეტლი გადაბრუნდეს, ხელი მტაცეო. საშინელი მშიშარა იყო აკაკი. თეთრი ხიდი უნდა გაევლოთ და ეშინოდა, რიონში არ გადამჩეხონო. ნათლული ძალიან ღონიერი ყმაწვილი იყო და იმის იმედი ჰქონდა, გზაში თურმე სულ „მამაო ჩვენოს" ლოცულობდა" - იგონებს ნიცა ბაგრატიონი-წერეთელი.

მიდიოდა უცნაური ეტლი ქუთაისის ბულვარისკენ.

მიჰყვებოდა უკან ორცხენშუა ჩამდგარი მეეტლე. იქით-აქეთ ლაგამით ეჭირა მეეტლეზე უფრო გაოცებული, ლამაზთვალება, თეთრი ცხენები.

ეტლში შებმული ყმაწვილები მღეროდნენ და თეთრ ხიდზე ისე ხალისიანად ბრაციბრუცობდნენ, რომ, მართლაც, შეიძლებოდა, ნამეტანი სიყვარულით ხიდიდან გადავარდნოდათ ერისთვის დამაშვრალი პოეტი.

გრანდიოზული იუბილე რომ დამთავრდა (რასაც სამასკაციანი სათავადაზნაურო ბანკეტი მოჰყვა რიონისპირას, სოლომონ მეფის სასახლეში), დაღლილი აკაკი ისევ ბეჟან წერეთლისას მიიყვანეს.

იქ იყო ჩამომხტარი.

აკაკი საძინებელში განმარტოვდა, დავიღალე, ცოტა თვალს მოვატყუებო.

მასპინძლები (მათ შორის ივანე იოსელიანიც იყო) სასტუმრო ოთახში დარჩნენ.

უცებ კიბე ამოირბინა ჩოხოსანმა, შუახნის კაცმა:

ბატონ აკაკისთან სასწრაფო საქმე მაქვს, უნდა ვნახოო.

ივანე იოსელიანმა უარი უთხრა; დაღლილია, ისვენებსო.

ერთი წუთით შემომვით, სასიხარულო რამ უნდა ვაცნობოო, უცნობმა.

შემოუშვითო, აკაკიმ დაიძახა.

შეუშვეს.

მართლაც, ხუთიოდე წუთში გამოვიდა სტუმარი, მასპინძლებს მადლობა დაუგდო და კიბე ჩაირბინა.

დაეჭვებული მასპინძლები საძინებელში შევიდნენ.

„აკაკი გაფითრებული დგას შუა ოთახში.

- ხედავთ, რა ჩაიდინა ამ საძაგელმა? ახლავე ფული, თორემ გაგათავებო, ხანჯალზე ხელი წაივლო.

- მერე, ბატონო?

სიბრაზისგან პირი გაგვიშრა.

- რა მექნა, უხმოდ ამოვიღე უკანასკნელი ხუთი თუმანი და მივართვი.

მოხუცი პოეტი სულს ძლივს ითქვამდა".

(ივანე იოსელიანის მოგონებიდან).

არ უნდა ლაპარაკი, ძალიან უყვარს ხალხს თავისი პოეტი, თავისი კეთილი მრჩეველი, თავისი გულის მესაიდუმლე.

მაგრამ რაღა თავისი იუბილე ჩამწარეს, რაღა იუბილის დღეს გაძარცვეს? უცნაური ერი ვართ ქართველები. ზომა არ ვიცით არაფერში.

●

აკაკი წერეთელს ორჯერ დაეცა დამბლა - 1905 წელს და 1915 წელს.

პირველი სისხლისჩაქცევისგან პოეტი განიკურნა პარიზში. ვერ დავუკარგავ; ნატალიამ და ლოლიამ უპატრონეს. პარიზიდან თავის მეგობარს კოტე აბდუშელიშვილს წერდა: - ოჯახმა ექიმები დამახვია, მაგრამ რაღა დროს ჩემი მკურნალობაა, ამ სიშორეზე არ უნდა წამომესულიყავიო.

მეორედ, 1914 წლის შემოდგომაზე შეუძლოდ იგრძნო თავი და ცოლშვილს შეუთვალა, ჩამოდითო.

თბილისში ბინა დავიქირაოთ და ეს ზამთარი მაინც გავატაროთ ერთადო, ნატალიამ.

იქ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გვეყოლებაო.

სწორედ თბილისში, ოჯახურ გარემოში ყოფნამ მოუღო ბოლო.

ცოლთან შელაპარაკება მისულია და, როგორც ივანე იოსელიანი იგონებს, პუშკინის ქუჩაზე „გრანდოტელში" გადასულა. ძლივს მიუგნიათ. ცივ ოთახში ტანგაუხდელი იწვა ავადმყოფი.

საჩხერეში წამოყვანეთო, ტუჩების ცმაცუნით გაუგებინებია ახლობლებისთვის.

ჩამოუყვანიათ სხვიტორში, ცოტა გამოკეთებულა, მაგრამ ერთ თვეში ისევ ჩაქცევია სისხლი.

დამბლა ვერაგი ავადმყოფობაა.

1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა აკაკი, 75 წლისა.

მადლიერი საზოგადოების მიერ დიდი მოღვაწის დაფასების კიდევ ერთი მაგალითი გამახსენდა. შემძლო სადმე ზევით ჩამემატებინა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, აქვე მივაწერ:

სიბერეში აკაკი წერეთელს ქუთაისის ბანკმა პენსია დაუნიშნა, მაგრამ როგორც შენ არ მიგიღია იმ პენსიიდან ერთი კაპიკი, მკითხველო, ისე - არც აკაკის.

სამი წლის განმავლობაში ცოტა წერილი როდი აფრინა ბანკის მესვეურებთან: თქვე კაი ხალხო, გაზეთებში რომ სულ მადლობა მაძახებინეთ, ან მომეცით პენსია, ან მომიხსენითო.

ბანკი დუმილით პასუხობდა.

არც სამი წლის მერე მოეშვებოდა პოეტი ბანკს, მაგრამ სიკვდილმა შეუშალა ხელი.

მედეამაც იგრძნო სიკვდილში გარდასახული ძალა, რომ აღარ იყო ის მომაკვდინებელი, მხოლოდღა გარდაცვალება შერჩენილიყო იმ ცივი სიმხურვალისგან. დაინთქა უმეტესი სიკვდილში სიცოცხლით, აღარ იყო შიში სიძვისა და გახრწნისა, რასაც შელოცვამდე გრძნობდა. მიუახლოვდა სიკვდილი მედეას, არათუ როგორც ვიღაცას, თუნდაც მედეას, ან რაღაც სახელის მქონეს, არამედ როგორც ქალს - ზოგადად.

თრთოლით შეეხო ნაზ კანს, მერე მოეხვია და გველის პერანგი გახადა. მედეა ვერ ხედავდა სიკვდილს, მხოლოდ მის სიახლოვეს შეჯგუფებულ სიბნელესა და სიცივეს გრძნობდა, - და მან იცოდა, რომ ეს სიკვდილი იყო და იგი დაიუფლებდა მას. საკუთარ თავსაც არ უმხელდა თავის წადილსაც, რომ ეწადა მამაკაცი, არათუ სიძვით, არამედ სიყვარულით. სიკვდილი იყო ყველაზე ძლიერი მამრი ამ ქვეყნად, რადგან ძლიერება მისგან მოდიოდა და იმორჩილებდა ყველა სულდგმულს. სიკვდილში ჟინი და ენერგია ჭარბად განთესილიყო, წინსწრაფვაც ყველაფერში და ყველგან დამორჩილებისათვის ცხოველ მოქმედებდა... და მედეა დამორჩილდა არა მამრსა თუ ხვადს, არამედ სიკვდილს.

ეხვეოდა სიბნელე და სიცივე ქალს და თავის უცნაური სიშიშვლით ანებივრებდა მედეაში შესისხლხორცებულ ქალურობას და ავსებდა მის კაცურ ხასიათს სიკვდილოვანი შემმუსვრელი ძალით. ცივი ცეცხლი წვავდა ბავშვებს და ამ ბავშვების წარმომშობ საშოს. განაბულიყო მედეა ცივ სიამეში და სიცოცხლით ივსებოდა, რამეთუ მასში სიკვდილი იყო, სარეცელი გაუყო სიკვდილს და არა ადამიანს. ბუნიაობამ გაზაფხულისამ თავისი წყალობა გაიღო მედეაზე მეტი სრულყოფილებით.

ხვნეშოდა მედეა ისევე, როგორც ტალღები მიწაზე დაცემისას და განიცდიდა მამრის ძალას დამორჩილებული ქალი, ასეთი მამრი რომ არასოდეს არავისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ღრმად შევიდა მასში სიკვდილი, გრძნობის დაკარგვამდე ეალერსებოდა

დამორჩილებულს

და არა დაპყრობილს.

ქალიც სრულად დაჰყვა სიკვდილის ნებას, ცეცხლით განათებულ მონაკვეთში ჩანდა მედეას მზეფერილი ხორცი, სიბნელეს რომ გადაეფარა სხეულის დიდი ნაწილი. მედეა ეფერებოდა სიბნელეს და სიცივის სიამისაგან თრთოდა. შეივსო მთელი ქალი კაცის წყურვილით და ერთბაშად დაცხრა ვნებებით დაღვრილი. თავისი ლამაზი თვალებით სიბნელეს შეხედა ქალური სიმორცხვით. ჟინდაოკებულმა სიბნელემაც გაათავისუფლა დამორჩილებული თავისი მარწუხებისაგან, რადგან ქალი დაპყრობილი არ ჰყოლია. მიხვდა სიკვდილი, რომ მისი დაპყრობა შეუძლებელი იყო, იმდენად ძლიერი ნება დაუხვედრა მედეამ ცივ სიბნელეს. საიდუმლო წადილიც მისი ეს იყო - სიცოცხლის თესლით შეავსო სიკვდილმა ქალი და სიკვდილი გაქრა.

მედეამ ცეცხლს შეხედა - ადამიანის სიმაღლის კედელი აღემართა წრედშემორტყმულ ცეცხლს, იგი მარხილსაც მოსდებოდა, ზეცამდე ადიოდა ცეცხლის ენები. ტკაცუნობდა მშრალი ხე. სურნელი კი გამძაფრებულად საამო იდგა, ისეთი, როგორიც არც ერთი ხის დაწვისას არ არის. ეს მედეას ბალახებმა ჰქნა. ისე დაიფერფლენ მედეას შვილები, რომ მძაფრი სუნი არ უგრძვნია დამწვარი ხორცისა, პირიქით ბალახებმა გააკეთილშობილა მიდამოს სურნელი.

- წითელი წიქარას ნაწოლზე აღარ ამოვიდეს ბალახიო, - თქვა მედეამ, უყურებდა რა ირგვლივ გაწითლებულ მუგუზალს, მარხილი კი მართლაც წითელ წიქარას ჰგავდა.

ზღვის ნაპირას ამ დღის შემდეგ აღარ ამოსულა ბალახი. მედეამ იქვე დაგდებული გველის პერანგი შემოიხვია ტანზე და უყურებდა მოგიზგიზე ცეცხლს.

მოულოდნელად მის თვალწინ აღიმართა ცეცხლში მოელვარე ჯვარი. გაოგნებისგან თვალები გაეყინა ერთ წერტილში და თვალებიც ისხლიტავდა ცეცხლოვანი ჯვრის ანარეკლს. დიდხანს უყურა მედეამ ცხოველმყოფელ ჯვარს, მაგრამ მიხვდა, რომ საირხეს ჯვარი არ იწვოდა, ცეცხლი არ ედებოდა, მაგრამ ცეცხლის სამოსში იყო გახვეული. ფრთხილად გადადგა ერთი ნაბიჯი. არაფერი დამართნია, მერე უფრო თამამად მეორე ნაბიჯიც გადადგა და იგი ცეცხლოვან წრეში აღმოჩნდა. ციოდა მედეას და უკვირდა, რატომ არ ჰქონდა სიმხურვალე ცეცხლს, მხოლოდღა ჯვარს შემოსილი ცეცხლი მხურვალებდა. იფიქრა, ცეცხლისგან გადავარჩენო საირხეს ხრმალს, ფრთხილად წასწია ხელი ჯვრისკენ, ხელი არ დამეწვასო... და ჰოი, საოცრებავ, ჯვარზე მოსილი ეს მხურვალე ცეცხლი ხელს არ წვავდა, ხელზეც კი შემოეხვია მედეას, მაგრამ დამწვრობა ვერ იგრძნო ხელმა. ცეცხლოვანი ჯვარი აიღო დაფერფლილი მარხილიდან. უკანასკნელად დახედა შვილებს, ფერფლისფერი ედოთ ბავშვებს, რადგან ფერფლად ქცეულიყვნენ და ჯერ არ დაშლილიყვნენ. ქარკეთილი გაფანტავდა მათ.

- მზეო ცისაო, ამოდი! ძეო მზისაო, განათდი! - შეილოცა მედეამ და ცის კარი გაიღო.

ხელში მედეას გალაპლაპებული ხრმალი ეჭირა, ზედ ამოტვიფრული ასომთავრულით - „მესსიის მახვილი“.

### პოლისებში ადუღებული ამბები

ლამაზ ზმანებას საშინელი ბოლო ჰქონდა - ყველას მსუბუქი თამაში ეგონა, შეჯიბრის გაგრძელებად ჩათვალეს ქალაქის შუა მოედანზე გართხმული იფიტე. ხუმრობას არ ჰგავდა დილით ნანახი სურათი -

სისხლის გუბეში ჩაწოლილი კაცი, ღია თვალებში რომ გაუცნობიერებელი შიში გაყინულიყო, რომ არ ეჯერა, რაც დაემართა. პირქვე ემხო ქვაფენილზე, კბილები ჩამტვრეოდა და სიმწრისაგან დაეკრიჭა, ვერ მოესწრო პირის დამუწვა ყვირილის ჟამს. ახლაც უხმოდ ისმოდა ამ დაღებული პირიდან ამომავალი სიმწრის ღრიალი, რომელიც უმალ შეწყვიტა მისგან გაფრენილმა სიცოცხლემ.

სიცოცხლის მერეც ყვიროდა, მაგრამ ველარავის აგონებდა თავის ხმას. აქვე გაქვავდა და მის უმოძრაობაში განგაში ჩანდა და ვერ ძლევდა იფიტე უმოძრაობას - თავი გატეხოდა, იქედან კი შედედებული სისხლი ჭრილობას კრავდა და ქვაფენილზე დანთხეულ ტვინს ფერს უცვლიდა და ახმობდა ისევე, როგორც ხმებოდა და მუქდებოდა თვით სისხლი.

ვიღაც ქურუმთაგანმა იფიტეს თვალებში სიკვდილი ამოიკითხა. ყველამ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. საშინელი შესახედი იყო მკვდარი თვალები - ისინი ქვაფენილს მიღმა შორეულ პერსპექტივაში იყურებოდნენ. ფიქრიც არაფრისადმი არ შერჩენოდა, იქნებ გაფიქრებაც ვერ მოასწრო ვერაფრის, ისე მოკვდა. ცხადი იყო, რომ ავადმყოფობას არ მოუკლავს. უკვირდათ საიდან ჩამოვარდა ამ შუა მოედანზე - ირგვლივ არც ხე იყო და არც შენობა, ხოლო სადაც ხე და შენობაა, იქედან გადმოვარდნილი შუა მოედანზე ვერ მოხვდებოდა.

- ციდან ხომ არ ჩამოვარდნილაო? - იკითხა ერთმა სრულიად უადგილოდ. ყველამ ცაში აიხედა და მერე ამის მთქმელს შეხედეს წყრომით.

- რა დროს ხუმრობააო!

მერე განაგრძეს ბჭობა -

- კარგი, მოკვდა, მოკვდა, მაგრამ აქ, ამ შუა ქალაქში საიდან გაჩნდაო? ვინმეს რომ მოეტანა ცხედარი, სისხლის კვალი ხომ დარჩებოდაო? არადა, სადაც დავარდა, იქვეა გაშლილი სისხლის გუბე და ტვინიც აქვე აქვს დასხმულიო. ესე იგი, მკვდარი მოტანილი არ არისო, აქვე დავარდაო, მაგრამ საიდან?

ეს ამბავი მხიარულობის ზღვარს გასცდა, წახდა წინა დღის ხალისი. მოიკითხეს იფიტეს ამბავი და ვიღაცამ თქვა:

- ნამდვილად შემომესმა არაადამიანური ღრიალი და მასთან ერთად გაგიჟებული ხარხარი. იქნებ ეს ამ სიკვდილთან რაიმე კავშირში იყოსო?

გაიქნიეს თავები არგონავტებმა და უხუცესებმა.

- ჩემი ყურებიდან არასოდეს ამოვა ეს არაადამიანური ღრიალი და სიცილიო. ამ ხმებს არ ჰქონდა სიცოცხლე. ტანში მზარავს და სისხლი მეყინება ამის გახსენებაზეო, - ისევ თქვა იმ ვიღაცამ.

- ჰოდა, ნუ გაიხსენებო, - დაამშვიდეს ქურუმებმა.

ერთმა წარჩინებულმა გაიხსენა:

- ჰერაკლემ მოითხოვა ნადირობა და იფიტეც თან წაიყვანა. იქნებ ჰერაკლემ იცოდეს, რა დაემართა იფიტესო?

- მერე, სადაა ჰერაკლეო? იქნებ იგი გველეშაპმა შეჭამაო, ან ტყეშია დაჭრილი, იქნებ მოკლულიცო, ჩვენი დახმარება სჭირდებოდეს იქნებო, - თქვა ვიღაცამ.

- თუ მკვდარია, რაღა დახმარება დასჭირდებაო, - შეუსწორა მოსაზრება გვერდით მდგომმა.

ერთმა ჩუმად თქვა ისე, თვითონაც რომ არ გაეგონა, მაგრამ ყველამ გაიგონა:

- იქნებ თვით ჰერაკლეს მოკლულიაო?

- როგორ თუ ჰერაკლესიო. იფიტე ხომ მისი განუყრელი მეგობარი იყოო! - შეიცხადეს ქალაქელებმა.

- განა ჰერაკლეს მოკლული არაა საკუთარი შვილები სიგიჟის ჟამსო?! იქნებ ახლაც სიგიჟემ მოუარაო. მითუმეტეს, აქ ვიღაცამ თქვა, არაადამიანური სიცილი მომესმა ყვირილთან ერთადო. ბოლოს დაასკვნეს კორინთოელებმა:

ჰერაკლეა მოსაძებნი და მისგან უნდა გავიგოთ იფიტეს სიკვდილის ამბავიო.

თქვეს, მაგრამ ყველას შეეშინდა წასვლა. ჩვენც არ გავიზიაროთ ამ საბრალო იფიტეს ბედი ჰერაკლეს სიგიჟის მოვლისასო.

მარტო ერთმა გამბედავმა გაბედა ჰერაკლეს საპოვნელად წასვლა და ქალაქი დატოვა.

კალიდონიდან შიკრიკი მოვიდა სამწუხარო ამბით:

- კალიდონს გარეულმა ტახმა ანკეოსი დაგლიჯაო.

გაუკვირდათ, გუშინ ხომ აქ იყოო, რა უნდოდა კალიდონში, ან სად იყო გარეული ტახიო. სრული დაბნეულობა მეფობდა კორინთოში. აქ იფიტე, იქ ანკეოსი, არავინ იცის რა იქნა იაზონი და რა დაემართა ჰერაკლეს.

ერთმა აბეზარმა ისიც თქვა:

- ეს ყველაფერი გრძნეული მედეას ბრალია, მან მოგვაჯადოვა ყველაო.

- საბრალო ანკეოსიო, - თქვეს, - ვეღარ დალია თავისი დაწურული ღვინო. ასე უწინასწარმეტყველეს ქურუმებმაო. მედეას კი მის სიკვდილში ბრალი არ უნდა ჰქონდესო.

ისევ შიკრიკმა ითხოვა სიტყვა და კალიდონის ნადირობის ამბავს მოჰყვა:

- მელაგრემ მოიწვია ელადის რჩეული გმირები არტემიდას გამოგზავნილ მძვინვარე ტახთან საბრძოლველად, რადგან კალიდონელთა დასარბევად გამოაგზავნა ქალღმერთმა კრომიონის ჯილაგის ღორი და ისიც ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი გზად გადაეღობებოდა. მელაგრეს შემონათვალი გუშინ მოსვლია ანკეოსს, თავისი ფიალა იქვე დაუდევს დაულეველად და გასწრია. ისე მიჰქროდა თურმე, ქარს ასწრებდაო, ასე ამბობენ. ცხრადღიანი ნადიმის დასრულებისთვის მოუსწრია და ლუკმა გაუტეხავს. ატალანტაც ინადირებსო, უთქვამთ მისთვის. გაჯავრებულა ანკეოსი, ქალთან ერთად არ ვინადირებო. პირველი ანკეოსი დაუგლეჯია ტახს. ბედმა ატალანტას არგუნა პირველი ჭრილობის მიყენება ტახისთვის... და როგორც იქნა მოკლეს, ასე ყოფილა, ასე გავიგე, ასე მითხრეს, მედეა კი არავის უხსენებია კალიდონშიო.

- კარგი, ანკეოსი არ დაღუპულა მედეას გამო, მაგრამ იფიტე რაღამ მოკლაო? - ვინც თქვა, იმან გაიმეორა იგივე:

- ჰერაკლემ წაიყვანა და იგი მოკლავდაო. და თუ ჰერაკლეს არ მოუკლავს, მაშინ ჰერაკლეც მოკლული იქნებაო.

ვიღაც ჰერაკლე მოტრფიალემ ამაყად თქვა:

- ჰერაკლეს ვერავინ მოკლავდა. ხომ გაიგონეთ, სიცილი მომესმა და მწარე ღრიალიო. გამოდის, იფიტემ აწყენინა ჩვენს გმირს და ამიტომ საკადრისი მიიღოო. გამბედავი წავიდა ჰერაკლეს საძებრად და იგი გვიამბობს, რა მოხდა წუხელ ღამითო.

პოლისის ყველა მცხოვრებმა გაიგო ანკეოსისა და იფიტეს სიკვდილი და თავისებურად ახსნეს მათი უცნაური მოკვდინებები, ერთმანეთს დაუკავშირეს ისინი და მედეამდე მივიდნენ:

- ეს იმიტომ ხდება, რომ მედეას შვილების ცოდვამ უწია ელადას და თუ რაიმე დროულად არ ვიღონეთ, ყველას გაგვანადგურებს ბავშვების უმანკო სისხლიო. ეს სისხლი დროულად ჩამოვირეცხოთ ჩვენ მაინცო. მისანთან მივიდნენ და რჩევა ითხოვეს.

- სამი დღე მადროვეთო, - უთხრა მისანმა პოლისის მცხოვრებთ, - იქნებ დაკარგული ჰერაკლეს ამბავი გავიგოთ, ან მწუხარე მამის - იაზონის ადგილსამყოფელი ვიპოვოთო,ან სად წავიდა მედეაო, პატიება რომ ვითხოვოთო. მერე წყაროს წყლის ანარეკლის იქითა სამყაროში ვეძებოთ

ბედისწერა,

ხვედრი,

სიცრუე,

სიმართლე,

სამართალი და

უსამართლობა. ისინი გვეტყვიან როგორ უნდა მოვიქცეთ, ბავშვების სისხლმა რომ არ დაგვახრჩოს ელადელნიო.

გაუკვირდათ კორინთოელებს:

- რა წყლის ანარეკლის სამყაროო?

- ეს სამყარო მედეას ბაღიაო, - უპასუხა მისანმა.

- როგორ ვიპოვოთ წყაროს წყლის ანარეკლის სამყაროო, - დაიბნენ კორინთოელები.

ჩაფიქრების შემდეგ მისანმა ამოიოხრა და უთხრა ხალხს:

- დედამიწაზე ერთი ბალახი იზრდება. მას ჰეკატეს კლიტე ეწოდება. მისი პოვნა სავსე მთვარის დროს შეიძლება ანკარა წყაროს წყლის მეშვეობით. გრაალში უნდა ჩაისხას ეს წყალი, ისეთ გრაალში, რომლიდანაც წყალი ჯერ არავის დაულევია და ყოველი ადამიანური ლოცვის მოწამეა, წყალი რომ ღვინოდ ქცეულა მასში, ეს ღვინო კი მერე დამშრალა და ზეცამდე ასულა ღვთაებრივ სისხლად. ამ გრაალში სავსე მთვარიანობისას ცააშხას ჩასხმული ანკარა წყაროს წყალი მთვარის მზერაში და მისი სხივების ლივლივში არ დაიღვრება გადმოპირქვავებისას.

ასე უნდა დაიარო მინდორი, სადაც არასოდეს დაღვრილა სისხლი და არ უძოვია ბალახი საქონელს და არც გათელილა ადამიანის ფეხით ბალახი და არ უზეიმია არავის ბუნიაობა და არ წაბილწულა მინდორი მიწიერებითა და ბიწიერებით.

ამ მინდორში იზრდება ბალახი ჰეკატეს კლიტე. იგი, ერთი შეხედვით, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ბალახი, მწვანეა, წყაროს წყლის ანარეკლში კი მისი ღერო სისხლისფერია, ალაგალაგ ქერქიცა აქვს, რომელიც ცეცხლისფერია, განტოტვები ნაცრისფერია, ფოთლები ცისფერია, ყვავილები კი ბალახისფერია, იმ ბალახისა, რა ფერიცაა ანარეკლს აქეთ. მას რომ იპოვნი, გრაალის მიღმა სამყაროში შესვლა შესაძლებელი იქნება. წყალი ტბად იქცევა და გადაინაცვლებ სხვა განზომილებაში და იქ იპოვი პასუხს ყველაფრისას. ტბამ რომ არ დაგახრჩოს და გამოსასვლელი კარი არ დაგიკეტოს, ამის საიდუმლო მხოლოდ მედეამ იცის, რადგან მედეას ბაღია ის და ამ ბაღს მისი მამიდა პატრონობს. ამიტომ ჩვენი, ელადელების წესი როგორცაა, ისე ვქნათ, იქნებ მედეა შეგვიძლევს თავის ბაღში და შენდობა გამოსთხოვოს შვილებს. ავაგოთ მედეას საკურთხეველი და სამსხვერპლოზე ყველა კორინთოელი პირმშო შევწიროთ. იქნებ გული მოულბეს მედეას და აღარ ისურვოს ჩვენი დაღუპვა. მანამდე კი ჩვენი დაკარგული ძმების - ჰერაკლესა და იაზონის ადგილსამყოფელი ვიპოვოთ, იქნებ არცაა ეს სიკვდილი მედეას გამო და უბრალო დამთხვევა იყოს. ამით ჩენი შვილები გადარჩებიანო.

დაღონდნენ ქალაქის მცხოვრებნი - სად უნდა ეპოვათ:

გრაალი,

ან მინდორი,

ან ბალახი,

ან როდის გაიგებდნენ დაკარგული ჰერაკლესა და იაზონის ამბავს,

ან მედეას ადგილსამყოფელს, არ იცოდნენ.

მოდიოდნენ მკითხავიდან მეტი კითხვებით, ვიდრე მივიდნენ. ეს კი დანამდვილებით იცოდნენ, რომ მედეას ბაღში შეღწევა მხოლოდ ამ გზით თუ იქნებოდა შესაძლებელი მართლაც, ერთორს ხელი გაუმართა ამგვარად, თვითონ ხლებია გრძნეულ დედოფალს ბაღში და ეს იცოდა იმ ერთმა-ორმა, ხოლო სად იყო ის „ერთი-ორი“, არ იცოდნენ. დაადასტურეს კიდეც ერთმანეთში ლაპარაკისას, რომ მისანმა გზა-კვალი კი არ აურია, არამედ სწორ გზაზე დააყენა. აი, ის არ მოსწონდათ, მედეას საკურთხეველზე რომ თქვა. არავის სურდა თავისი პირმშოს მსხვერპლად შეწირვა, მაგრამ რა უნდა ეღონათ? ასე ფიქრსა და ჯავრში გავიდა რამდენიმე დღე. მთელი ქალაქი საზარელ დუმილში გარინდულიყო, ავისმომასწავებელ დუმილში, სანამ გამბედავი არ დაბრუნდებოდა შინ ჰერაკლეს ამბით. ჰოდა, დაბრუნდა ადრე, თუ გვიან, თან მოიტანა გამაოგნებელი ამბავი:

- თურმეო, - ყვებოდა გამბედავი, - ცოლს ქმრისთვის კენტავრის სისხლში ამოვლებული სამოსი გაუგზავნია, კენტავრს მოუტყუებია, სიყვარულის ელექსირიაო ჩემი სისხლი და მიტომ. ამასაც სიყვარულის სიბრმავით მოსვლია დაუდევრობა. ჰერაკლეს გახარებია საჩუქარი და ჩაუცვამს, ცეცხლი მოსდებია ამის შემდეგ გმირს. როგორ არ ეცადა, გაეხადა სამოსი, მაგრამ ამაო იყო მცდელობა, უფრო და უფრო ეკვროდა ტანზე და წვავდა სხეულს. აუტანელმა ტკივილებმა გააგიჟა და იქვე, ვიღაცისთვის წამოუვლია ფეხში ხელი, კლდეს შეუნარცხებია და ზღვაში უსვრია. კლდე გადამტყდარა თურმე. ეს ამბავი რომ ცოლს გაუგია, მიმხვდარა თავის შეცდომას და ხრმალზე წამოგებულა, როგორც დამარცხებული მეომარი... ჰერაკლე კი ჯერ კიდევ ცოცხალი კოცონზე დაწვეს მისივე ბრძანებით. ცეცხლის შენთება მხოლოდ მე გავბედეო. ღამისა და სისხლის ასულმა დაიტირა თავისი საყვარელი და დანთილ ცეცხლს სუნთქვა ჩაუდგა, რათა მალე დამწვარიყო იგი და შერიგებოდა ჰერას, იქუხა ღრუბელმა და ჰერაკლე ოლიმპიურ პანთეონში აღიზიდა და პირველად სიცოცხლის მერე ერთმანეთს შეეგებნენ ჰერა და ჰერაკლე. აღარ გააჩნდა სიგიჟის შეგრძნება გმირს. მის გვერდით იდუმალი ქალღმერთი იყო და სიყვარული ზეცაში გაგრძელებულა თურმე.

გაოგნებული ხალხი სასოწარკვეთას მიეცა, არ უნდოდათ, დაეჯერებინათ თავიანთი გმირის სიკვდილი. როგორ უნდა გადაერჩინათ თავიანთი მომავალი, ვერ გაერკვიათ. უკანასკნელ იმედად ახლა იაზონის სიცოცხლე რჩებოდა. ერთმანეთს ეკითხებოდნენ მედეას ადგილსამყოფელს. დაზუსტებით კი ვერავინ ვერაფერს ამბობდა. ზოგმა თავისი შვილების გადამალვა დაიწყო, რათა მოახლოვებული მსხვერპლშეწირვის სისასტიკე არ შეხებოდა მათ ოჯახებს. საკუთარ თავსა და სინდისს ვერსად ემალებოდნენ. ზოგი გრაალს ეძებდა, იქნებ შეუსმელი ჭურჭელი ეპოვნათ. ესეც ჰქნეს, ახალი გააკეთეს, ბაგედაუკარებელი. დაიწუნა მისანმა, ადამიანური ყოველი ლოცვა არ შეუსმენია ამ ჭურჭელსო. ზოგისთვის იმედად მინდორი რჩებოდა, სადაც ჰეკატეს კლიტე ხარობდა. აქაც ვერ გააწყვეს ვერაფერი, რადგან მინდორი ვერ მოიძებნა სისხლდაუღვრელი, ფეხდაუდგმელი და წაუბილწავი და რომც მოეძებნათ, ჰეკატეს ყვავილი გრაალის გარეშე არ გამოჩნდებოდა, თუნდაც ყოფილიყო სავსე მთვარე ცააშხას დღეს. ისიც არ იცოდნენ მთვარე ცააშხას დასაბამს უნდა გამოჩენილიყო სავსედ, თუ ცის დღის მიწურულს. და ელადელებმა არც ის იცოდნენ, რომელი შვიდთაგანი იყო ცააშ-დღა. ეს მხოლოდ მედეამ იცოდა მთელს ელადაში. ეძებდნენ მედეას კვალს და ვერ პოულობდნენ:

- იქნებ არც არის ელადაშიო, - ასეც გაიფიქრეს.

- სად უნდა წასულიყოო?

- კოლხეთში დასაბრუნებელი პირი არა აქვს, სხვა ქვეყნებში ფეხს ვერ მოიკიდებსო.

- ჩვენს მტრებთან მისული?

- მტერი დაფრთხება, ვერ გაბედავს ჩვენთან შეჭიდებას მედეას გამო და მიტომო.

- აბა, ჩვენი მეგობარი ისევ ჩვენ გვეტყვის მის ადგილსამყოფელსო.

- სადღაც იქნება და გამოჩნდებაო.

- ცოტაც დაველოდოთო.

- იქნებ აღარცაა ცოცხალიო, ან მგელმა შეჭამა და ან თავი მოიკლაო?!

- თუ ეს ასეა, მაშინ რა ვქნათო? - ჰკითხეს მისანს.

- დრო გვიჩვენებს ყველაფერს. ის გვიკარნახებს თავის სათქმელს. მანამდე კი მედეას საკურთხეველი ავაგოთ იმ ადგილას, სადაც შვილები დაუწყვიტეს კორინთოს დიდებულებმა. დიდი სამსხვერპლო აღმართეთ, საკუთარი პირმშოები რომ შესწიროთ. ღმერთები სხვა შვილებსაც მოგცემენ. ამისთვის ილოცეთ, ხიფათში რომ არ ჩაგდოთ შთამომავლობაო.

აცრემლებულები დაბრუნდნენ შინ კორინთოელები. გულდამდუღრებული აგებდნენ საკურთხეველსა და სამსხვერპლოს. ნელა, დროის გაწელვით აგებდნენ მედეას სამლოცველოს. ბოლოს ააგეს კიდეც და ხოცავდნენ რიგრიგობით თავიანთ პირმშოებს კორინთოს მცხოვრებნი. საერთოდ წახდა ქალაქის მესვეურთა განწყობილება, როგორც კი გაიგეს, ვის სწირავდნენ საკუთარ შვილებს თანაქალაქელნი. ესეც რისხვად ჩათვალეს, მედეას შვილების გამო ღვთის რისხვად. კითხულობდნენ:

- რომელ ღმერთს უნდაო ჩვენი შვილების დახოცვა გადამთიელთა გამოო? რატომ კლავთ საკუთარ შვილებს! ასე ნუ იზამთო, - ემუდარებოდნენ ქალაქის მესვეურები კორინთოელებს.

- სისხლის ცოდვაა ყველა ჩვენგანზეო,- პასუხობდნენ კორინთოელები უხუცესებს,- თქვენც დახოცეთ თქვენი პირმშოები, იქნებ მედეამ შეგვინდოს ეს ცოდვა და გადავრჩეთ მისი რისხვისაგანო.

- მედეა არასგზით არ ჩარეულა ამ სიკვდილებშიო. იფიტე ჰერაკლემ მოკლაო, ანკეოსი ღორმა დაგლიჯაო, ჰერაკლე ცოლის გაგზავნილმა სამოსმა მოკლაო. სადაა აქ მედეაო?

- ცოდვის განკითხვაშიაო,- პასუხობდნენ დაშინებული ქალაქელები.

- მიდით მაშინ და ხოცეთ შვილები და გაახარეთ მტრებიო,- განაწყენებით ეუბნებოდნენ ქალაქის მესვეურები.

- რომ აღარ დაგვრჩება პირმშოები, მერე თქვენ დაგხოცავთ თქვენი შვილებიანადო,- გაუწყრა პოლისი თავის მეთაურებს.

ისინიც გაეცალნენ იქაურობას დიადი შიშით. მათ თავში ტრიალებდა მხოლოდ ის, თუ როგორ შეეჩერებინათ უაზრო თვითმკვლელობა, რომელიც დაატყდა თავზე მთელს ქალაქს და უკვე მუქარა მათზე გადმოვიდა, თავი მოიკალითო. უაღრესი იყო ეს შიში და ამის გამო ისე უნდა შეენიღბათ მთელი ეს ცოდვა, მათ რომ არაფერი მოწეოდათ. ხალხის შეგნებაში უნდა გამქრალიყო დანაშაულის შეგრძნება არათუ იმიტომ, რომ სინდისი ქენჯნიდა გონებას, არამედ იმიტომ, რომ ხალხის მღელვარება დამცხრალიყო ერთხელ და სამუდამოდ, რათა დამორჩილებოდა ბრბო ნებას მეთაურობისას. მტერით არ იყვნენ შევიწროვებულნი, საკუთარ სხეულში დაიწყო ხრწნა სიმრუდემ და დანაშაულმა. ამიტომ უნდა გაცლოდნენ მას ისე, რომ შეუმჩნეველი ყოფილიყო ბრბოსთვის მათი მორიგი ჩანაფიქრის განხორციელება. თავის მსტოვრებში ხმა დააგდეს ის, რაც იმ წყეულ ღამით ამბად მოიტანა ბნელი ქუჩის მგზავრმა, - ალბათ, მედეამ საკუთარი შვილები დახოცაო, ამათმა კი დარწმუნებით ჩააგონეს მსტოვრებს მედეამ საკუთარი შვილები თვითონვე დახოცაო. ერთმა ერთს უთხრა, მეორემ - მეორეს და გავრცელდა ასე ხმა. დაფიქრდნენ კორინოთელები:

- ეს როგორრო?

- ან რატომო?

- ან შენ რა იციო?

ამ კითხვებით გაბრუნდნენ მსტოვრები პატრონებთან, პასუხი რომ მიეღოთ უხერხულ კითხვებზე.

- როგორ და - დანა გამოუსვა კისერშიო,

- რატომ და - იაზონის დასასჯელადო,

- რა ვიცი და - მე თვითონ შევესწარიო.

ასევე დაარიგეს პასუხები.

- თუ მართალი ხარ, შენი თანდასწრებით რატომ მოკლაო, იაზონის თვლწინ მოეკლაო...

ამაზე კი პასუხი აღარ გააჩნდათ ქალაქის თავებს, ვეღარ გათვალეს თავში ასეთი ნაირსახეობითი განტოტვა ერთი დიდი სიცრუისა. აღარ გაუგზავნეს კითხვაზე პასუხი, არადა ვერ ხვდებოდნენ და არც მსტოვრები უმხელდნენ პატრონებს, რომ რამდენადაც მათი მცდელობა შორს მიდიოდა, იმდენად უფრო მწვავდებოდა მოქალაქეთა დამოკიდებულება ყველაფრისადმი, ამიტომ თავის ნებაზე მიუშვეს ბრბო და შორიდან აკვირდებოდნენ მოვლენებს. მეთვალყურეობა თანდათან საზღვრებს სცილდებოდა. ბოლოს კი უკანასკნელი მცდელობაც გამოიყენეს თავისი მსტოვრების მეშვეობით -

ერთმა ჰეტერამ მეორეს უამბო:

- ათენის შუაგულში მთელის დიდებულებით წამომართულა ეგეოს-მეფის მშვენიერი სასახლე, რომელიც მარცხენა მხრიდან უღრან ტყეს გაჰყურებს, მარჯვენით კი სასახლის მთავარი შესასვლელია, სადაც მოჩუქურთმებული კარიბჭეა დაკიდული ათენა-პალადას მრავალნაირი გამოსახულებით. სასახლის ორივე მხარეს აღმართული ორი ქვის კოშკი მტერთა დასაზვერად აღემართათ. აკროპოლისის ბორცვზე ათენას ტაძართან ერთად ეგეოსის სამკვიდრებელია. გველეშაპშებმულმა სამეფო ეტლმა სასწრაფოდ გადაკვეთა ქალაქი და მეფის სამკვიდრებელთან გაჩერდა.

- კეთილი იყოს შენი მობრძანება, მედეაო, - მიჰგებებია თურმე სტუმარს ეგეოსი.

- პანდიონის დიდებულო ძევ, შენს სიკეთეს არასოდეს დავივიწყებო,- მადლიერება გამოუხატავს კოლხ ასულს.

- რას ბრძანებო, - უთქვამს ეგეოსს, - შინ მეწვიე. ჩემთვის დიდი პატივია დაგაბინავო ჩემს სამკვიდრებელშიო.

მიუწვევია თურმე ეგეოსს მედეა და თურმე იმასაც ამბობენ, ცოლად შეურთავსო ბებერ მეფეს ახალგაზრდა კოლხიო.

- შენ საიდან იციო?- გაკვირვებია მეორე ჰეტერას და უკითხავს პირველი ქალისთვის. ამ ქალს გაცინებია და დაუფიქრებლად უპასუხია:

- სიზმარი ვნახე, სიზმარში ათენელი საყვარელი ვნახე და იმან მიამბოო.

- იმან რა იცოდაო?

- სასახლის კარზე მოახლეს ჰყვარობს და იმან უამბოო.

- იმ მოახლემ საიდანღა იცოდაო?

- თავისი თვალით უნახავს, როგორ გაიზიარა მედეამ მოხუცი ეგეოსის სარეცელიო, ისიც იქ იყო და ემსახურებოდა საყვარლებსაო.

- მართლაო?

- მართლაო, - დაუდასტურა გეტერამ და გულიანად გადაიხითხითა.

- თუ კიდევ ნახო ასეთი სიზმარი, მიამბეო, - უთხოვია მეორე ჰეტერას პირველისთვის და წავიდა...

მოედო ქალაქს ეს სიზმარი. გაიკვირვეს, მაგრამ არაფერი თქვეს კორინთოელებმა, დაუცადეს დროს, კიდევ რა ითქმებოდა მედეას შესახებ.

დღეები კი ერთმანეთს გაეკიდა და ამ ამბავმა

იგორა,

იგორა და

ქალაქიდან გადაგორდა

და ვინ აღარ აალაპარაკა:

- ალბათ, გაიგებდი, ათენს რომ მედეა ეწვიაო.

- რომელი მედეაო?

- კოლხი მეფის ასულიო, იაზონს რომ ოქროს საწმისი მოატაცებინაო.

- კორინთოს რაღატომ ტოვებსო?

- ნუთუ არაფერი გაგიგიაო, ქმარმა უღალატა და შვილები კორინთოელებმა დაუხოცესო.

- შვილები დაუხოცესო? ეს რა მესმის! ეს რა ქარტეხილი დატეხია მედეასაო!..

- ახლა კორინთოდანაც აძევებენო!

- ისინი რას ერჩიანო?

- ამბობენ მოღალატე ქმარზე შური იძია და ახალგაზრდა საცოლე მოუწამლაო.

- მეც ასე ვიზამდიო, - დაიქადნა ქმრის უთავბოლო გართობებით თავგაბეზრებულმა ქალმა,- მაგრამ არ ვიცი როგორრო.

- მედეამ შვილების ხელით გაუგზავნა მეტოქეს საქორწინო საჩუქრები - შხამში ამოვლებული კაბა და ოქროს გვირგვინიო.

- საბრალო ბავშვებიო!..

- მედეამ შურისძიება მაშინ განიზრახა, როცა სასტიკად გაამწარესო. კორინთოელებს კი გადაეწყვიტათ, ათენში წვეოდნენ მედეას და ბავშვების სისხლის ცოდვა ჩამოერეცხათ თავიანთი შვილების საკეთილდღეოდ. მსხვერპლად შვილებშეწირული რამდენიმე მშობელი და მედეას სამლოცველოს ქურუმი შეემზადა წასასვლელად, თან მისანიც იახლეს. წასვლამდე ისევ ის ჰეტერა მივიდა მეორე ჰეტერასთან და უამბია მისთვის ახალი სიზმარი თავისი ხატოვანი ენითა და დამაჯერებლობით:

- ათენში გაზაფხულის თბილი საღამო იდგა. მზე დასავლეთისკენ იწევდა და ჩამავალი სხივები აწითლებდა სასახლის ბაღში ახლადაყვავებულ დიდრონი ხეების თეთრ კვირტებს, რომლებიც ვარსკვლავებივით კიაფობდნენ ხის ტოტებზე. სურნელოვან ყვავილებს ჰაერში გაეჟღინთა საამო სურნელი და არემარე თავბრუდამხვევ ბალზამში გახვეულიყო. ჩიტებმა თანდათან შეწყვიტეს ჟივჟივი და ფოთლებში მიიმალნენ. ბაღში ჯერ კიდევ ისმოდა ფუტკრებისა და მწერების ყურისწამღები ბზუილი. ორ რიგად ჩამწკრივებულ კედარებს შორის დინჯად დააბიჯებდა მედეა და ბუნების კეთილსურნელებას სუნთქავდა და გრძნობდა, რომ სულში ჩაღვრილი ეს სითბო მალე შეწყდებოდა. მიუხედავად სახეზე გამომეტყველებული გარეგნული სიმშვიდისა, სული მაინც უფორიაქობდა, უსიტყვოდაც ეტყობოდა შინაგანი შფოთვა.

- რახანია დაგეძებო, მედეა, - გამოეგება ბაღში ეგეოსი.

- რატომ დამეძებო?

- მთელი სასახლე მოვიარე და არც კი ვიცოდი, სად იყავი. ბაღში ასე გვიან რატომ გამოხვედიო? - ჩაეძია ეგეოსი.

- ვიფიქრე, ბუნების მშვენიერებით დავტკბებოდი.

- მართლაც ლამაზია ბუნება შენი იდუმალი თვალებივით.

თვალები მოარიდა მედეამ ეგეოსს, მას კი არ გამოპარვია ლამაზი ქალის ეს წუხილი.

- რაღაცას მალავ, თვალები გამხელენ, მედეა, იქნებ სადმე გინდა წასვლა, იქნებ მოგენატრა ვიღაც.

- ნუ ეჭვიანობ, ეგეოს, ცუდი ამბავი უნდა გაცნობო.

- რა უნდა მაცნობო ასეთიო?

- საფრთხე გემუქრებაო.

- რა საფრთხე და ვისგანო? - შესცვლია სახე ეგეოსს, მოსიყვარულე მოხუცი მრისხანე მეფედ გარდაქმნილა.

- ათენში ერთი უცხოელი ჩამოვიდა შენს მოსაკლავადო.

უფრო მეტად გაკვირდა ეგეოსი: - ჩემს მოსაკლავადო?- პირზე სიტყვა შეაშრა, - რისთვის უნდა ვიღაც უცხოელს ჩემი სიკვდილი? ან ვინ არის ის უცხოელი და შენ საიდან გაიგეო?

- ვინც არ უნდა იყოსო, - უპასუხია მედეას, - შენი მოკვლა კი განუზრახავს და რა მნიშვნელობა აქვს დანარჩენს. გირჩევ, დაასწრო და შენ მოუსწრაფო სიცოცხლეო.

- ეს როგორრო?

- ვახშმად უნდა მოიწვიო სასახლეში და სასმელი დავალევინოთო, - დაუსრულებია მედეას თავისი განზრახვის ამოთქმა და გასცინებია.

ჩირაღდნებით განათებულ შუა დარბაზში, - განაგრძობდა ჰეტერა სიზმრის თხრობას,- გაშლილი ტრაპეზის წინ, დინჯად ეჭირა თავი მედეას და უცნობის ყოველ მოძრაობას თვალყურს ადევნებდა. ეგეოსს, მისგან განსხვავებით, დაძაბულობა ეტყობოდა, დროდადრო ისიც აპარებდა თვალს უცნობისაკენ, თითქოს რაღაცას უფრთხისო. სატრაპეზოზე უხვად ელაგა საქონლისა და ცხვრის ხორცი, ღვინო ისხმებოდა და ისმებოდა. დუმილი მეფეს დაურღვევია...

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული“ №48-62



# KATZ LEGAL GROUP
LAW OFFICES OF JOSEPH KATZ & ASSOCIATES, P.C.

For a FREE consultation call
718.743.3700

წარმოადგენს და უწევს დახმარებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, კორპორაციებს და საზოგადოებებს ნებისმიერ იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით.

**მუშაობის სფეროები:**
- საემიგრაციო საკითხების ფართო სპექტრი:
  - მუდმივი ლეგალური ცხოვრების უფლება;
  - ემიგრირება ოჯახის საფუძველზე;
  - ემიგრირება დასაქმების საფუძველზე;
  - უცხოელი მუშაკის სამუშაოზე აყვანის დასტურის, სამუშაოს შემოთავაზების პროცესის დაფინანსება;
  - დამსაქმებლის სანქციები;
  - საემიგრაციო კანონის დარღვევა;
  - სამუშაო, სასწავლო და ინვესტორის ვიზები
  - საემიგრაციო და არასაემიგრაციო ვიზა;
  - თავშესაფარი;
  - ქალთა მიმართ ძალადობრივი აქტების შესახებ საქმეები;
  - ცოლ-ქმარს შორის ძალადობის შესახებ და ტრეფიკინგის საქმეები;
  - საქველმოქმედო/რელიგ. ორგანიზაციები;
  - დეპორტაცია/გამოსახლებისგან დაცვა;
  - ნატურალიზაცია/ აშშ-ს მოქალაქეობა;
- განქორწინება;
- გაკოტრება;
- უძრავი ქონება;
- ანდერძები, ტრასტები & ქონებრივი ინტერესები;
- კონტრაქტები & კომერციული დავები;
- ბიზნესის ჩამოყალიბება;
- ცუდი სამედიცინო მომსახურება;
- სამშენებლო ადგილთან & სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები;
- ავტოავარიები.

ადვოკატი
**Joseph Katz**

**განათლება:**
წმ. ჯონის სახელობის სამართლის სკოლა, ნიუ-იორკი, 1998
J.D., სამართალის მეცნიერებათა დოქტორი
**სასამართლო პრაქტიკა:**
ნიუ-იორკის შტატი,
აშშ საოლქო სასამართლო, ნიუ-იორკის აღმოსავლეთ ოლქი, 2006
აშშ საოლქო სასამართლო, ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქი, 2006
**პროფესიული ასოციაციები და წევრობა:**
ამერიკის სასამართლოს ადვოკატების ასოციაციის წევრი
ნიუ-იორკის შტატის სასამართლოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი
ნიუ-იორკის შტატის ადვოკატურათა ასოციაციის წევრი
**ენა:** მშობლიური ქართული თავისუფლად, რუსული და ინგლისური

2626 East 14th Street, # 105
Brooklyn, NY 11235
Telephone: +1 (718) 743-3700
Facsimile: +1 (718) 743-8800
www.KatzLegalGroup.com

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ იურიდიული პროცესი (გარკვეული გამონაკლისების გარდა) ხანგრძლივი პროცესია მრავალრიცხოვანი რთული საფეხურებით, ჩახლართული პროცედურებით, და სხდომებს შორის გრძელი პაუზებით. ჩვენ კომპანიას კარგად ესმის, რომ ამ პროცედურებს შეუძლია დააბნიოს ადამიანი და ამიტომაც ჩვენ, Law Offices of Joseph Katz & Associates, P.C. ვზრუნავთ, რომ კლიენტი ინფორმირებული იყოს და ესმოდეს რის მიღწევას ვცდილობთ მისი სახელით.

კომპანიამ შეიქმნა რეპუტაცია და სახელი იმით, რომ ხელმისაწვდომია და მუდამ კლიენტის სამსახურშია. ვგრძნობთ ვალდებულებას ჩვენი კლიენტების საქმეების მიმართ, ამიტომაც მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩვენთან დაკავშირება. ჩვენი ოფისი არჩევს საქმეებს კონკრეტული გარემოებებისა და საგნის მიხედვით. ყურადღებისა და კომფორტული ატმოსფეროს წყალობით კლიენტები მშვიდად გრძნობენ თავს, როცა ჩვენ ვუწევთ მათ მეგზურობას მთელი იურიდიული პროცედურების მიმდინარეობისას.

ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედი კლიენტებთან ხარისხიანი ურთიერთობაა. კლიენტებს ვემსახურებით სრულფასოვნად და მათი საჭიროების, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომაც მოდიან ჩვენთან კლიენტები. ისინი მოგვმართავენ მრავალრიცხოვანი კმაყოფილი ადამიანების რეკომენდაციით, ვისაც წარსულში წარმატებით მოვემსახურეთ.


# მერაბ კვიცარიძის
## პოეტური შტრიხები

### აქედან ზღვამდე შორია

ახლა ვიხსენებ ტკივილს უწინდელს,
ზღვამდე აქედან ნაღდად შორია,
მომნატრებიხარ ძმაო, ასტამურ,
დაბერებულხარ ბიჭო, ზურია.
მოვედი, მიწას უნდა ვეფერო,
ვნახო საფლავი მივიწყებული,
ზღვა ღელავს, ნერვებს მიშლის შხუილი,
ჩემს ჯიშს ვტირივარ ცრემლმორეული.
ჩემ წილ ვენახსაც თბილისში ვხარდნი,
ვიბრძვი, განცდებით საკუთარ თავთან,
ბიჭო, საიდა აქაა ახლოს,
თუ მიტოვებულ ჩემეულ სახლთან.
სახლთან კიდია სხვისი სარეცხი,
ვით თავდახრილი თეთრი დროშები,
ერთს დავინახავ დიოსკურიას
და ამ ლოცვასაც აქვე მოვრჩები.
დღეს სტუმარი ვარ მე ჩემს მიწაზე,
ველარ ჩაუვლი ახლოს მედიანს,
ბიჭო, ასტამურ, წმინდა გიორგი
ჩემგან მიართვი ვერა დეიდას;
არა, არ წავალ, კენჭებს დავითვლი,
არც მე არ მინდა სხვისი დოლია,
არა, ჩემს მიწას ვერვის დაუთმობ
მიუხედავად ზღვამდე შორია.
ახლაც ვიხსენებ ტკივილს უწინდელს,
ცამდე ახლოა, ზღვამდე შორია,
მომნატრებიხარ ბიჭო, ასტამურ,
დაბერებულხარ, ძმაო ზურია.

### რევანში

*„ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია"*
*გალაქტიონი.*

ცამეტი ტყვია ჩააწყვეს რიგში,
ჩააწყვეს რიგში როგორც რითმები,
პირველი ტყვია მოხვდა ილიას -
ვერ აგვისრულა დანაპირები.
აკაკიმ გვითხრა - ჩაქრა სანთელი,
ვაჟამ - გაუძელ, ერო ძლიერო,
და წიწამურში ყველა დაფნის ხეს
მარტო გვირგვინთა ფერი მოედო.
მეორე ტყვია მოარტყეს პაოლოს,
სხვენში გაისმა ხმები ხირიმის,
მწვანე მინდორში წყარო ჩუხჩუხებს,
ტყის ბოლოს მოჩანს ცოდვის ბილიკი.
დარჩა თერთმეტი ტყვია სასროლში,
ბევრჯერ იქუხა შემდეგ დამბაჩამ,
ბევრი აწამეს, ბევრი ჩაქოლეს,
მაგრამ მათ შორის ერთი გადარჩა.
გამოაჭენა ლურჯა ცხენები,
ორპირის ფშანის დიდმა მაესტრომ,
მის მერე ბევრჯერ მთვრალიც, ფხიზელიც,
რითმები სიზმრებს მარტო დაესწრო.
ვით უბინაოს ყოფნა ბინაში,
მოსწყურდა ნორჩი თოვლის ყურებით,
სხვა პოეტებთან ცეცხლი დაანთო,
აავსო ყველა ალიყურებით;
პოეტი დარჩა ნიჭთან, ლექსებთან,
და მარტომ ველარ გაუჩახმახა,
მზემ თიბათვისამ დილით უეცრად
ფანჯრის მინები გაუჩახჩახა.
შედგა რაფაზე, ტყვიაც გათავდა,
რითმები ჰქონდა თავზე საყრელი,
ვერავინ ვერ თქვა, რატომ გაწირეს
რატომ ჩაუქრეს პოეტს სანთელი.
ღმერთო, მომეცი იმის უნარი,
შენც დამეხმარე სულო ძლიერო,
პოეტს ვინც ესვრის, ვინც გადმოაგდებს,
გადავუხადო სამაგიერო!!!

### ილო ფოტოგრაფს

ქუთაისის ქუჩებს ახსოვს
შემოდგომა ზღაპრული,
მოდის ილო ფოტოგრაფი
თავის ზრდილი ქართულით.
საფიჩხია, ბალახვანი
და რიონში კისრული,
ბაღის კიდეს ვერვინ იყო
შენზე ადრე მისული.
ებრაული ღვთის კურთხევა,
კიდუში და ბოლლიწო,
თავზე ფესკა, ხელში ჭიქა,
განთიადმაც მოგისწრო.
ადონაი, ღმერთის სიტყვა,
ამინ! - ღმერთის ხსენება,
შენ იცოდი სხვებზე კარგად
მარტომ ღამის თენება.
ციცქნა ჩიტის გამოფრენა
ფიქრი თეთრი ხიდივით,
ახლა ჩვენსკენ იყურები
და თვალს გვიკრავ ღიმილით.
დგახარ, მართლა ძეგლად დგახარ
დღეს კაცობის დარაჯად,
სხვა რომ ხდიდა ჯარისკაცებს
შენ აცმევდი ფარაჯას.
წავალ, ახლა დილით მოვალ,
თავს ავიწყვეტ ნამბავი,
რომ მომიყვე ქუთაისის
ღამეული ამბავი.

### ნასესხები

უმიზეზოდ არაფერი ხდება
კურთხევა და სადღეგრძელო მარტის,
სამი დღეა რანაირად ჟინჟლავს
რა ასესხა ამნაირი აპრილს;
ცრიატ წვიმას მერე სეტყვაც მოსდევს,
დაბლა მიწას ეფინება ფარჩა,
ყველაფერი გამეცალა ირგვლივ
და შენს გარდა არაფერი დამრჩა.
ნასესხებაც ალბათ მალე გავა
და მზეც იტყვის თავის ბოლო სათქმელს,
საკურთხეველს მივეკრები შუბლით
და დაგინთებ დღეს უთვალავ სანთლებს.
უმიზეზოდ არაფერი ხდება,
ამ ამინდის არაფერი ვიცი.
ჩქარა მოდი, ამაისდა კვირტი,
ჩქარა მოდი, ჩქარა მოდი, გიცდი.
ისე ახლა რანაირი დღეა,
ისევ მიწას ეფინება ფარჩა,
ყველაფერი გავატანე წვიმას
და შენს გარდა არაფერი დამრჩა.

### პიკასოს ბიჭი

ხელები უნდა ქმნიდნენ ყველაფერს
მაღლა გაწვდილი ნამუსის ქუდით,
და ყოველ დილით ყველა ქუთათურს
მინდა რომ შევხვდე ამ ფართო ქუჩით.
ქუჩა, რომელიც სითბოს ინახავს
და თეთრი ხიდის ნახვაც მადლია,
ხიდზე შეხვდები კეთილს, უკეთურს,
გამარჯვებულს და თანაც მადლიანს.
ფერებს ხიდისთვის ადრე არჩევდნენ
არგონავტების მთელი ამალა,
მერე წაიღეს ოქროს საწმისი
და ჩვენ დაგვტოვეს ხიდის ამარა.
მის მერე ბევრჯერ, ბევრიც გავიდა,
ბევრი აღსდგა და ბევრი დაეცა,
მერე რიონმაც ბევრი იდინა
და თეთრი ქვებიც ბევრჯერ გარეცხა.
ხიდზე შემოვსვით ბიჭი ნათალი,
მზის ჩასვლას უცდის თითქოს რანუნით,
ვერ გაბედავდა ამას ვერასდროს,
ვერ ტინტორენტო, ვერც პაგანინი.
ქართველთა ბედი მუდამ ასეა
სულ ვემზადებით სხვასთან ომისთვის,
პიკასოს ბიჭი აწი ყოველთვის
მზადაა მარტო გადმოხტომისთვის.
ჩემო ქალაქო, შენი სუნთქვა ვარ,
და მეც სიყვარულს თავიდან გიხსნი;
მარჯვენა ხელში დოდოს სული გაქვს
და მარცხენაში გურამის სისხლი!






## ხსოვნა

# ის გაზაფხული სხვა იყო, რადგან...

### მედეა სიხარულიძის ხსოვნას

*ის გაზაფხული სხვა იყო, რადგან*
*ტკბილად მღეროდა გულიც, ბუნებაც.*
*ეხლა ჩვენს შორის ზამთარი ჩადგა,*
*და აღარ ველი შენ დაბრუნებას!*

გაზაფხულის მოსვლას ყოველთვის მოუთმენლად ელოდი და სწორედ თბილისური ლამაზი გაზაფხულის პირველ დღეს სამუდამოდ მიგვატოვე.

რაღაც საოცარი ხიბლი გქონდა, ყველას უყვარდი და პატივს გცემდა - ქართველებიც და ამერიკელებიც. მუდამ მეოცნებე და ოპტიმისტი იყავი, წლებმა ვერაფერი დააკლო შენს სიმშვენიერეს.

მთელი შენი სიცოცხლე სიმღერა იყო, ბევრი ლამაზი სიმღერა დაგვიტოვე და გვასწავლე. „ის გაზაფხული სხვა იყო", „თეთრი ქრიზანთემები" - ვიხსენებთ თქვენს მშვენიერ ტრიოს - „სამაიას", და უკვე ინოლას გვერდით უშენობაც გვტკივა.

მედეა, გჯეროდეს, რომ შენი ხსოვნა შენს ლამაზ სიმღერებთან ერთად სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში. ხსოვნა მარად მეოცნებე, კეკლუცი და უმშვენიერესი ქალბატონისა.



შენი მეგობრები: ლეილა მჭედლიშვილი, დიანა და მადონა ირემაშვილები, თამილა ზატიკაშვილი, ნანა ჩახნაშვილი, ლალი სამხარაძე, ზაირა ჩოხელი, მზია ბეკურაშვილი, ალექსანდრე სოკოლოვი, თინა და ელისო ფიკლაურები, მარინა ორჯონიკიძე, მანანა ჯინჯიხაშვილი, ნანა ტატიაშვილი.




მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის
უახლოესი და ყველაზე შედეგიანი მეთოდი
ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!
ექიმი ქეროლ ბოლტერის
VEIN & LASER CENTER
2177 65th st. Brooklyn, NY 11204
(კონსულტაცია, გამოკვლევა და მკურნალობა)
1-718-238-1555







მაია ნინოშვილის სააგენტო
GEORGIA-USA TRAVEL
ავიაბილეთები საქართველოდან
და საქართველომდე და მსოფლიოს
ნებისმიერი ქვეყნის
მიმართულებით
1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214
დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846

პროფესიონალური
ფოტო-ვიდეო
გადაღება
917-834-1062


## განცხადებები

გაზეთ „მამულის" რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ქალბატონი მედეა სიხარულიძის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

გიული წერეთელი, ნინო გორდაძე, ნათია პაპასკირი, ნანა მაღრაძე თანაუგრძნობენ ნელი ქართველიშვილს დედის ნინოს გარდაცვალების გამო.

მანუჩარ კაჭახიძე და გაზეთ „მამულის" რედაქცია თანაუგრძნობენ ნელი ქართველიშვილს მწუხარებაში, დედის ნინო თინიკაშვილის გარდაცვალების გამო.




ასავალ დასავალის პარტნიორობით

მამული

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

WWW.MAMULI.COM
mamuliusa@gmail.com
347-724-0770

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

გაზეთი ხელმოწერილია დასაბეჭდად 2011 წლის 22 აპრილს, აღმოსავლეთ ამერიკის დროით დილის 6 საათზე. შემდეგი ნომერი გამოვა 22 მაისს.